# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

21 ოქტომბერი **ხუთშაბათი** 2010

№248 (13236) ფასი 60 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## შვიდი გოლი სან სიროში

### ჩემპიონს მცველმა ჰეთ-თრიკი შეუსრულა




გვ. 6

## ალალი ტაში

### ორი მატჩის შემდეგ 4 ქულა და ელიტრაუნდის შანსი




გვ. 2

ბაჩანა არაბული გოლს ზეიმობს

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

### შაბათს 15 საათზე გადამწყვეტი მატჩი შვედებთან




## რეკორდით გახსნილი ევროლიგა

### შერმადინს გულშემატკივარი ფეხზე წამოუდგა

ოლიმპიას თურქებთან ორი ოვერტაიმი დასჭირდა

გვ. 11

# ალალი გაში

20.10. თბილისი. ბ. პაიჭაძე
6 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| საქართველო | 1 |
| ინგლისი | 1 |

0:1 ჰოუპი (9), 1:1 არაბული (63)

| საქართველო | ინგლისი |
|---|---|
| 4-2-3-1 | 4-2-3-1 |
| თეგიძე | პიკფორდი |
| მთივლიშვილი | კუზინსი |
| კახიძე | ჯექსონი |
| სანდოხაძე | უოლტერსი |
| მონიავა | რეგანი |
| გოგიჩაიშვილი | ჩალობა |
| პუფნაგელი | კესკი |
| ქილვარია | ფანიმო |
| ენდელაძე | პაუელი |
| სამუშია | სტერლინგი |
| არაბული | ჰოუპი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| კ. ყორყიკაშვილი | ჯ. პიკოკი |

**საქართველო**

21. ქილვარია - **მარკოზაშვილი**
48. კახიძე - **ცნოგილაძე**
80. კვარაცხელია - **სამუშია**
*სათადარიგოები: მიქავა, დიასამიძე, ფანცულაია, სარჯველაძე*

**ინგლისი**

54. ჩალობა - **ჰენდრი**
54. კესკი - **ტარგოტი**
70. ფანიმო - **მორგანი**
*სათადარიგოები: გარეტი, კოტონი, მეგრი, რედმონდი*

გაფრთხილება: **ჩალობა (48), ენდელაძე (67), სტერლინგი (80)**
არბიტრი: **რ. აისნერი (ავსტრია)**



ანგარიში ბაჩანა არაბულმა (№10) გაათანაბრა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ორი მატჩის შემდეგ 4 ქულა მართლაც არ არის ურიგო შედეგი: საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ელიტრაუნდში მოსახვედრად მშვენიერ შანსს ინარჩუნებს. ყოველ შემთხვევაში, **კობა ყორყიკაშვილისა** და **გოჩა ავსაჯანიშვილის** შეგირდებს შესარჩევი ეტაპის დასკვნით მატჩში შვედებთან ფრეც აწყობთ. თუმცა, არა გვგონია, ჩვენმა ჭაბუკებმა ამ გადამწყვეტ პაექრობაში მხოლოდ საყაიმო ანგარიშზე იფიქრონ: საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს პოტენციალი ნამდვილად გააჩნია და ყოველივე ეს გუშინდელ მატჩშიც (განსაკუთრებით - მეორე ტაიმში) ნათლად გამოჩნდა.

შესაძლოა, ქართველ გულშემატკივარს არცთუ სიამოვნებდა იმის ხილვა, მატჩის მიწურულს ჩვენს ჭაბუკებს დრო რომ გაჰყავდათ; თუმცა, ამაში დასაძრახი არაფერია: პარალელურად მიმდინარე მატჩიც ჩვენთვის სასურველი შედეგით დასრულდა და ამასაც თავი რომ დავანებოთ, გუშინდელი მეტოქის ფაქტორიც არ დაგვავიწყდეს. ვერაფერს ვიტყვით: ინგლისელებმა მართლაც ჩინებული გუნდი ჩამოიყვანეს თბილისში და ქვეჯგუფის უპირობო ფავორიტის სტატუსი პირველ ტურში შვედების არცთუ სუსტი ნაკრების დიდი ანგარიშით დამარცხებითაც დაამტკიცეს.

რა დასამალია და **ჯონ პიკოკის** გუნდი გუშინდელ მატჩშიც აშკარა ფავორიტად მიიჩნეოდა და ამიტომაც ორმაგად ფასეულია ასეთ ძლიერ მონინააღმდეგესთან შეხვედრაში ქულის მოპოვება. ეგაც რომ არ იყოს, ინგლისელებთან სანაკრებო თუ საკლუბო დონეზე ნამდვილად არ ვართ განებივრებულნი კონკრეტული მატჩის ჩვენთვის სასურველი შედეგით დასრულებით. მით უფრო, რომ გუშინ ქართველმა ჭაბუკებმა მეტად და მეტად ფასეული ეს ქულა იღბლისა თუ შემთხვევითობით კი არა, არამედ სრულიად დამსახურებულად მოიპოვეს. ამიტომაც არ დაინანეს ქართველმა ქომაგებმა ის მხურვალე ტაში, მსაჯის საფინალო სასტვენიდან კარგა ხანი რომ გრძელდებოდა...

ვიდრე გუშინდელი მატჩის პერიპეტიებზე ვისაუბრებდეთ, აუცილებლად გვინდა სამსაჯო თემას შევეხოთ. რა თქმა უნდა, უშეცდომო არავინ არის, მაგრამ გუშინ ავსტრიელი არბიტრის ერთდროულად რამდენიმე გადაწყვეტილება საკამათოზე მეტი იყო; თანაც, ჩვენდა სამწუხაროდ, **რენე აისნერი** მაინცდამაინც... ინგლისელთა სასარგებლოდ ცდებოდა. „წვრილმანებზე" არ შევჩერდებით, მაგრამ პირველ ტაიმში **გურამ სამუშიას** აქტიურობის შემდეგ საკუთარ საჯარიმოში მყოფ ინგლისელთა ერთ-ერთ მცველს ბურთი რომ ხელზე მოხვდა, ყველამ დაინახა... არბიტრის გარდა! მეორე ტაიმშიც იყო რამდენიმე ეპიზოდი, მეტოქის ფეხბურთელები ჩვენების კონტრშეტევებს წესების დარღვევით რომ აჩერებდნენ, მაგრამ არბიტრს „განსხვავებული აზრი" ჰქონდა.

წინა მატჩთან შედარებით, ჩვენი ნაკრების ძირითადში მხოლოდ ერთი ცვლილება იყო: **ნიკა დიასამიძის** ნაცვლად მარჯვენა გარემარბის პოზიციაზე **სანდრო ქილვარია** გამოჩნდა. აი, ინგლისელთა თავკაცმა კი შვედებთან მოგებული მატჩის შემდეგ თავისი გუნდის შემადგენლობა საგრძნობლად გადაახალისა და 4 ახალი ფეხბურთელი გამოიყვანა. თუმცა, ინგლისელთა ორივე ლიდერი - ცენტრფორვარდი **ჰალემ ჰოუპი** და მარცხენა გარემარბი **რეჰიმ სტერლინგი** ძირითადში იყვნენ და ასაკთან შეუფერებელი ოსტატობით კვლავაც მოგვხიბლეს.

თამაში ახალი დაწყებული იყო, ჰოუპმა საკუთარი ნახევრიდან შორეული პასი რომ მიიღო და ძლიერადაც დაარტყა, მაგრამ ამ ეპიზოდში აშკარად გადავრჩით. ამ ეპიზოდს **ნიკლას პაუელის** სახიფათო სტანდარტული მოჰყვა, შემდეგ ისევ ჰოუპი ცდილობდა გოლის გატანას, მაგრამ ამჯერად **დავით მთივლიშვილმა** გვიხსნა - ჩვენი ნაკრების მარჯვენა მცველმა ბურთი, ფაქტობრივად, ცარიელი კარიდან გამოიტანა. მატჩის საწყის 30 წუთში ჩვენი ბიჭები მეტოქის ორგანიზებულ თამაშს ვერაფერს უპირისპირებდნენ; ეგ კი არა, საერთოდ, პირველ ტაიმში მეტოქის კარში მხოლოდ ერთხელ დავარტყით: **ბაჩანა არაბულის** მიერ შესრულებული „სტანდარტული" ინგლისელთა მეკარე **ჯორდან პიკფორდის** ნადავლი გახდა. სამაგიეროდ, გაილაღა ინგლისელთა მარცხენა გარემარბმა სტერლინგმა - ჩვენი მარჯვენა ფლანგი მართლაც რომ ააწიოკა გაუთავებელი სოლორეიდებითა და ეფექტური ფინტებით.

ალბათ ამის გამოც მოხდა ჩვენს შემადგენლობაში ადრეული ცვლილება და საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა ჩანაფიქრმაც გაამართლა: სტერლინგი იძულებული გახდა ფლანგი შეეცვალა, ოღონდ, მარჯვნიდან ისე სახიფათოდ ველარ გვიტევდა. არ დავმალავთ: პირველმა ტაიმმა არცთუ დადებითი შთაბეჭდილება დაგვიტოვა; როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენს ჭაბუკებს შეტევაში თამაში უჭირდათ და ათლეტური მეტოქეების მიმართ, თითქოსდა შიშიც ჰქონდათ. თანაც, „მთავარი" ხომ არ გვითქვამს: მატჩის მე-9 წუთზე მოულოდნელმა ჰოუპმა ჩვენს საჯარიმოში ბურთი თავისუფლად მიიღო (კვლავაც ჩვენი მარჯვენა ფლანგი „ჩავარდა") და ოსტატური დარტყმით **გაბრიელ თებიძეს** შანსი არ დაუტოვა.

მეორე ტაიმი ნამების (!) დაწყებული იყო, ბაჩანა არაბულის ჩინებული პასის მერე გურამ სამუშია ხელსაყრელ პოზიციაზე რომ აღმოჩნდა, მაგრამ ინგლისელთა მცველებმა იყოჩაღეს. სამიოდ წუთში ჩვენების შესრულებით მართლაც ეფექტური კომბინაცია ვიხილეთ: შეტევა **ლუკას ჰუფნაგელმა** წამოიწყო, შემდეგ არაბულისგან ზუსტი პასი მიიღო, მაგრამ მეტოქის საჯარიმოში შესულს მცველებმა დაასწრეს. სხვათა შორის, ჰუფნაგელი საქართველოს ნაკრებში ყველაზე „განსხვავებულ" ფეხბურთს თამაშობს; შესაძლოა, ამ ბიჭის თამაში ეფექტური არ იყოს. სამაგიეროდ „სწორად" და, რაც მთავარია, სწრაფად აზროვნებს; მოკლედ, როგორც იტყვიან ხოლმე, „გერმანული სკოლა" ეტყობა.

ისევ მატჩს დავუბრუნდეთ, ჩვენი ბიჭების შესრულებით მართლაც ჩინებული 40 წუთი (ტაიმები ამდენი ხანი გრძელდება) ვიხილეთ. რაც მთავარია, ძლიერი მეტოქის მიმართ არსებული შიში თუ კომპლექსიც მოეხსნათ ჩვენს ჭაბუკებს და, მეტოქის მცველებიც ვერაფრით უმკლავდებოდნენ საქართველოს ნაკრების ცენტრფორვარდ ბაჩანა არაბულს. ამ ბიჭს ყველა მონაცემი აქვს, სერიოზულ დონეზე ფეხბურთი რომ ითამაშოს (ისე როგორც ჩვენი ნაკრების კაპიტანს, ცენტრალურ მცველ **ნიკა სანდოხაძეს**) და ვიმედოვნებთ, რომ... ქართული მედიის განსაკუთრებული ყურადღება-დაინტერესება მის შემდგომ კარიერაზე უარყოფითად არ აისახება.

გუშინ არაბულმა მართლაც ჩინებულად ითამაშა - მთელი შეხვედრის განმავლობაში წნეხში ჰყავდა მოქცეული მეტოქეთა მცველები და ისეთი გოლი გაიტანა, ბევრ გამოცდილ და ცნობილ ფორვარდს რომ შეშურდებოდა! საქართველოს ნაკრების ცენტრფორვარდმა იმ ეპიზოდში ბოლომდე იბრძოლა, ერთდროულად ორ მოწინააღმდეგეს ჯანითაც აჯობა და ჭკუითაც, მერე კი უძლიერესი და ეფექტური დარტყმით ბურთი ინგლისელთა კარის „ცხრიანში" გაგზავნა!

თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჩვენს გოლამდე ცოტა ხნით ადრე ზედიზედ ორჯერ გადავრჩით! ჯერ იყო და, ნიკლას პაუელის თავური დარტყმა ჩვენი კარის ხარიხას მოხვდა, შემდეგ კი ისევ და ისევ ჰოუპი ცდილობდა გოლის გატანას. მატჩის ბოლომდე მეტოქეებმა თითო სახიფათო მომენტი გაცვალეს: არაბულმა გარღვევაზე ჰუფნაგელი გაიყვანა, მაგრამ მიუნხენის „ბაიერნის" ასაკობრივი გუნდის ნევრს ჯანიანმა ინგლისელმა მცველებმა „ფიზიკაში" აჯობეს; შეხვედრის ბოლო წუთზე კი, შეცვლაზე შემოსულმა **ბლერ ტარგოტმა** „სტანდარტული", ერთი შეხედვით, უხიფათოდ შეასრულა, მაგრამ ბურთი ჩვენს კარში მიფრინავდა და გაბრიელ თებიძემ სულ ბოლო მომენტში შეძლო მისი კუთხურზე მოგერიება.

მსაჯის მიერ დამატებულ დროში ინგლისელებმა შტურმისმაგვარი მოაწყვეს, ზედიზედ ორი კუთხურიც ჩამოაწოდეს, მაგრამ საკუთარი კარის უსაფრთხოება შევძელით და სრულიად დამსახურებული ქულაც მოვიპოვეთ მეტად და მეტად ძლიერ მეტოქესთან. ჰოდა, ამიტომაც იყო, ქართველმა ქომაგებმა ჩვენი ბიჭების მონდომებულ თამაშს ადეკვატური შეფასება რომ მისცა და ხანგრძლივი ტაშიც არ დაინანა...

**მატჩის შემდეგ**

**ჯონ პიკოკი (ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი)**: „შეხვედრა კარგად დავიწყეთ და ყველაფერი ლოგიკურად მიდიოდა; თუმცა, მეორე ტაიმში მეტოქემ თამაში აშკარად გამოასწორა, შემდეგ უფრო მოუმატა და ისლა დამრჩენია, ასეთი კარგი ასპარეზობა შევაქო. ისე როგორც თქვენი ცენტრფორვარდის გოლი - ყველაფერი მართლაც ჩინებულად შეასრულა!"

**კობა ყორყიკაშვილი (საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი)**: „ასეთ ძლიერ მეტოქესთან ჩემი შეგირდები თავდაპირველად ნერვიულობდნენ, მაგრამ მერე ნელ-ნელა „გაუშინაურდნენ" სიტუაციას. კონტრშეტევებზე თამაში თავიდანვე დაგეგმილი გვქონდა და ჩვენს თითოეულ ფეხბურთელს კონკრეტული დავალებაც მივეცით. მიმაჩნია, რომ ისეთ ძლიერ მეტოქესთან, როგორიც ინგლისის ნაკრებია, ფრე ნორმალური შედეგია. თუმცა, არ უნდა მოვდუნდეთ და ბოლო მატჩში შვედებთანაც მაქსიმალური კონცენტრაცია გვმართებს.

**გია ტუხაშვილი**

20.10. თბილისი. მ. მესხი
70 მაყურებელი

| | |
|---|---|
| პოლონეთი | 0 |
| შვედეთი | 0 |

| პოლონეთი | შვედეთი |
|---|---|
| 4-4-1-1 | 4-4-2 |
| ფრანცკოვიაკი | მიულერი |
| კეძიორა | აუგუსტინსონი |
| რადეცკი | ბლუმკვისტი |
| ვიტი | ფორსელი |
| ფლისი | ლარსონი |
| ურიგა | ლინდგრენი |
| ბიელი | პივოვსკი |
| ბუდეკი | ოვუსუ |
| ზელინსკი | ესპლინგი |
| ვრონსკი | სიოგერგი |
| ბაგინსკი | სიოდერსტრომი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| მ. დორნა | რ. ლარსონი |

**პოლონეთი**

67. ვრონსკი - **დიტკო**
70. ზელინსკი - **კოვილიანსკი**
76. ბუდეკი - **ნოვაკი**
*სათადარიგოები: სმუგი, ლეგერსკი, დანკოვსკი, ვილკი*

**შვედეთი**

33. ლინდგრენი - **ტიბლინგი**
67. ესპლინგი - **უივანოვიჩი**
*სათადარიგოები: სტარლანდერი, იესპერ ანდერსონი, იოჰან ანდერსონი, სტელი, ისლამოვიჩი*

გაფრთხილება: **ბაგინსკი (9), რადეცკი (37), ლარსონი (55)**
არბიტრი: **ანატოლი ვიშნიჩენკო (ყაზახეთი)**

## ეს ფრეც გვაწყობდა
### შვედების ძლევაც შეგვიძლია

ეს ფრე ნამდვილად გვაწყობდა, რადგან ელიტრაუნდში გასვლისთვის ბრძოლაში ჩვენმა ორივე მოწინააღმდეგემ ქულები დაკარგა. ჯგუფიდან გასვლისთვის დასკვნით მატჩში მეტოქე შვედეთთან ახლა ფრეც ხელს გვაძლევს. თუმცა ჩვენმა 17-წლამდელები ფრის მოსაპოვებლად არ უნდა გავიდნენ მოედანზე, თორემ ქულის მოპოვება შეიძლება გაგვიჭირდეს.

დასკვნით ტურამდე ჯერ კიდევ დროა და ვნახოთ, რა მოხდა გუშინ ვაკეში.

ჯერ მატჩის მსვლელობაზე ვთქვათ, მერე კი შაბათის მატჩში ჩვენს მეტოქე შვედეთზე მოგახსენებთ. თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ ეს მატჩში მოსაწყენი იყო, რადგან მეტოქეები თვალსასეიროს ვერაფერს ქმნიდნენ მოედანზე. მომენტების თვალსაზრისით მეორე ტაიმი პირველს სჯობდა.

თამაში ნელ ტემპში დაიწყო და ასევე ჩამთავრდა. თამაში ძირითადად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა. თუ რომელიმე მეტოქე იმარჯვებდა და მოწინააღმდეგის კარისკენ დაიძვრებოდა, მისი შეტევა საჯარიმოს მისადგომებთან იფუშებოდა. საწყის 40 წუთში სულ ორი მომენტი ღირდა ჩასანიშნად. 21-ე წუთზე პოლონელები დაცვაში შეცდნენ და მათ მეკარეს რომ არ ემარჯვა სკანდინაველები ანგარიშსაც გახსნიდნენ. **ესპლინგის** დარტყმული მეკარე **ფრანცკოვიაკმა** შორს მოიგერია, ბურთი **ლინდგრენს** მიუვიდა, მაგრამ პოლონელთა გოლკიპერმა მის დარტყმულსაც შესაშური რეაქცია შეაგება. ტაიმის დასრულებამდე 5 წუთით ადრე შვედების მეკარე გამოსვლაზე თამაშისას შეცდა, ბურთი საბოლოოდ ბიელს მიუვიდა და ეფექტურად უკუდარტყმით სცადა ბურთის გატანა, მაგრამ ააცილა.

>> მე-3 გვერდზე

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

U 17.

# ეს ფრეც გვაწყობდა
## შვედების ძლევაც შეგვიძლია

« მე-2 გვერდიდან

მეორე ნახევარი შვედებმა მეტოქეზე უკეთ დაიწყეს, მაგრამ ხეირიანი ვერაფერი შექმნეს. ერთი ეგ იყო, სკანდინაველებმა კინალამ ავტოგოლით იხეირეს. 52-ე წუთზე ჩრდილოელთა შეტევისას **კეძიორამ** უხერხულად მოიგერია ბურთი, კინალამ საკუთარ კარში ჩაჭრა, მაგრამ გადარჩნენ. როგორც ალმოჩნდა, ამან პოლონელები გაახელა, რადგან მატჩის ბოლო 15 წუთის განმავლობაში **მარცინ დორნას** გუნდი მოწინააღმდეგეზე უკეთ გამოიყურებოდა. მათ სამი ხელსაყრელი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ ვერცერთით იხეირეს. ჯერ იყო და მაკრატელათი ბიელის დარტყმული ასცდა მიზანს, მერე **ვრონსკის** პასით **ზელინსკიმ** მახვილი კუთხიდან კარგად დაარტყა, მაგრამ ამჯერად შვედების მეკარე **მიულერმა** იმარჯვა. ბოლოს კი **კობილიანსკი** მარჯვნიდან სახიფათოდ შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში, მაგრამ მისი დარტყმისას ბურთი კარის ბადეს გარედან მოხვდა.

ახლა დაპირებისამებრ მეტოქე შვედეთზე ვთქვათ. როგორც ჩან მათი 17-წლამდელთა ნაკრების თავკაც **როლანდ ლარსონს** შეცვლები არ უყვარს. ინგლისთან სასტარტო მატჩში მან მხოლოდ ერთი შეცვლა გააკეთა. ლიმიტირებული სამი შეცვლა მან გუშინაც არ გამოიყენა - მხოლოდ ორი ფეხბურთელი შეიყვანა მოედანზე... ალსანიშნავია ისიც, რომ შვედებს პოლონელებზე უკეთესი გუნდი ნამდვილად არ ჰყავთ. ყოველ შემთხვევაში, გუშინდელმა მატჩმა ასეთი შთაბეჭდილება დაგვიტოვა. სკანდინაველთა ორივე მატჩის მხილველმა ფეხბურთის სპეციალისტებმა ისიც ალნიშნეს, რომ შვედეთი ინგლისელთა წინააალმდეგ უკეთესად გამოიყურებოდა. არც ის არის გამორიცხული, რომ ინგლისელებთან ბრძოლის შემდეგ როლანდ ლარსონის გუნდს ძალები ალარ ეყო და საქართველოსთან მატჩში უკეთ წარმოჩნდეს. სხვა თუ არაფერი, ელიტრაუნდში მოხვედრისთვის ქართველებთან თამაში ბოლო შანსია, მათ მოგების გარდა სხვა შედეგი ხელს არ აძლევთ.

მაინც რა დონის გუნდი ჰყავს ლარსონს? შვედეთის ნაკრები მაღალი კლასის ფეხბურთელებით არ გამოირჩევა. რომელიმე სათამაშო რგოლის გამორჩევაც ჭირს. უფრო შეკრული გუნდის შთაბეჭდილება ტოვებს, რომელიც უნდა გატეხო და საამისოდ სწრაფი გოლი ალბათ ყველაზე ეფექტური საშუალება იქნება. მეტოქე ტიპურ სკანდინავიურ სტილში თამაშობს, ფლანგები აქტიურობენ და საჯარიმოში მაღალ ბურთებს აწვდიან. წინა ხაზზე შვედებიდან **ფრედრიკ ესპლინგმა** და **ვიქტორ სიოდერსტრიომმა** დაგვამახსოვრეს თავი. **ლინუს სიობერგი** ბევრს მოძრაობდა და პოლონელებს მოსვენებას არ აძლევდა. ერთი სიტყვით, ჩვენს 17-წლამდელებს დასკვნით ტურში შვედების ძლევა შეუძლიათ. მთავარია მოედანზე ფრის მოსაპოვებლად არ გავიდნენ.

**დავით ცაბაძე**

U 17. მეტოქე. ინტერვიუ როლანდ ლარსონთან

# საქართველოსთან სხვა შვედეთს იხილავთ
## რა კოზირი შემოინახა სკანდინავიელთა მწვრთნელმა



17-ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ შორის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე დასკვნითი ტურის მატჩები დარჩა, რომელიც შაბათს, 23 ოქტომბერს გაიმართება. ელიტრაუნდში გასასვლელად, ჩვენს ნაკრებს შვედებთან მატჩში ქულაც ხელს აძლევს. საინტერესოა, თუ რა ხდება მეტოქის ბანაკში, რას ფიქრობს სკანდინაველთა გუნდის თავკაცი დარჩენილ შეხვედრაზე და რა კოზირს ინახავს საქართველოსთვის. შვედეთის ნაკრების თავკაც როლანდ ლარსონს ამ თემაზე ვესაუბრეთ.

**- საუბარი პოლონელებთან მატჩით დავიწყოთ. თქვენი გუნდის თამაშითა და შეხვედრის შედეგით კმაყოფილი არ უნდა იყოთ...**

- დიახ, აბსოლუტურად გეთანხმებით. ჩემი გუნდის ცნობა მეც გამიჭირდა. ცუდად ვითამაშეთ, ფეხბურთელები მოედანზე მძიმედ გამოიყურებოდნენ. აშკარად ჩანდა, რომ პოლონელები მეტს მოძრაობდნენ და გოლის გატანის ჩვენზე მეტი შანსიც ჰქონდათ. შესაძლებელი იყო ეს თამაში წაგვეგო კიდეც. თუმცა მარცხს ფრე სჯობდა. ამ მოპოვებული ქულით ჯგუფიდან გასვლის შანსი შევინარჩუნეთ. დამარცხების შემთხვევაში კი შანსი თითქმის ალარ გვრჩებოდა. ასე რომ, ჩემი გუნდის თამაშით და შედეგით უკმაყოფილო ვარ. თუმცა მხოლოდ ის მამშვიდებს, რომ ქულა მოვიპოვეთ და ჯგუფიდან გასვლისთვის ბრძოლას ვაგრძელებთ.

**- რატომ ვერ ითამაშა თქვენმა გუნდმა სათანადოდ. ამას რით ახსნით. ინგლისელებთან თამაშის შემდეგ, თქვენმა ფეხბურთელებმა ძალების აღდგენა ვერ მოასწრეს?**

- შესაძლოა, მოთამაშეებს ძალების ალსადგენად დრო არ ეყოთ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ პოლონელებმა თამაში არ გახსნეს და მატჩის ბოლოს შეეცადნენ გადამწყვეტი გოლის გატანას. ჩვენ სწრაფი გოლით გვინდოდა დაწინაურება, მაგრამ ეს ვერ მოვახერხეთ და ჩემს გუნდზე ალბათ ფსიქოლოგიურად ამანაც იმოქმედა. ამას ისიც დაემატა, რომ სასტარტო მატჩში ჩვენი ერთი ფეხბურთელი დაშავდა, რომელიც პოლონეთთან ვერ გამოვიყენეთ.

**- ვის გულისხმობთ?**

- დინო ისლამოვიჩს. ჩვენი გუნდისთვის დიდი ძალაა. დარტყმაც კარგი აქვს და ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე მწვავედ თამაშობს.

**- ისლამოვიჩი დასკვნით მატჩშიც არ გეყოლებათ?**

- დინომ ინგლისელებთან თამაში კი ჩაამთავრა, მაგრამ მხარი იღკინა. ტრავმის გამწვავებას მოვერიდეთ და პოლონეთთან ამიტომ არ ვათამაშეთ. ვიმედოვნებ, გადამწყვეტ მატჩში მონაწილეობას შეძლებს.

**- ე. ი. მასპინძლებისთვის კოზირი შემოინახეთ. მით უმეტეს, ჯგუფში ერთადერთი გუნდი ხართ, რომელსაც ორ შეხვედრაში გოლი ჯერ არ გაუტანია...**

- ვნახოთ, შეძლებს თუ არა დინო საქართველოსთან თამაშს და რამდენად გამოგვადგება ეს კოზირი

**- თქვენს გუნდს დავაკვირდი და შეცვლები არ გიყვართ. ლიმიტირებული სამი შეცვლა არცერთ თამაშში გამოგიყენებიათ. ინგლისთან ერთი ფეხბურთელი შეუყვანეთ მოედანზე, პოლონეთთან კი ორი...**

- მოდი, ასე გიპასუხებთ. შეცვლას მაშინ მივმართავ, როცა ამას საჭიროდ მივიჩნევ.

**- თქვენი გუნდიდან რომელ სათამაშ რგოლს გამოარჩევდით?**

- რომელიმე სათამაშო ხაზის გამოყოფა გამიჭირდება. ვფიქრობ, რომ თანაბრად ბალანსირებული გუნდი გვყავს.

**- მეტოქე საქართველოზე რა აზრის ხართ?**

- ჩვენ ვნახეთ თქვენი გუნდისა და პოლონეთის მატჩის ჩანაწერი. მეორე ტურში პოლონელები გვყავდნენ მეტოქედ და უმთავრესად ამ გუნდს ვაკვირდებოდით. თუმცა ქართველების კარგი თამაში აშკარად თვალში საცემი იყო. მასპინძელთა გუნდის შედეგებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ძლიერი მეტოქე გვყავს - ჩვენ პოლონეთის დამარცხება ვერ შევძელით, თქვენ ამ გუნდთან 3 ქულა აიღეთ. ინგლისმა სამი მშრალი ბურთით მოგვიგო, თქვენი ნაკრები კი ფრედ ეთამაშა. ერთი სიტყვით...

**- ე. ი. მიიჩნევთ, რომ საქართველოს ნაკრები შვედეთზე ძლიერი გუნდია?**

- შედეგების მიხედვით ასე ჩანს. თუმცა მოედანზე სუსტი და ძლიერი არ არსებობს. მით უმეტეს დასკვნით ტურში. ჯგუფიდან გასვლისთვის ბრძოლას ვაგრძელებთ და შაბათის მატჩი ჩვენთვის გადამწყვეტია.

**- საქართველოსთან მხოლოდ მოგება გაწყობთ. ეს რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ?**

- საქართველო ჯგუფის მასპინძელია და მეტოქე კარგად იყენებს „საშინაო კედლების ფაქტორს". ასე რომ, შაბათს მოგება ჩვენთვის ძალიან ძნელი იქნება. მით უმეტეს, როგორც მითხრეს, საქართველოში მხურვალე ქომაგობა იციან და მოწინააღმდეგეს მხარდაჭერა არ მოაკლდება. თუმცა ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს. მხოლოდ მოსაგებად ვიბრძოლებთ და საამისოდ ყველა ჩვენი კოზირი უნდა გამოვიყენოთ.

**- შანსებს როგორ გაანაწილებდით?**

- მასპინძლებს ყოველთვის მეტი შანსი აქვთ, მეტოქეს უკვე 4 ქულა აქვს და ფრეც ხელს აძლევს. ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს, მხოლოდ მოგება გვესაჭიროება. მოტივაცია ჩემს ბიჭებს მეტი უნდა ჰქონდეთ და გაცილებით მეტად უნდა მოინდომონ, ვიდრე პოლონეთთან. ჩემი გუნდის რეალური ძალა, კარგად ვიცი და საქართველოში ეს ჯერ არ მინახავს. იმედი მაქვს, შაბათს ყველა ერთად ვნახავთ.

**- იმედოვნებთ რომ შაბათს სხვა შვედეთს ვიხილავთ?**

- სწორედ ამისი იმედი მაქვს.

**დავით ცაბაძე**

ტრანსფერი

# ბარაბაძე ოლიმპში დეკემბრამდე ითამაშებს



**რეზო ბარაბაძემ რამდენიმე დღის წინ "ლელოსთან" საუბრისას გაამხილა, რომ საქართველოში ფორმის ალსადგენად დარჩებოდა. შეგახსენებთ, რომ რუსეთის პრემიერლიგის „ანჟიდან" სავიზო პრობლემების გამო წამოსული ფეხბურთელი თავდაპირველად მეორე ბუნდესლიგის "კარლსრუეში" ისინჯებოდა, მაგრამ წამოსვლა მოუხდა. როგორც გერმანული მედია იუწყებოდა, "კარლსრუეს" მწვრთნელს ქართველი ფორვარდი მოეწონა, მაგრამ ფიზიკურად მოუმზადებელი მოთამაშის დატოვება ვერ გარისკა, კლუბს ფორმაში მყოფი თავდამსხმელი სჭირდებაო.**

**რეზო სექტემბერში დანიის "ორჰუსშიც" ისინჯებოდა, მაგრამ კლუბი მცირე ტკივილების გამო დატოვა. მკურნალობის შემდეგ ექიმმა ხელოვნურსაფრიან მოედანზე ვარჯიში აუკრძალა. ამის მიუხედავად, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ თავდამსხმელს მოედანზე დაბრუნების იმხელა სურვილი ალმოაჩნდა, "ოლიმპში" მისვლა გადაწყვიტა – რუსთაველები კი სწორედ მისთვის არასასურველ ხალიჩაზე ვარჯიშობენ და თამაშობენ.**

**ახალგაზრდული ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა ჩემპიონის შემადგენლობაში გუშინ მეორედ ივარჯიშა. ჯერ უცნობია, ითამაშებს თუ არა ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ფორვარდი ქუთაისის "ტორპედოს" წინაალმდეგ, ეს თამაში 24 ოქტომბერს რუსთავში გაიმართება. ცხადია, ეს ბარაბაძის მომზადებაზე იქნება დამოკიდებული.**

**გუშინდელი ვარჯიშის შემდეგ რეზოს მცირე კომენტარი ჩამოვართვით.**

**- რეზო, როგორც შევიტყვეთ, "ილიმპში" ჩაირიცხეთ.**

- უფრო სწორად, კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებია, მაგრამ ამ დღეებში მოვაწერ ხელს.

**- "ოლიმპში" რა ხნით დარჩებით?**

- ჯერ სეზონის ბოლომდე შევთანხმდით, დეკემბრის შემდეგ კი თავიდან დავილაპარაკებთ. თუკი უცხოეთში არ წავედი, საქართველოში სეზონს აქ დავასრულებ. სტაბილური საკლუბო კარიერა ძალიან მჭირდება. მინიმუმ ერთი წლით რომელიმე კლუბში უნდა დავრჩე, რადგან ერთიდან მეორეში ხშირმა მოგზაურობამ ძალიან დამღალა და ეს ჩემს სათამაშო ფორმაზეც აისახა. თუმცა, ხომ იცით, რუსეთიდან ჩემი ნებით არ წამოვსულვარ. სამწუხაროდ, ვიზის პრობლემებმა სხვა გზა არ დამიტოვა. ერთი თვე ვვარჯიშობდი, ერთი თვე ვიზას ველოდი. ამ პრობლემის მოგვარება რუსეთის პასპორტის აღებით შემეძლო, მაგრამ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ველარ ვითამაშებდი. საკლუბო კარიერას კი სანაკრებოზე წინ ვერ დავაყენებდი.

**- მცირე ხნის წინ გვითხარით, რომ ექიმი ხელოვნურსაფრიან მოედანზე ვარჯიშს არ გირჩევდა – აქედან გამომდინარე, "ოლიმპში" თქვენი მისვლა მოულოდნელი იყო.**

- ამაზე ბევრი ვიფიქრე, რეკომენდებული მართლა არ იყო, მაგრამ ბოლოს მაინც რუსთავში თამაში ვამჯობინე. უკვე ამინდებიც აირია, მოედნები არსად ვარგა და ხელოვნურსაფრიან მოედანზე ბევრი გუნდი ივარჯიშებს. ამ ხალიჩებიდან კი "ოლიმპის" მოედანი კიდევ ყველას ჯობია. თანაც გუნდი ჩემპიონია, ბიჭებთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს და "ოლიმპში" თამაში ამ ფაქტორებმა გადამაწყვეტინა. მეორე დღეა გუნდთან ერთად ვვარჯიშობ.

**- ვარჯიშის დროს ძველმა ტკივილმა ხომ არ შეგახსენათ თავი?**

- საბედნიეროდ, ტკივილი არ მიგრძვნია. სხვათა შორის, 17 წლის შემდეგ ხალიჩაზე არ მივარჯიშია. რუსთავის მოედანი საკმაოდ მომეწონა და შიშიც გამიქრა.

**- სათამაშოდ მზად ხარ?**

- ნორმალურ მდგომარეობაში ჯერ არ ვარ. სამი კვირა გამიცდა და ბუნებრივია, უვარჯიშებლობამ კვალი დამატყო. თუმცა, ვფიქრობ, ხუთი-ექვსი დღის შემდეგ, მზად ვიქნები.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი

# სად ითამაშებს სპარტაკი?

ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ დღეებში გაირკვევა, სად ჩაატარებს საშინაო შეხვედრებს ცხინვალის "სპარტაკი". პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრესატაშე **მიხეილ აბაიშვილმა** გვაცნობა, რომ ცხინვალელთა კლუბის ხელმძღვანელობას გორში დაბრუნება და ძველებურად, "ქართლის" სტადიონზე თამაში სურს.

"წლევანდელ სეზონში ცხინვალელთა საშინაო არენა მიხეილ მესხის სახელობის "ლოკომოტივის" სტადიონი იყო და პირველი წრის ყველა საშინაო მატჩი იქ გამართეს. თუმცა, როგორც გვითხრეს, ფინანსური პრობლემებისა და საარენდო დავალიანების გამო "მიხეილ მესხზე" თამაშს ველარ გააგრძელებენ და გვთხოვეს, სულ მცირე, პირველი ეტაპის ბოლომდე მოწინააღმდეგეების გორში "ქართლის" "ქართლზე" მიღების უფლება დავრთოთ. ამის თაობაზე გუნდის ხელმძღვანელობამ პროფესიული ფეხბურთის ლიგას ოფიციალური წერილით აცნობა და. თუმცა, სტადიონს ლიცენზია არ გააჩნია და ამის გამო ლიგა საკითხს განიხილავს", - გვითხრა აბაიშვილმა.

"ქართლის" სტადიონს ლიცენზია რომ არ გააჩნია, ეს ფეხბურთის ფედერაცის ლიცენზირების განყოფილების უფროსმა ბაქარ ჟორდანიამ გვითხრა:"ლიცენზირების კომიტეტი იძლევა დასკვნას სტადიონის მდგომარეობის შესახებ, რაც "ქართლის" შემთხვევაში წინა სეზონის შემდეგ ცალსახად უარყოფითი იყო - ესაა შემოღობილი მოედანი და არა სტადიონი. ის ელემენტარულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. უბრალოდ, ლიცენზირების კომიტეტის შეფასება საბოლოო ვერდიქტს არ ნიშნავს და შეჯიბრების ჩამტარებელი წყვეტს, ასეთ სარბიელზე მისცეს თუ არა გუნდს ჩემპიონატის მატჩის გამართვის უფლება. თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ უეფაში მზადდება გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, მალე სტადიონისა და ზოგადად საკლუბო ლიცენზირება გადაიკვეთება და საბოლოო მონაცემებში აისახება".

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

● კლუბები და ინფრასტრუქტურა

# ილია კოკაია
# დინამოს არ ვყიდულობთ

## ზესტაფონის პრეზიდენტი მხოლოდ იჯარას ადასტურებს



ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი თბილისის მერიას ეკუთვნის. სტადიონის დირექტორმა **სანდრო შახოვმა** ჯერ კიდევ მალტის მატჩამდე დაგვიდასტურა, რომ მის გასხვისებაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ ვინ არის დაინტერესებული ეროვნულის შეძენით, ამის თაობაზე არაფერი უწყოდა.

საქართველო-მალტის მატჩამდე „ლელო" წერდა, რომ ეროვნულის არენის ახალი პატრონი მალე უნდა გარკვეულიყო და კონკრეტული ინფორმაციაც გამოვაქვეყნეთ - მართალია, ოფიციალურად არავინ დაადასტურა, მაგრამ პირად საუბრებში პირდაპირ გვითხრეს, რომ პოტენციური მეპატრონე „ჭიათურმანგანუმია". „ლელოს" უფრო კონკრეტული ინფორმაციაც მიაწოდეს - თითქოს, ეროვნული სტადიონის ყიდვა „ზესტაფონის" პრეზიდენტ **ილია კოკაიას** სურს.

**ინფორმაცია თავად ილია კოკაიასთან გადავამოწმეთ, რომელმაც ინტერესი დაგვიდასტურა. მისი თქმით, სტადიონის თაობაზე მოლაპარაკებები დაწყებულია, მაგრამ არა „ჭიათურმანგანუმის", არამედ „ემ-ჯი-ჯგუფის" მიერ, რომელშიც გაერთიანებული არიან „ფეროც" და „ჭიათურმანგანუმიც".** საუბარია ხანგრძლივ არენდაზე, თუმცა ეს არ იქნება კომერციული პროექტი, რადგან სტადიონი მომგებიანი ვერ იქნება და კომპანიის შესანახი გახდება, მაგრამ... არის ერთი „მაგრამ"...

*„ეროვნული სტადიონი საქართველოსთვის სხვა რამეა და აქ მოგება-წაგებაზე ლაპარაკი უხერხულია"*, - ამბობს კოკაია.

მართალია, ევროპულ ქვეყნებში ბევრი სტადიონი მუნიციპალიტეტებს ეკუთვნით და ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ჩვენთან არსებული ვითარება განსხვავებულ მიდგომასაც გვკარნახობს. აშკარაა, რომ სტადიონს კერძო მეპატრონე სჭირდება.

მაგალითისთვის, ეროვნული სტადიონის ბოლოდროინდელი მოუგვარებელი პრობლემაც იკმარებს: ზაფხულიდან მოყოლებული საფარი შესაცვლელია, მაგრამ ელემენტარული საკითხი ვერა და ვერ მოგვარდა - თბილისის ბიუჯეტი უკვე დამტკიცებულია და საფარის შესაცვლელად საჭირო 300 თუ 500 ათასი ლარის გამონახვა აგვისტოსა და წლის ბოლომდე შეუძლებელი იყო. ამისთვის, თბილისის 2011 წლის ბიუჯეტის დამტკიცებაა საჭირო. სხვაგვარად, საბიუჯეტო თანხებს მერია ვერავის გამოუყოფს. ესაა პრობლემის თავი და თავი.

ამ დროს ილია კოკაიამ როცა მოინდომა, უკრაინიდან ზესტაფონში ჩაიყვანა საფრის სპეციალისტი და გაზონი ერთ თვეში შეიცვალა. ერთი თვის წინ მადრიდის „რეალმა" „სანტიაგო ბერნაბეუზე" მინდვრის პრობლემა ხუთ დღეში 200 ათას ევროდ მოაგვარა და სამშაბათს „მილანთან" მატჩი თუ ნახეთ, მოგეწონებოდათ ხავერდივით მოედანი. ერთი კვირის წინ კი „ბარსელონამაც" შეცვალა „კამპ ნოუს" ბალახი.

ზემოთ ნახსენები სპეციალისტი ილია კოკაიამ ეროვნული სტადიონის საფრის სანახავად თბილისშიც ჩამოიყვანა. უკრაინელმა დიაგნოზი დასვა - შესაცვლელია არა მხოლოდ საფარი, არამედ ნიადაგიც, რომელიც ამჟამად 10-სანტიმეტრი სიღრმისაა და მოთხოვნებს ვერ პასუხობს. სტანდარტულად, 28 სანტიმეტრი მაინც უნდა იყოსო. მთლიანობაში, სტუმარმა განაცხადა, რომ პრობლემის ერთ თვეში მოგვარება შესაძლებელია. ახლა მთავარია, სტადიონი „ემ-ჯი ჯგუფს" დროულად გადაეცეს.

ცხადია მერიაც დაინტერესებული იყო, ქვეყნის მთავარი არენა კერძო მეპატრონისთვის გადაეცა - ამით სახელმწიფოს ხარჯი შემცირდებოდა. თუმცა როდის გადაუფორმებენ ობიექტს დაინტერესებულ კომპანიას, ჯერ უცნობია.

სტადიონთან დაკავშირებული პროცესების თაობაზე კომენტარი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ზვიად სიჭინავას ვთხოვეთ.

*„არ ვიცი, ეს საკითხი გადაწყვეტილია თუ არა, მაგრამ ძალიან გამიხარდება, თუკი სტადიონს ის ხალხი უპატრონებს, ვისაც ფეხბურთი უყვარს. თუკი ეს ფაქტი ილია კოკაიამ დაგიდასტურათ, მივესალმები, რადგან ამ ადამიანმა ზესტაფონში უკვე დაგვანახვა, რომ ძალიან უყვარს ფეხბურთი და არა მხოლოდ ამ რაიონის, მთლიანად ქართული ფეხბურთის განვითარებაში ბოლო წლებში უდიდესი წვლილი შეაქვს. კარგი იქნება, თუკი ეროვნულ სტადიონში ჩადებს ინვესტიციას და ევროსტანდარტების დონეს შეუსაბამებს"*, - გვითხრა სიჭინავამ.

ამ დღეებში გავრცელებული ინფორმაცია თბილისის „დინამოს" შესაძლო გასხვისებას უკავშირდებოდა: **ბადრი პატარკაციშვილის** ოჯახი გუნდს პრინციპულად არ ყიდის, მაგრამ თანახმაა გადასცეს იმ ბიზნესჯგუფს, რომელიც მას დააფინანსებს. „დინამოს" შესაძლო მყიდველადაც კოკაია დასახელდა, მაგრამ ბატონმა ილიამ ამის თაობაზე რიტორიკულად გვიპასუხა - *„მერე „ზესტაფონი" და იქაური გულშემატკივარი როგორ მივატოვო? რა თქმა უნდა, ბევრ ქვეყანაში ხდება, ერთი და იგივე ჯგუფი ორ და მეტ კლუბს ფლობს, მაგრამ ეს გაუმართლებელი მგონია".*

მართალია, ეს ამ თემას არ ეხება, მაგრამ აქვე გეტყვით, რომ კოკაია თბილისის ზღვაზე საფეხბურთო სკოლას აშენებს, სადაც სამი სტანდარტული მოედანი მოეწყობა, ფასიანი ჯგუფებით გაწვალებულ თბილისელებს კი სერიოზული სიურპრიზი ელით - ამ სკოლაში ბავშვებს უფასოდ ავარჯიშებენ.

ჩვენის მხრივ კი აუცილებლად ჩავთვალეთ გვეთქვა: ფეხბურთით საქართველოში ბოლო დროს სულ უფრო და უფრო მცირე ბიზნესმენი ინტერესდება. ამიტომაც, აუცილებელია, კოკაიას მსგავს იშვიათ გამონაკლისებს ხელი შეეწყოს. ჩვენ კარგად გვახსოვს ფეხბურთის ენთუზიასტები - „სამტრედიის" პრეზიდენტი **ტარიელ ჩაჩუა**, „კოლხეთის" პრეზიდენტი **დავით კუპრეიშვილი** და **ვალერი გეგიძე**, „შევარდენის" თავკაცი **ზურაბ ქიტუაშვილი**, გურჯაანის „ალაზანის" მეპატრონე **მიხეილ ფურცელაძე**, „ზესტაფონზე" გადამკვდარი **ვასილ ხაჭაპურიძე** და ა.შ, რომლებიც სწორედ ფეხბურთის სიყვარულმა გააკოტრა. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ხელშეწყობა არ ჰქონდათ. არადა, კლუბის, სტადიონისა და რომელიმე საფეხბურთო ობიექტის პატრონობით ისევ სახელმწიფო ბიუჯეტი ივსება. მაგალითად, ზესტაფონის სტადიონიდან რაიონის ბიუჯეტი წელიწადში 90 ათას დოლარამდე იღებს, კლუბში გაცემული ხელფასების საშემოსავლო გადასახადებიდან კი 300 ათას ლარზე მეტს. ახლა თავად განსაჯეთ, ასეთი ხალხის თანადგომა, რეალურად ფეხბურთის ხელშეწყობაა თუ თავად სახელმწიფოსი?

**მერაბ მამულაშვილი**

● ფიფას რეიტინგი

# საქართველო დაწინაურდა!

ფიფამ ოქტომბრის რეიტინგი გამოაქვეყნა. თუ წინა რეიტინგში საქართველო მოწინავე ასეულს დაუბრუნდა, ახლა კიდევ უფრო დავწინაურდით - 14-საფეხურიანი ნახტომის შემდეგ 75-ე ადგილზე ვართ.

ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჯგუფის მეტოქეთაგან ყველაზე დიდი წინსვლა სწორედ საქართველოს აქვს. ჩვენ გარდა, მხოლოდ ხორვატია დაწინაურდა, ისიც - ორი ადგილით, ათეულში დაბრუნდა და ამჟამად მე-9 საფეხურზეა.

საბერძნეთი უძრავადაა (მე-12 ადგილი), დანარჩენ ოთხივე მეტოქეს კი დაქვეითებამ მოუწია. ისრაელმა 20-ით, ხოლო მალტამ 18 საფეხურით დათმო პოზიცია. შესაბამისად ახლა ისინი 56-ე და 168-ე საფეხურებზე დგანან. ლატვიამ 4 ნაბიჯით დაიხია და მხოლოდ 3 ადგილით გვისწრებს. ბალტიისპირელები 72-ე ადგილზე არიან.

17 ნოემბრის ამხანაგურ მატჩში რომ კარგი სპარინგპარტნიორი გვყავს, ამაზე ფიფას რეიტინგიც მეტყველებს. სლოვენია 4 საფეხურით დაწინაურდა და ახლა მე-15 პოზიციაზეა.

| ოქტომბერი | |
|---|---|
| 1. (0) ესპანეთი | 1881 |
| 2. (0) ჰოლანდია | 1683 |
| 3. (+1) ბრაზილია | 1493 |
| 4. (-1) გერმანია | 1481 |
| 5. (0) არგენტინა | 1320 |
| 6. (0) ინგლისი | 1205 |
| 7. (0) ურუგვაი | 1167 |
| 8. (0) პორტუგალია | 1123 |
| **9. (+2) ხორვატია** | **1086** |
| 10. (+15) რუსეთი | 1061 |
| **12. (0) საბერძნეთი** | **1026** |
| 15. (+4) სლოვენია | 926 |
| **56. (-20) ისრაელი** | **525** |
| **72. (-4) ლატვია** | **448** |
| **75. (+14) საქართველო** | **431** |
| 168. (-18) მალტა | 76 |

საინტერესოა, თუ რომელ ადგილზე ვართ ევროპის ქვეყნებს შორის. ბოლო ნახტომით ფინეთს, მოლდოვასა და კვიპროსს გავუსწარით და მე-40 ადგილზე მოვკალათდით. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, რამხელა პროგრესი განიცადა საქართველომ ფიფას რეიტინგში წლის დასაწყისიდან დღემდე. მეტი თვალსაჩინოებისთვის წინა თვეებში ჩვენ მიერ დაკავებული ადგილების ჩამონათვალს გაგაცნობთ:

| წინა რეიტინგები | |
|---|---|
| 124 | იანვარი |
| 122 | თებერვალი |
| 124 | მარტი |
| 118 | აპრილი |
| 119 | მაისი |
| 120 | ივნისი |
| 111 | ივლისი |
| 110 | აგვისტო |
| 89 | სექტემბერი |
| 75 | ოქტომბერი |

როგორც ხედავთ, **თემურ ქეცბაიას** ხელმძღვანელობით ეროვნულ გუნდს 7-მატჩიანი წაუგებელი სერია და ფიფას რეიტინგში საგრძნობი წინსვლა აქვს. იანვრიდან ოქტომბრამდე ჯამში 49 ადგილით დავწინაურდით.

ბოლოს კი ვნახოთ, რა პოზიციაზე ვართ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის. თუ ადრე საქართველო მე-11 საფეხურზე იყო, ამჟამად 15-ეულის ზუსტად შუაში, მე-8 ადგილზე ვართ.

| პოსტსაბჭოთა ქვეყნები | |
|---|---|
| 10. (+15) რუსეთი | 1061 |
| 35. (-9) უკრაინა | 706 |
| 42. (+13) ბელარუსი | 623 |
| 48. (-6) ლიტვა | 577 |
| 60. (+45) სომხეთი | 515 |
| 72. (-4) ლატვია | 448 |
| 74. (+11) ესტონეთი | 435 |
| **75. (+14) საქართველო** | **431** |
| 78. (+2) მოლდოვა | 424 |
| 91. (+11) აზერბაიჯანი | 361 |
| 96. (+1) უზბეკეთი | 333 |
| 137. (-11) ყაზახეთი | 167 |
| 142. (-13) თურქმენეთი | 156 |
| 150. (-5) ტაჯიკეთი | 112 |
| 173. (-14) ყირგიზეთი | 60 |

**დავით ცაბაძე**

● ლეგიონერი

# მაურერი მათეს მისტირის

გასულ უქმეებზე „მიუნხენ 1860"-მა მეორე ბუნდესლიგაში **მათე ღვინიანიძის** გარეშე ითამაშა. შეგახსენებთ, რომ ჩვენებურ მცველს მუცლის კუნთი აქვს დაზიანებული, რის გამოც 8 და 12 ოქტომბრის სანაკრებო მატჩებზეც ვერ ჩამოვიდა. „ლომები" მის გარეშე „ობერჰაუზენს" უგოლოდ დაუზავდნენ. როგორც ჩანს, კარის „მშრალად" შენახვის მიუხედავად, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **რაინერ მაურერმა** დაცვაში სისუსტეები დაინახა. ამ ჭრილში მან ქართველი მცველის პლუსებზე გაამახვილა ყურადღება.

*„დაცვაში ღვინიანიძის არყოფნა იგრძნობა. მართალია, ობერჰაუზენში გოლი არ გაგვიშვია, მაგრამ სისუსტეები უკანა ხაზშიც გამოჩნდა. მათე მეტოქესთან ერთი-ერთზე ძალიან კარგად თამაშობს, ეს თვისება კი მცველის საიმედოობაზე მეტყველებს. იმედი მაქვს, ღვინიანიძე მალე აღიდგენს ფორმას და ჩვენი გუნდის დაცვაც უფრო საიმედო გახდება"*, - თქვა მაურერმა abendzeitung.de-სთან საუბარში.

„მიუნხენთან" დაკავშირებით აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირმა მათეს გუნდს 2 ქულა დააკლო. საქმე ისაა, რომ ბავარიელებმა ლიცენზირებისთვის საჭირო ფინანსური ინფორმაცია ვერ წარადგინეს. სანქციის შედეგი კი ასეთია - „მიუნხენი" 12 ქულით მე-7 ადგილზე აღმოჩნდა. 23 ოქტომბერს მაურერის საწყისო მაჩანჩალა „არმინიას" უმასპინძლებს.

**დავით ცაბაძე**

# ლოკომოტივი ფედერაციას გადაეცა


ზვიად სიჭინავა.

**საქართველოში სპორტული ობიექტების გასხვისება საკმაოდ რთული პროცესია, რასაც „ლოკომოტივის" სტადიონის ბოლო სამი წლის ისტორიაც ადასტურებს. თუმცა არ არის გამორიცხული, ამდენი წვალებისა და საკითხის გარკვევის შემდეგ, „ლოკომოტივი" ფეხბურთის ფედერაციას ჩაბარდეს. თბილისის მერიამ და ფედერაციის ხელმძღვანელებმა საკითხი სიტყვიერად შეათანხმეს, იურიდიული ფორმალობა კი უკვე მეხუთე თვეა გვარდება.**

**მალე შეიძლება, საკითხი გადაწყდეს: გუშინ, 19 ოქტომბერს, ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა შვეიცარიაში იმყოფებოდა. ის ნიონში უეფას ახალი შტაბბინის პრეზენტაციას დაესწრო და როგორც გავიგეთ, მიშელ პლატინისაც შეხვდა. სიჭინავას უნდა გაერკვია, თუ რა თანხით დაეხმარება უეფა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას „ლოკომოტივის" სტადიონის კეთილმოწყობაში. ფედერაცია კი ასაიდუმლოებს, მაგრამ ჩვენი ინფორმაციით, არქიტექტორებს სტადიონის რეკონსტრუქციის პროექტი შეუკვეთა და უკვე ჩაიბარა კიდეც - დაგეგმილია ინდივიდუალური სკამების სრული შეცვლა, ტრიბუნების ორივე მხარეს გადახურვა, ცხადია, საფრის შეცვლა და სათადარიგო მოედანთან სპორტული ტიპის სასტუმროს აშენება, რომელშიც გუნდები თუ ნაკრებები დაბინავდებიან.**

**გუშინ შვეიცარიიდან დაბრუნებულ ზვიად სიჭინავას უეფაში ვიზიტზე ველაპარაკეთ.**

>> მე-5 გვერდზე

● მინისტერიალის თასი 2010

# მერია უძლეველია



**სპორტისა** და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტულ კომპლექსში დამთავრდა სამინისტროებისა და სამთავრობო უწყებების მინიფეხბურთელთა ტურნირი „მინისტერიალის თასი 2010", რომელშიც 17 გუნდი მონაწილეობდა.

გუშინ ფინალში თბილისის მერიის ფეხბურთელებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები 1:0 დაამარცხეს და მთავარი პრიზი მოიპოვეს. მე-3 ადგილი წილად ხვდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, რომელმაც პენალტებით (5:3) თავდაცვის სამინისტროს აჯობა.

შეჯიბრების ორგანიზატორებმა საუკეთესო ფეხბურთელები გამოავლინეს: **ზაზა ლოლაშვილი** (მეკარე, სპორტის სამინისტრო), **მამუკა ამაშუკელი** (სამართლიანი მოთამაშე, თავდაცვის სამინისტრო), **თემურ გიორგაძე** (ბომბარდირი, 30 გოლი, მერია), **გიორგი მუშკუდიანი** (საუკეთესო ფეხბურთელი, შსს).

გამარჯვებულები, პრიზიორები და გამორჩეული მოთამაშეები თბილისის მერმა **გიგი უგულავამ** და სპორტის მინისტრმა **ლადო ვარძელაშვილმა** დააჯილდოვეს.

**ვაჟა დანელია**

## პირველი ლიგა. VIII ტური

### გორი–იმერეთი 2:0

1:0 გ. ნინამძღვრიშვილი (7), 2:0 ნ. ნიკ-ძე ნოზაძე (88)

გორი: ბ. კეჩხუაშვილი, გ. ქარქუზაშვილი, დ. ტლაშაძე, ო. ცარიელაშვილი, თ. შათირიშვილი, ნ. ნოდ-ძე ნოზაძე, გ. ნინამძღვრიშვილი, კ. ხანიშვილი (62. ი. ლომიძე), ნ. სადალაშვილი, დ. რაჟამაშვილი (84. ნ. ნიკ-ძე ნოზაძე), გ. სამადაშვილი (70. რ. გოგინაშვილი).

სათადარიგოები: ა. თათანაშვილი, ა. სირბილაძე, გ. მიხანაშვილი, ბ. რომელაშვილი.

მთავარი მწვრთნელი: რეზო ხაჟაპურიძე

იმერეთი: ი. შენგელია დ. ხაბურძანია, ვ. ბრეგაძე, ბ. ხაჭიპერაძე, ი. ვეკუა (65. დ. სულაბერიძე), რ. გვანცელაძე (43. გიორგი უგლავა), ა. მეტონიძე (82. გია ლიპარტელიანი), გ. გოდერიძე, ბ. ჩხეტიანი, გ. ქობალია, გ. ცაგარეიშვილი.

სათადარიგოები: ხ. მეძველია, დ. კუხალაშვილი, ა. გვამბერაძე, გ. ფარჯაშვილი.

მთავარი მწვრთნელი: დავით ჭელიძე

გაფრთხილება: თ. შათირიშვილი, ო. ცარიელაშვილი, ბ. ჩხეტიანი

არბიტრი: ვ. გუმბერიძე (თბილისი)

### IX ტური

### ბაგრა–სამგურალი 4:0

1:0 ვ. ორდინსკი (6), 2:0 ი. ხუციძე (8), 3:0 ვ. ორდინსკი (66), 4:0 მ. ნაკონეჩნი (71)

ბაგრა: ლ. ნადირაშვილი, ჯ. გაბუნია, გ. ტყეშელაშვილი, მ. ნაკონეჩნი, ნ. ჯიმკარიანი (80. ლ. ცხადაძე), ლ. შარიქაძე, ზვ. ჩხეტიანი, თ. მოსიაშვილი (74. გ. ნათენაძე), ა. ოვონიკოკო (68. გ. ყურულაშვილი), ი. ხუციძე, ვ. ორდინსკი.

სათადარიგოები: ი. ხომერიკი, დ. გიგაური, მ. კობერიძე, ე. კაჭახიძე.

მთავარი მწვრთნელი: ანატოლი პისკოვეცი

სამგურალი: დ. ხურცილავა, ზ. რაზმაძე, დ. ჩაკვეტაძე, ზვ. ჩიხლაძე, გ. ლიპარტელიანი (65. ზვ. კუხალაშვილი), ხ. უგრეხელიძე, ნ. უგრეხელიძე, გ. ...ედაძე, გ. უგულავა, ზვ. ქუთათელაძე, პ. მიქაძე (39. ლ. ნავერიანი).

სათადარიგოები: ბ. ფირცხალავა, მ. მესხი, გ. ბუხაიძე, რ. კოხრეიძე.

მთავარი მწვრთნელი: ელდარ ჯიმშელეიშვილი

გაფრთხილება: ნ. ჯიმკარიანი, ვ. ორდინსკი.

არბიტრი: ბ. ნინუა (ქუთაისი)

### მეშახტე–ადელი 3:1

1:0 გ. ჯულელი (12), 2:0 გ. ჯულელი (67), 2:1 ვ. დარჩიძე (76), 3:1 გ. ჯულელი (79)

მეშახტე: ი. ორბელაძე, ბ. შარვაშიძე, ა. ბუცხრიკიძე, ა. ქუთათელაძე, ვ. ვაჩიბერაძე, გ. ჯიშიაშვილი, გ. აბურჯანია, ა. ნოზაძე, ლ. კობახიძე (66. თ. შეყრილაძე), გ. ცუცქირიძე, გ. ჯულელი.

სათადარიგოები: დ. ოდიშარია, ა. გუბელაძე, ბ. ჯიშიაშვილი.

მთავარი მწვრთნელი: დავით გვენეტაძე

ადელი: ლ. ბეკტაშევი, ლ. კვანტალიანი, ლ. მახარაძე, მ. ფუტკარაძე (66. გ. ზოიძე), ნ. გოგუაძე, გ. ტვილდიანი, ვ. დარჩიძე, გ. ფალავანდიშვილი, ფ. მოროტიე (66. გ. გორჯელაძე), ნ. ნასუაშვილი, ლ. მამეიშვილი (38. ა. აბუსელიძე).

სათადარიგოები: ბ. რომანაძე, ნ. ნულუკიძე, ზ. მჟავანაძე, მ. მუშამბიძე

მთავარი მწვრთნელი: სოსო ნასუაშვილი.

გაფრთხილება: ლ. მახარაძე, ლ. მამეიშვილი, ა. ნოზაძე, ნ. გოგუაძე, ფ. მოროტიე, თ. შეყრილაძე.

არბიტრი: გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

### მარტვილი–ლოკომოტივი 1:0

1:0 ტაპე (66)

მარტვილი: ჯ. შეროზია, გ. ჟვანია, ვ. იობაშვილი, ა. სუხიაშვილი, თ. კაკუშაძე (87. ი. შარანგია), გ. ილურიძე, ჯ. იატრო (65. გ. ნონორია), დ. ბერუაშვილი, მ. ტაპე, ლ. კუჭუხიძე, გ. ამბროლაძე (46. ო. ტორაძე).

სათადარიგოები: ი. ხვადაგიანი, ი. ფაცაცია, კ. მელიავა, ა. ბილიხოძე.

მთავარი მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

ლოკომოტივი: თ. ნიორაძე, ჯ. მიქავა, გ. ხატიაშვილი, ზ. გვაძაბია, ზ. ქაჯაია, გ. ბოჭორიშვილი (68. ბ. მახარაძე), რ. ნულაძე, ნ. შერაზადიშვილი, მ. ხოკერაშვილი (39. დ. ბაქრაძე), თ. ჩარგეიშვილი, თ. ბახტაძე (74. დ. ჩაგელიშვილი).

სათადარიგოები: გ. ნაჭყებია, გ. მჭედლიშვილი, გ. დიაკვნიშვილი. ი. გონაძე.

მთავარი მწვრთნელი: ლ. ჭალიაშვილი

არბიტრი: ზ. ანიაშვილი (გორი).

### ნ/დინამოელი–ჩიხურა 2:1

1:0 ა. ხვთისავრიშვილი (39), 1:1 თ. მეტრეველი (57), 2:1 გ. ლომიძე (84)

ნ/დინამოელი: დ. გლოველი, გ. ბერიშვილი, გ. ლომიძე, ვ. კაკაშვილი, გ. ჯელაძე, ა. შენგელია, ზვ. კვარაცხელია (82. ო. გაგნიძე), ა. ხვთისავრიშვილი, ლ. ლაბარტყავა (61. ბ, აბალბედაშვილი), ი. ქავთარაძე, გ. მაისურაძე (68. თ. ტაბატაძე).

სათადარიგოები: ნ. ჯალალონია, ლ. თვალავაძე, გ. ოდიშარია, გ. თანიაშვილი.

მთავარი მწვრთნელი: ვალერიან გაგუა

ჩიხურა: ზ. მწყერაშვილი, ქ. ქამუშაძე, ვ. ზივზივაძე, თ. მეტრეველი (84. ა. ალავიძე), ბ. პეტრიაშვილი (46. ა. ივანიშვილი), გ. ენუქიძე (46. თე. მუშლაძე), ი. გვეტაძე, ი. ზაბახიძე, ი. ტყებუჩავა, ლ. ჩიკვაიძე, ნ. მაჭარაშვილი.

სათადარიგოები: შ. დოლაძე, გ. ცარციძე, ი. ჭილლაძე, მ. მიქაძე.

მთავარი მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

გაფრთხილება: ა. ხვთისავრიშვილი

არბიტრი: მ. ურუშაძე (თბილისი)

### ჭიათურა–სქური 1:0

1:0 ჯ. ლაშხი (88).

ჭიათურა: ა. დარბაიძე, ნ. ტყემალაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ბ. გუმბერიძე, გ. მეცხოვრიშვილი, ლ. ცუცქირიძე, თ. კურტანიძე, დ. ტაბატაძე, ზ. ნოზაძე, გ. ზაბახიძე (60. თემური მიშველიძე), დ. სუვასტოპული (51. ჯ. ლაშხი).

სათადარიგოები: ი. კახნიაშვილი, ჯ. კაპანაძე, თემური მიშველიძე, გ. ბადურაშვილი.

მთავარი მწვრთნელი: ამირან ხუვასტოპულო

სქური: ა. მაჭავარია, ლ. სვირავა, ვ. ფარცვანია, ნ. შონია, დ. კვიტატიანი, პ. ქოშეთიანი, დ. რაფავა (70. დ. თოდუა), ბ. გუჯეჯიანი, ლ. გაბუნია, გ. ქირია, დ. კუტალია.

სათადარიგოები: ტ. ბარჩილავა, თ. გურგედავა, ჯ. ყურუა, დ. ჩაბავა, ლ. არდაშელია, ა. ყველაშვილი.

მთავარი მწვრთნელი: ვასო გულორდავა

გაფრთხილება: ლ. ჭურციკიძე, თ. კურტანიძე, თემური მიშველიძე

გაძევება: ბ. გუჯეჯიანი.

არბიტრი: ა. გუნთაძე (ლანჩხუთი)

### გურია–ჩხერიმელა 4:3

1:0 ა. დოლონაძე (8), 2:0 ა. დოლონაძე (14), 3:0 რ. კუკულაძე (28), 3:1 თ. დანელია (32), 3:2 ლ. მაჩალაძე (62), 3:3 დ. კოსტავა (68), 4:3 იაგო დეისაძე (71).

გურია: ლ. ეზიეშვილი, ჯ. გოგობერიძე, რ. კუკულაძე, თ. ქურიძე (67. ს. ფირცხალაიშვილი), ი. კილაძე, კ. ძაგანია (74. ლ. რუსიეშვილი), გ. თოლორდავა (61. გ. შენირული), იაგო დეისაძე, ნ. ტოროტაძე, ტ. კუკულაძე, ა. დოლონაძე.

სათადარიგოები: მ. გოგუაძე, გ. კუკულაძე, ნ. ებრალიძე, გ. ჭეიშვილი.

მთავარი მწვრთნელი: გია ჩხაიძე.

ჩხერიმელა: ი. კუჭუხიძე, ი. ლიბრაძე, ნ. ხარაბაძე, ვ. თაბუკაშვილი, გ. ზაქარაშვილი, ლ. ქურდაძე, ლ. მაჩალაძე, ვ. ჭაჭიაშვილი (81. გ. მეტრეველი), დ. კოსტავა, ჯ. ავალიშვილი, თ. დანელია.

სათადარიგოები: მ. ლომსაძე, გ. ხეცურიანი, ბ ტყეშელაშვილი, ც. ნანიტაშვილი

მთავარი მწვრთნელი: ლევან ჭყოიძე

გაფრთხილება: ნ. ტოროტაძე, ვ. ჭაჭიაშვილი, ლ. ქურდაძე.

არბიტრი: თ. ხუჭუა (სამტრედია)

### ბათუმი–გორი 2:2

0:1 ნ. ნოდ-ძე ნოზაძე (42), 1:1 თ. ბერიძე (56), 1:2 ი. ლომიძე (84), 2:2 გ. ბოხუა (90+4)

ბათუმი: თ. კაკალაძე, დ. სამსეიშვილი, ნ. ხუხია, გ. კაჭკაჭიშვილი, ლ. რამიშვილი, ზვ. ლობჟანიძე, ე. გრიგალაშვილი (46. თ. ბერიძე), ა. ბაციკაძე (40. მ. ჯორბენაძე), გ. მანწკავა (70. ა. ბაჯელიძე), ბ. დემურაძე, გ. ბოხუა.

სათადარიგოები: დ. მალაზონია, მ. ჟვანია, გ. გოგიტიძე, დ. კეკელიძე.

მთავარი მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე.

გორი: ბ. კეჩხუაშვილი, დ. ტლაშაძე, გ. ქარქუზაშვილი, ო. ცარიელაშვილი, თ. შათირიშვილი, ნ. სადალაშვილი (45. ი. ლომიძე), კ. ხანიშვილი, ნ. ნოდ-ძე ნოზაძე, დ. რაჟამაშვილი (80. გ. მიხანაშვილი), გ. ნინამძღვრიშვილი, გ. სამადაშვილი (55. რ. გოგინაშვილი).

სათადარიგოები: ა. თათანაშვილი, ა. სირბილაძე, ნ. ნიკ-ძე ნოზაძე, შ. პაპიტაშვილი.

მთავარი მწვრთნელი: რეზო ხაჟაპურიძე.

გაფრთხილება: თ. სამსეიშვილი, თ. ბერიძე, დ. ტლაშაძე, დ. რაჟამაშვილი.

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

### იმერეთი–მერცხალი 3:1

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ. | ბურთები გაშ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაგრა | 9 | 7 | 2 | 0 | 26 | 8 | 23 |
| 2 | მარტვილი | 9 | 6 | 2 | 1 | 23 | 8 | 20 |
| 3 | მეშახტე | 9 | 5 | 1 | 3 | 17 | 15 | 16 |
| 4 | გორი | 9 | 4 | 4 | 1 | 15 | 10 | 16 |
| 5 | გურია | 9 | 5 | 0 | 4 | 21 | 22 | 15 |
| 6 | ბათუმი | 8 | 3 | 3 | 2 | 15 | 5 | 12 |
| 7 | ჩიხურა | 9 | 3 | 3 | 3 | 13 | 13 | 12 |
| 8 | სქური | 9 | 3 | 2 | 4 | 11 | 11 | 11 |
| 9 | ლოკომოტ | 8 | 3 | 2 | 3 | 13 | 14 | 11 |
| 10 | სამგურალი | 8 | 3 | 2 | 3 | 9 | 15 | 11 |
| 11 | იმერეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 11 | 14 | 10 |
| 12 | ნდინამო | 8 | 3 | 0 | 5 | 15 | 20 | 9 |
| 13 | მერცხალი | 9 | 2 | 2 | 5 | 14 | 26 | 8 |
| 14 | კოლხეთი (ხ) | 8 | 1 | 5 | 2 | 7 | 8 | 8 |
| 15 | ჭიათურა | 8 | 2 | 0 | 6 | 6 | 21 | 6 |
| 16 | ჩხერიმელა | 8 | 0 | 6 | 2 | 12 | 14 | 6 |
| 17 | ადელი | 8 | 1 | 1 | 6 | 9 | 13 | 4 |

### დუბლიორები. X ტური

### ტორპედო–ზესტაფონი 1:1

1:0 რ. კვერნაძე (8), 1:1 ბ. ბიბილაშვილი (57-საჯ. კარ)

გაფრთხილება: რ. გენაძე, ს. ლომია, თ. ჯანაშია, ბ. შარვაძე.

არბიტრი: კ. მესხი.

### სიონი–ბაია 2:0

1:0 მ. ოქროპირიძე (12), 2:0 მ. ოქროპირიძე (74)

გაფრთხილება: ო. ლაბაძე, ლ. უგულავა, ვ. უგრეხელიძე, გ. კვანტალიანი გ. ქვარცხავა, კ. ახალაია

არბიტრი: ბ. ნინუა

### საგარეჯო–დინამო 0:3

0:1 ზვ. ქანთარია (3), 0:2 ზვ. ქანთარია (11), 0:3 ე. ავსაჯანიშვილი (82)

არბიტრი: ბ. გლუშჩუკი

### ვიტ ჯორჯია–ოლიმპი 1:0

1:0 გ. გურეშიძე (31)

გაფრთხილება: ბ. ამაშუკელი, გ. გურეშიძე

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

### სამტრედია–კოლხეთი (ფ) 1:4

0:1 დ. ციცხვაია (5), 0:2 დ. ციცხვაია (10), 1:2 ვ. ხაჟალია (48-პენ), 1:3 დ. კუკულაძე (61), 1:4 დ. ციცხვაია (79)

გაფრთხილება: ა. დვალიშვილი, ზ. პერტენავა, გ. ლემონჯავა.

გაძევება: გ. ლემონჯავა

არბიტრი: დ. სანოძე

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 10 | 7 | 1 | 2 | 22-9 | 22 |
| 2. ტორპედო | 10 | 6 | 3 | 1 | 20-10 | 21 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 10 | 5 | 1 | 4 | 15-14 | 16 |
| 4. ბაია | 10 | 5 | 1 | 4 | 18-20 | 16 |
| 5. სამტრედია | 10 | 4 | 1 | 5 | 11-19 | 13 |
| 6. სიონი | 10 | 3 | 3 | 4 | 19-20 | 12 |
| 7. კოლხეთი | 10 | 3 | 2 | 5 | 14-19 | 11 |
| 8. საგარეჯო | 10 | 3 | 2 | 5 | 15-13 | 11 |
| 9. ოლიმპი | 10 | 2 | 3 | 5 | 17-22 | 9 |
| 10. ზესტაფონი | 10 | 2 | 3 | 5 | 16-21 | 9 |

## ლეგიონერები



# კალაძე ჯენოას დაუბრუნდა

## დევდარიანის ერთი, ადამიას დუბლი

გუშინ გამართულ მატჩებში სამი ქართველის გუნდმა ითამაშა, თან ყველამ წარმატებულად და რაც მთავარია, სამივე ჩვენებურმა ისპარეზა. უფრო მეტიც, სამი ქართული გოლი გავიდა. ტრიოდან ყველას არ გაუტანია, თუმცა მესამესაც შეეძლო თავის გამოჩენა. ლეგიონის გუშინდელი ამბის მიმოხილვაც **კახა კალაძით** დავიწყოთ.

იტალიის თასის მესამე ეტაპზე კალაძის „ჯენოამ" სერია B-ს მე-14 ადგილზე მყოფ „გროსეტოს" უმასპინძლა. მოგეხსენებათ, სათასო დაპირისპირება სპეციფიკურია, მით უმეტეს, როცა მომდევნო ეტაპზე გამსვლელის ვინაობას ერთი მატჩი წყვეტს.

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენი ნაკრების კაპიტანი პაუზის შემდეგ „ჯენოას" შემადგენლობაში კვლავ სასტარტოში გამოჩნდა. როგორც ჩანს, ქვედალიგოსანმა „გროსეტომ" სენსაციის ავტორობა ჩაიფიქრა. მართალია, მატჩი გენუელთა უპირატესობით წარიმართა, მაგრამ ჩვენებურის გუნდს სტუმართა გატეხვა გაუჭირდა. „გროსეტო" კარის უსაფრთხოებაზე იყო ორიენტირებული, კონტრშეტევაზე მწვავედ „იკბინებოდა" და 52-ე წუთზე **ჯანლუკა ფრედიმ** ანგარიშიც გახსნა. გასპერინიმ სამი მცველით ათამაშა გუნდი, უკანა ხაზზე კახა კალაძე მარცხენა ფრთაზე ირჯებოდა. ამ მატჩის ონლაინ რეპორტაჟიდანაც ნათლად ჩანს, რომ კახა დაცვაში საიმედოდ ირჯებოდა და შეტევით ოპერაციაშიც აქტიურად მონაწილეობდა. მეტიც, ჩვენებურს საგოლე შანსიც ჰქონდა, მაგრამ... მეორე ტაიმის შუაწელს **ლუკა ტონის** დარტყმული სტუმართა მეკარემ მოიგერია და კალაძემ მახვილი კუთხიდან დაამატა, მაგრამ უშედეგოდ. გენუელები ისევ ტონიმ იხსნა, მატჩის დასრულებამდე 8 წუთში გამოცდილმა მეგოლემ წონასწორობა აღადგინა და შეხვედრა დამატებით დროში გადაიყვანა. ის-ის იყო საქმე პენალტებამდე მიდიოდა, რომ მეორე დამატებითი ტაიმის დამთავრებამდე წუთით ადრე ლუკა ტონიმ დუბლი გაიფორმა და „ჯენოა" თასის მომდევნო ეტაპზე გაიყვანა.

დანიის პირველი ლიგის ლიდერმა, დავით დევდარიანის „ორჰუსმა" მორიგი მატჩი მოიგო და ლიდერობა განიმტკიცა. დევდარიანმა და კომპანიამ აუტსაიდერი „ფინი" იმსხვერპლეს, 4:1. დავით დევდარიანი სასტარტო შემადგენლობაში იყო და 47-ე წუთზე 3:0 გახადა ანგარიში. გოლის გატანიდან 12 წუთში ქართველი შემტევი ნახევარმცველი **კასპერ სლოტმა** შეცვალა. აღსანიშნავია ისიც, რომ მიმდინარე სეზონში ეს დევდარიანის მე-5 გოლია. ჩვენებურის გუნდს 11 მატჩში 27 ქულა აქვს და უახლოეს მდევარ „ვეილეს" 3 ქულით უსწრებს.

აზერბაიჯანის პრემიერლიგაში კიდევ ერთხელ გაიბრწყინა **გიორგი ადამიამ**. ქართველმა თავდამსხმელმა ყოფილი გუნდი, „ბაქო" დუბლით „დააჯილდოვა". „ყარაბაღმა" 2:0 სწორედ გიორგის დუბლით მოიგო. ადამია სასტარტო შემადგენლობაში იყო და 67-ე წუთზე შეცვალეს. ჩვენებურმა გოლები 25-ე და 66-ე წუთებზე გაიტანა. ამ მოგებით „ყარაბაღს" 17 ქულა დაუგროვდა და ცხრილში მე-4 ადგილზე აინაცვლა.

**დავით ცაბაძე**

## კლუბები და ინფრასტრუქტურა

# ლოკომოტივი ფედერაციას გადაეცა

« მე-4 გვერდიდან

**- ბატონო ზვიად, უეფადან რა დაპირება მიიღეთ?**

- ფეხბურთის ფედერაცია დაინტერესებულია „ლოკომოტივის" სტადიონის კეთილმოწყობით. უეფას ხელმძღვანელებს ვაცნობეთ, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით, სტადიონი ფედერაციას გადმოეცა და ვთხოვეთ შეიქმნას კომისია, რომელიც თბილისში გვესტუმრება და თავად შეაფასებს, რა არის გასაკეთებელი, ევროპული სტანდარტები რომ დააკმაყოფილოს. ამას გარდა, ოფიციალურ წერილში უეფას სტადიონის რეკონსტრუქციაში ფინანსური დახმარებაც ვთხოვეთ.

**- სოლიდურ თანხებზეა ლაპარაკი?**

- რა თქმა უნდა. უეფა ახლო მომავალში გაგვცემს პასუხს, როდის ჩამოვა კომისია და რა თანხით დაგვეხმარება. ამის შემდეგ ჩვენ ინვესტორების მოძებნა უნდა დავიწყოთ. ეს იმიტომ, რომ უეფას პრინციპია მშენებლობაში თანამონაწილეობაა. ამგვარად ეს ორგანიზაცია მის წევრ ქვეყანებს მშენებლობის სტიმულს აძლევს.

**- სათადარიგო სტადიონიც გადმოგეცემათ?**

- ლაპარაკია „ლოკომოტივის" მთლიან კომპლექსზე და ცხადია, სათადარიოგო მოედანიც იგულისხმება. პროექტში მისი მოედნის შეცვლაცაა გათვალისწინებული.

**- როგორც ვიცით, სტადიონის რეკონსტრუქციის გეგმა უკვე არსებობს.**

- გარკვეული მონახაზი მართლაც არსებობს. საბერძნეთის ნაკრებმა „ოლიმპიაკოსის" სტადიონზე გვიმასპინძლა, რომ არენა კარგად დავათვალიერე. ეს სტადიონი 30 ათას მაყურებელს იტევს, ანუ დაახლოებით იმდენივეს, რამდენსაც ჩვენი „მიხეილ მესხი". განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ჩვენი გადასახურია. უეფას წარმომადგენელთან ვილაპარაკეთ, რომ „ლოკომოტივის" გადაკეთება „ოლიმპიაკოსის" ვარიანტში გვსურს, რომ უნდა გახდეს ეროვნული სტადიონი და მოხმარდება ჩვენს ნაკრებებსა და ევროთასებზე გასულ ქართულ კლუბებს.

უეფა უპირველეს ყურადღებას უსაფრთხოებას აქცევს და ამ კუთხით ყველა პრობლემის მოვაგვარება გვსურს. ამას გარდა, უნდა მოეწყოს ვიპ და მაყურებელთა მანქანების პარკირების ადგილი, ტრიბუნები მთლიანად გადაიხუროს, შესასვლელში დამონტაჟდეს ელექტრონული ბილეთების გასატარებელი მოწყობილობები და შეიცვალოს როგორც ცენტრალური, ასევე სათადარიგო სტადიონის მოედნები.

**- სათადარიგო სტადიონზე ახალი ტრიბუნები მოეწყობა?**

- მხოლოდ მცირე მოცულობის, მაქსიმუმ 2500 მაყურებელი რომ დაიტიოს, მაგრამ ასეთ სტადიონზე ჩვენი ეროვნული პირველობის მატჩის გამართვა სავსებით შესაძლებელია და ვფიქრობ, უფრო კომფორტულიც იქნება. ჩემი აზრით, კარგი პროექტი უნდა გამოვიდეს.

სხვათა შორის, მხოლოდ უეფას იმედად არ ვართ. ზემოთ ნათქვამს, წესით, ფიფას დახმარებაც უნდა დაემატოს. ამ ორგანიზაციის დეპარტამენტის დირექტორთან ვილაპარაკეთ და მიწვევას ველოდებით. ჩვენი წინადადებაა, რომ პროექტ „გოლ4"-ის ეგიდით გათვალისწინებული დაფინანსებაც „ლოკომოტივისთვის" გამოიყოს და სათადარიგო მოედანთან ასაშენებელ სასტუმროში საფეხბურთო აკადემია დაარსდეს.

**მერაბ მამულაშვილი**

# კლუბები და სტადიონები მეპატრონეთა მოლოდინში

**ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერი სფეროს განვითარება ეკონომიკის მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ასეა ჩვენთანაც. თუმცა ბოლო დროს ქართული საკლუბო ფეხბურთი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უშუალოდ დაუკავშირდა. მაგალითად, ბოლნისის „სიონი" ოქტომბრის დასაწყისისთვის „მადნეულს" უნდა გადასცემოდა, მაგრამ საკითხი დღემდე განიხილება.**

**სააქციო საზოგადოება „მადნეულის" წარმომადგენელი გიორგი არევაძე ამბობს:**



გიორგი არევაძე

- „სიონი" დღემდე სახელმწიფო საკუთრებაშია და „მადნეულს" არ გადასცემია. ამის გამო, ჯერჯერობით, ჩვენი კომპანია ბოლნისურ კლუბში სპონსორად ფიგურირებს.

**- როგორც გვახსოვს, გუნდი ოქტომბრის დასაწყისში უნდა გადმოეცათ და რა საკითხი დარჩა მოუგვარებელი?**

- მოუგვარებელია-მეთქი, ვერ ვიტყვი, რადგან არსებობს საკუთრების ერთიდან მეორე მეპატრონის ხელში გადაცემის წესი, რომელსაც ვერავინ გადაახტება. ახლა სწორედ ეს იურიდიული ფორმალობის აღსრულებაა დარჩენილი.

**- საერთოდ, „მადნეული" რა ხნით აპირებს „სიონის" პატრონობას? ერთი წლით, ორით თუ უფრო ხანგრძლივი პერიოდით?**

- ესეც ზუსტდება, თუმცა „სიონს" ჩვენ უკვე ვპატრონობთ. მთავარია, რა პირობებს შემოგვთავაზებენ.

**- რამდენიმე წლის განმავლობაში „მადნეული" ეროვნულ ნაკრებსაც სპონსორობდა...**

- ახლა მხოლოდ ბოლნისის „სიონის" სპონსორია. ვიყავით ეროვნული ნაკრების სპონსორი, მაგრამ აღარ ვართ.

**- როგორც შევიტყვეთ, საკლუბო ფეხბურთზე ფეხბურთის ფედერაციასთან შეთანხმებით გადაერთვეთ.**

- ეს საკითხი ფეხბურთის ფედერაციის დონეზე არ გადაწყვეტილა, ყოველ შემთხვევაში, ნაკრები აღარ ფინანსდება.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანსზეა გადასული ფოთის „კოლხეთიც", ზუგდიდის „ბაია" და „სამტრედია". ქვეყანას, რომელიც მსოფლიო ბაზარზე ბიზნესსაკითხებისა და იურიდიული ფორმალობის სწრაფი მოგვარებით დადებით იმიჯს იმკვიდრებს, ანალოგიური ოპერატიულობა სპორტული ობიექტების გასხვისებაშიც არ აწყენდა. არადა, „ლოკომოტივი" და ეროვნული სტადიონები დიდი ხანია კერძო მეპატრონის მოლოდინშია, უმაღლესი ლიგის ოთხი კლუბი კი - მეოთხე თვეა. ამ უკანასკნელთათვის სეზონის მესამედი მიილია და დრო აღარ ითმენს...

**მერაბ მამულაშვილი**

## უცხოური ფეხბურთი

### ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური

# ბლიცი და ჰეთ თრიკი სან სიროზე

## გარეთ ბეილს სასწაულამდე წამები დააკლდა



გარეთ ბეილის მორიგი გოლი ინტერის კარში

უცნაური მატჩი ვიხილეთ „სან სიროზე" - **რაფაელ ბენიტესის** გუნდმა სულის მოთქმა არ აცალა „ტოტენჰემს" ისე გაუტანა 4 გოლი. ჯერ **სამუელ ეტოოს** პასით გუნდის კაპიტანმა **ხავიერ ძანეტიმ** დალაშქრა სტუმართა კარი. შემდეგ სტუმართა გოლკიპერმა **გომესმა** საჯარიმოში 22 წლის ინტერელი **ჯონათან ბიაბიანი** წააქცია, რისთვისაც პენალტი და წითელი ბარათი „დაიმსახურა". ეტოომ სათადარიგო გოლკიპერ **კარლო კუდიჩინის** გაუტანა. მალევე **სტანკოვიჩმა** 3:0 გახადა ანგარიში, ხოლო ეტოომ დუბლი შეასრულა. 35 წუთში „სან სიროზე" 4:0 იყო.

დაიწყო მეორე ტაიმი და სულ სხვა სცენარი ვიხილეთ, „ინტერი" დადგა, ხოლო „ტოტენჰემის" შემადგენლობაში იყო ერთი ფეხბურთელი, რომელიც ვერაფრით ეგუებოდა სამარცხვინო წაგებას - **გარეთ ბეილი.** მარცხენაფლანგელმა მეორე ტაიმში ჰეთ თრიკი შეასრულა „ინტერის" კარში (განსაკუთრებით ლამაზი მეორე გოლი იყო) და დრო რომ ჰყოფნოდა, ვინ იცის, იქნებ სენსაციური შემობრუნების მომსწრენიც გავმხდარიყავით.

წუხანდელი მატჩების შემდეგ 9-ქულიანთა რიცხვი ხუთამდე გაიზარდა - „ლიონმა" შინ 2:0 სძლია 10 კაცის ამარა დარჩენილ „ბენფიკას" და სამი თამაშიდან ამდენივე მოგება დააგროვა. საფრანგეთის პირველობაში კატასტროფულად მოთამაშე გუნდი, ჩემპიონთა ლიგაზე ბრწყინავს. სხვა თამაშებიდან ალვნიშნავთ **რაულ გონსალესის** დუბლს „შალკეს" შემადგენლობაში. გერმანულმა გუნდმა უპრობლემოდ დაამარცხა „ჰაპოელი" - 3:1. სხვათა შორის, „შალკეც" „ლიონის" კატეგორიისა - შინაურ ჩემპიონატში ვერც **მაგათის** გუნდი ყოჩაღობს. გეტყვით, რომ „რუბინის" მწვრთნელმა „პანათინაიკოსთან" მატჩის განაცხადშიც კი არ შეიყვანა ქართველი მცველები **ლაშა სალუქვაძე** და **დავით კვირკველია**. დუბლი შეასრულა **ლიონელ მესიმაც.**

### A ჯგუფი

**ტვენტე–ვერდერი 1:1**

**ტვენტე (4-3-3):** მიჰაილოვი - როსალესი, დუგლასი, ვისგერჰოფი (24. ბენგტსონი), ტიენდალი - ბრამა, ლანდზაატი (86. დე იონგი), იანსენი - რუისი, იანკო, ჩადლი.

**ვერდერი (4-2-3-1):** ვიზე (37. მიელიცი) - ფრიტცი, მერტეზაკერი, პრიოდლი, პასანენი - ვესლი, ფრინგსი - ჰანტი, პისარო, ბარგფრედე (77. მარინი) - ალმეიდა (59. არნაუტოვიჩი).

**გოლები:** 1:0 იანსენი (75), 1:1 არნაუტოვიჩი (80)

**მაყურებელი:** 24 000

**არბიტრი:** კ. ბო ლარსენი (დანია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: ტვენტე**

**პირველი კუთხური: ტვენტე**

**პირველი ჯარიმა: ვერდერი**

**პირველი გაფრთხილება: ვერდერი**

| | | |
|---|---|---|
| 12 (6) | დარტყმა | 8 (5) |
| 19 | ჯარიმა | 10 |
| 5 | კუთხური | 5 |
| 2 | გაფრთხილება | 1 |
| 54% | ბურთის ფლობა | 46% |

**ინტერი–ტოტენჰემი 4:3**

**ინტერი (4-2-3-1):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, სამუელი, კივუ (61. პანდევი) - ხ. ძანეტი, სტანკოვიჩი (50. სანტონი) - კოუტინიო, სნეიდერი, ბიაბიანი (75. კორდობა) - ეტოო.

**ტოტენჰემი (4-4-1-1):** გომესი - ჰატონი, გალასი, ბასონგი, ასუ-ეკოტო - ლენონი, ჯენასი, ჰადლსტოუნი (80. პალასიოსი), ბეილი - მოდრიჩი (11. კუდიჩინი) - კრაუჩი (67. კინი).

**გოლები:** 1:0 ძანეტი (2), 2:0 ეტოო (11-პენ), 3:0 სტანკოვიჩი (14), 4:0 ეტოო (35), 4:1 ბეილი (52), 4:2 ბეილი (90), 4:3 ბეილი (91)

**გაძევება:** გომესი (8)

**მაყურებელი:** 80 000

**არბიტრი:** დ. სკომინა (სლოვენია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: ტოტენჰემი**

**პირველი კუთხური: ტოტენჰემი**

**პირველი ჯარიმა: ინტერი**

**პირველი გაფრთხილება: ინტერი**

| | | |
|---|---|---|
| 22 (12) | დარტყმა | 7 (3) |
| 9 | ჯარიმა | 8 |
| 3 | კუთხური | 2 |
| 1 | გაფრთხილება | 1 |
| 59% | ბურთის ფლობა | 41% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 10-5 | 7 |
| 2. ტოტენჰემი | 3 | 1 | 1 | 1 | 9-7 | 4 |
| 3. ტვენტე | 3 | 0 | 2 | 1 | 4-7 | 2 |
| 4. ვერდერი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-7 | 2 |

### B ჯგუფი

**შალკე–ჰაპოელი 3:1**

**შალკე (4-1-2-1-2):** ნოიერი - უჩიდა, ჰიოვედესი, მეტცელდერი, შმიტცი - ჯონსი (75. ჯონსი) ფარფანი (67. იუნმინი), მორიტცი (53. რაკიტიჩი) - ხურადო - რაული, ჰუნტელაარი.

**ჰაპოელი (4-5-1):** ენიემა - კენდე, ბადეერი, დუგლასი, შიში - აბუტბული (58. ტომა), იადინი (73. ფრანსმენი), ზაჰავი, ვერმუთი - შეხტერი, ტამუზი (58. საჰარი).

**გოლები:** 1:0 რაული (3), 2:0 რაული (58), 3:0 ხურადო (68), 3:1 შეხტერი (93)

**მაყურებელი:** 50 900

**არბიტრი:** უ. კოლუმი (შოტლანდია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: ჰაპოელი**

**პირველი კუთხური: ჰაპოელი**

**პირველი ჯარიმა: ჰაპოელი**

**პირველი გაფრთხილება: ჰაპოელი**

| | | |
|---|---|---|
| 20 (10) | დარტყმა | 6 (2) |
| 18 | ჯარიმა | 12 |
| 7 | კუთხური | 2 |
| 1 | გაფრთხილება | 1 |
| 49% | ბურთის ფლობა | 51% |

**ლიონი–ბენფიკა 2:0**

**ლიონი (4-3-3):** ლორისი - რევეიერი, კრისი, დიახატე, სისოხო - პიანიჩი, გონალონი, გურკუფი (71. კალსტრიომი) - ბრიანი, ლოპესი (82. გომისი), ბაშტოში (64. პიე).

**ბენფიკა (4-4-2):** რობერტო - მაქსი პერეირა, ლუიზაო, დავიდ ლუისი, ფ. კოენტრაო - ხავი გარსია, აიმარი (71. ხარა), კარლოს მარტინში (77. სალვიო), გაიტანი - სავიოლა (57. პეიშოტო), კარდეცი.

**გოლები:** 1:0 ბრიანი (21), 2:0 ლოპესი (51)

**გაძევება:** გაიტანი (43)

**მაყურებელი:** 38 000

**არბიტრი:** უ. მალენკო (ესპანეთი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: ბენფიკა**

**პირველი კუთხური: ბენფიკა**

**პირველი ჯარიმა: ბენფიკა**

**პირველი გაფრთხილება: ბენფიკა**

| | | |
|---|---|---|
| 18 (7) | დარტყმა | 7 (0) |
| 14 | ჯარიმა | 15 |
| 3 | კუთხური | 8 |
| 1 | გაფრთხილება | 4 |
| 60% | ბურთის ფლობა | 40% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-1 | 9 |
| 2. შალკე | 3 | 2 | 0 | 1 | 5-2 | 6 |
| 3. ბენფიკა | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 4. ჰაპოელი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-8 | 0 |

### C ჯგუფი

**მანჩესტერი–ბურსა 1:0**

**მანჩესტერი (4-2-3-1):** კუშჩაკი - რაფაელი, სმოლინგი, ვიდიჩი, ევრა - ფლეტჩერი, კერიკი, ანდერსონი (78. ერნანდესი) - ნანი, მაკედა, პარკი (71. ობერტანი).

**ბურსა (4-4-2):** ივანკოვი - თანტოგანი (71. კეჩელი), იომერი, სტეპანოვი (46. იბრაჰიმი), ვედერსონი - შენი, ერგიჩი, სვენსონი, იპეკი - ინსუა, ილდირიმი (46. თურგაი).

**გოლები:** 1:0 ნანი (7)

**მაყურებელი:** 74 000

**არბიტრი:** ჯ. როკი (იტალია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: მანჩესტერი**

**პირველი კუთხური: ბურსა**

**პირველი ჯარიმა: მანჩესტერი**

**პირველი გაფრთხილება: ბურსა**

| | | |
|---|---|---|
| 12 (5) | დარტყმა | 3 (1) |
| 11 | ჯარიმა | 11 |
| 6 | კუთხური | 1 |
| 1 | გაფრთხილება | 2 |
| 60% | ბურთის ფლობა | 40% |

**რეინჯერსი–ვალენსია 1:1**

**რეინჯერსი (4-4-2):** მაკგრეგორი - უეირი, ვიტაკერი, პაპაცი, ბუგერა - ფოსტერი, ნეისმიტი, ედუ, ვეისი (88. ლაფერტი), დევისი - მილერი.

**ვალენსია (4-2-3-1):** სეზარი - მიგელი, რ. კოშტა, დავიდ ნავარო, მატიო - თოფალი, კოსტა (76. ფერნანდეში) - პ. ერნანდესი, მატა (85. ვისენტე), დომინგესი (46. სოლდადო) - ადურისი.

**გოლები:** 1:0 ედუ (34), 1:1 ედუ (46 ს.კ.)

**მაყურებელი:** 40 000

**არბიტრი:** ნ. რიცოლი (იტალია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: რეინჯერსი**

**პირველი კუთხური: რეინჯერსი**

**პირველი ჯარიმა: ვალენსია**

**პირველი გაფრთხილება: რეინჯერსი**

| | | |
|---|---|---|
| 19 (6) | დარტყმა | 21 (7) |
| 5 | ჯარიმა | 13 |
| 5 | კუთხური | 12 |
| 3 | გაფრთხილება | 2 |
| 38% | ბურთის ფლობა | 62% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 2-0 | 7 |
| 2. რეინჯერსი | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| 3. ვალენსია | 3 | 1 | 1 | 1 | 5-2 | 4 |
| 4. ბურსა | 3 | 0 | 0 | 3 | 0-6 | 0 |

### D ჯგუფი

**ბარსელონა–კოპენჰაგენი 2:0**

**ბარსელონა (4-3-3):** პინტო - დ. ალვეში, პუიოლი, პიკე, აბიდალი - მასკერანო, ბუსკეტსი, მაქსველი (73. პედრო) - მესი, ვილია (73. ჩავი), ინიესტა (89. კეიტა).

**კოპენჰაგენი (4-4-2):** ვილანდი - პოსპეხი, ზანკა, ანტონსონი, ვენდტი (89. ლარსონი) - კლაუდემირი, ვინგაარდი (62. ბოლანიოსი), გრონკიაერი, კვისტი - ნდოიე, სანტინი (74. ზოჰორე).

**გოლები:** 1:0 მესი (19), 2:0 მესი (92)

**მაყურებელი:** 98 772

**არბიტრი:** ს. ლანუა (საფრანგეთი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: კოპენჰაგენი**

**პირველი კუთხური: ბარსელონა**

**პირველი ჯარიმა: კოპენჰაგენი**

**პირველი გაფრთხილება: რუბინი**

| | | |
|---|---|---|
| 16 (7) | დარტყმა | 7 (3) |
| 8 | ჯარიმა | 16 |
| 7 | კუთხური | 3 |
| 1 | გაფრთხილება | 2 |
| 64% | ბურთის ფლობა | 36% |

**პანათინაიკოსი–რუბინი 0:0**

**პანათინაიკოსი (4-4-1-1):** ცორვასი - სარიეგი, ბუმსონგი, სპიროპულოსი, ვინტრა - მარინოსი (78. მავრიასი), სიმაო, კაცურანისი (61. პლესისი), ლ. გარსია - კარაგუნისი (61. ხრისტოდულოპულოსი) - სისე.

**რუბინი (4-4-1-1):** რიჟიკოვი - კალეშინი, ნავასი, ბოკეტი, ანსალდი- კასაევი (86. ბისტროვი), ნობოა, , რიაზანცევი, ნაჩო - კარადენიზი (65. მარტინსი) - კორნილენკო (96. სიბაია).

**მაყურებელი:** 56 000

**არბიტრი:** მ. გრეფე (გერმანია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: რუბინი**

**პირველი კუთხური: რუბინი**

**პირველი ჯარიმა: რუბინი**

**პირველი გაფრთხილება: რუბინი**

| | | |
|---|---|---|
| 9 (2) | დარტყმა | 14 (3) |
| 10 | ჯარიმა | 18 |
| 5 | კუთხური | 8 |
| 1 | გაფრთხილება | 2 |
| 49% | ბურთის ფლობა | 51% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 3 | 2 | 1 | 0 | 8-2 | 7 |
| 2. კოპენჰაგენი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 6 |
| 3. რუბინი | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |
| 4. პანათინაიკოსი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-7 | 1 |

ნიკოლოზ ნეფარიძე

### ევროპის ლიგა. III ტურის წინ

**A ჯგუფი**

23:05 მანჩესტ. სიტი-ლეხი

23:05 ზალცბურგი-იუვენტუსი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლეხი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-3 | 4 |
| 2. მანჩ. სიტი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 3. იუვენტუსი | 2 | 0 | 2 | 0 | 4-4 | 2 |
| 4. ზალცბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |

**B ჯგუფი**

23:05 არისი-ლევერკუზენი

23:05 ატლეტიკო-რუსენბორგი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლევერკუზენი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-1 | 4 |
| 2. არისი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 3. რუსენბორგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-5 | 3 |
| 4. ატლეტიკო | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |

**C ჯგუფი**

23:05 ლილი-ლევსკი

23:05 სპორტინგი-გენტი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლევსკი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-7 | 3 |
| 2. სპორტინგი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| 3. გენტი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 4. ლილი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |

**D ჯგუფი**

23:05 დინამო ზ-ბრიუგე

23:05 ვილიარეალი-პაოკ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პაოკ | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 2. დინამო ზ | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 3. ვილიარეალი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 4. ბრიუგე | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |

**E ჯგუფი**

23:05 ალკმაარი-დინამო კ

23:05 შერიფი-ბატე

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბატე | 2 | 1 | 1 | 0 | 6-3 | 4 |
| 2. შერიფი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 3. ალკმაარი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-5 | 3 |
| 4. დინამო კ | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |

**F ჯგუფი**

23:05 პალერმო-ცსკა მ

23:05 სპარტა-ლოზანა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ცსკა მ | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 2. სპარტა | 1 | 1 | 0 | 0 | 3-2 | 3 |
| 3. პალერმო | 1 | 0 | 0 | 1 | 2-3 | 0 |
| 4. ლოზანა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

**G ჯგუფი**

21:00 ანდერლეხტი-აეკ

21:00 ზენიტი-ჰაიდუკი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზენიტი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-3 | 6 |
| 2. აეკ | 2 | 1 | 0 | 1 | 5-5 | 3 |
| 3. ჰაიდუკი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 4. ანდერლეხტი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

**H ჯგუფი**

21:00 შტუტგარტი-ხეტაფე

21:00 იანგ ბოიზი-ოდენსე

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შტუტგარტი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 2. იანგ ბოისი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 3. ხეტაფე | 2 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |
| 4. ოდენსე | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |

**I ჯგუფი**

21:00 დებრეცენი-ეინდჰოვენი

21:00 მეტალისტი-სამპდორია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ეინდჰოვენი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 2. სამპდორია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 3. მეტალისტი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-2 | 3 |
| 4. დებრეცენი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-6 | 0 |

**J ჯგუფი**

21:00 ბორუსია-პსჟ

21:00 კარპატი-სევილია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| 2. ბორუსია | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 3. სევილია | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 4. კარპატი | 2 | 0 | 0 | 2 | 3-6 | 0 |

**K ჯგუფი**

21:00 უტრეხტი-სტიაუა

21:00 ნაპოლი-ლივერპული

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 2. ნაპოლი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 3. უტრეხტი | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| 4. სტიაუა | 2 | 0 | 1 | 1 | 4-7 | 1 |

**L ჯგუფი**

21:00 ბეშიქთაში-პორტუ

21:00 ცსკა ს-რაპიდი ვ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. ბეშიქთაში | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| 3. ცსკა ს | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| 4. რაპიდი ვ | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |



დელ ნერი პირველი გამარჯვებისთვის ემზადება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. სამშაბათის მატჩების მიმოხილვა

# ქვარტეტი მერვედფინალისკენ

## ბაიერნი, ჩელსი, რეალი და არსენალი პლეი ოფის გზას გაუდგნენ

**სამი** ტურის შემდეგ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ბაიერნი", „ჩელსი", „რეალი" და „არსენალი" უკვე მერვედფინალში არიან. სასწაული უნდა მოხდეს, რომელიმე მათგანს პრობლემები შეექმნას - სამი ტურის შემდეგ ოთხივეს 9-9 ქულა აქვს. სამშაბათს ერთადერთი სენსაცია დაფიქსირდა - „რომამ" საკუთარ მოედანზე „ბაზელთან" წააგო, მაგრამ მდგომარეობა არ გაურთულებია.



ბაიერნს კლუჟთან ძალიან გაუჭირდა

### E ჯგუფი

**ბაიერნი-კლუჟი 3:2**

**გოლები:** 0:1 კადუ (28), 1:1 კადუ (32-საკ. კარში), 2:1 პანინი (37-საკ. კარში), 3:1 გომესი (77), 3:2 კულიო (86)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ბასტიან შვაინშტაიგერი (ბაიერნი)

პირველ ტაიმში „ბაიერნის" უპირატესობა მხოლოდ ბურთის ფლობისა და ანგარიშის მხრივ იყო თვალში საცემი, მაგრამ დაგვეთანხმებით, ეს სავსებით საკმარისია. „კლუჟი" დაცვაში ღრმად არ ჩადგა, მაგრამ არც მიუნხენელებს უცდიათ მეტოქის მძიმე წნეხის ქვეშ მოქცევა. პირიქით, **ლუის ვან გაალის** ბიჭებმა ზედმეტად ბევრი არაზუსტი პასი გააკეთეს. „ბაიერნში" გამთამაშებლის პოზიციაზე **ტონი კროოსი** თამაშობდა, მაგრამ თანაგუნდელები მას იშვიათად აძლევდნენ თამაშის ორგანიზების შანსს. ერთადერთი ცენტრფორვარდი **მარიო გომესი** კი ხშირად ჰაერში იყო გამოკიდებული. თუკი „ბაიერნი" ფლანგიდან უტევდა, მხოლოდ მარჯვენა მხრიდან, სადაც **ლამი** და **ჰამით ალთინთოფი** ცდილობდნენ კომბინირებას, მაგრამ ამ უკანასკნელის ჩაწოდებები უმარილო იყო. სწორედ ამიტომ „გახდა საჭირო" ის ორი კურიოზული ავტოგოლი, რომელთა წყალობითაც „ბაიერნმა" პირველი ტაიმი მოიგო (თავიდან აგებდა).

„კლუჟის" ფეხბურთელებს შეტევაში არც მეორე ტაიმში მოუკლავთ თავი, მაგრამ რასაც აკეთებდნენ, ისიც საკმარისი გამოდგა იმისათვის, რომ „ბაიერნის" მცველები რამდენჯერმე აენერვიულებინათ. „კლუჟის" მთავარი ძალა წინა ხაზში **ტრაორე** გახლდათ, რომელმაც რეკორდმაისტერის დაცვის ცენტრში დამდგარ **ანატოლი ტიმოშჩუკს** ბევრი საქმე გაუჩინა. ტრაორეს გარდა, მიუნხენელებს ნერვებს **დე ზერბი** უშლიდა - მეტწილად სტანდარტულებით.

ვან გაალის გუნდმა თავისი თამაში სადღაც მე-60 წუთიდან იპოვა, როცა **შვაინშტაიგერმა** მოედნის ცენტრში ყველაფერი საკუთარ თავზე აიღო, ხოლო თომას მიულერი კი პოზიციის ხშირ ცვლას შეუდგა. მეორე ტაიმში **კროოსიც** უფრო აქტიური გახდა...

*„მესამე თამაშიც მოვიგეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი ისე მიდის, როგორც ვგეგმავდით. ახლა კი დროა, გეგმებს ბუნდესლიგაშიც წამოვეწიოთ,"* - აღნიშნა საფინალო სასტვენის შემდეგ ვან გაალმა.

**რომა-ბაზელი 1:3**

**გოლები:** 0:1 ფრაი (12), 1:1 ბორიელო (21), 1:2 ინკოომი (43), 1:3 კაბრალი (93)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ალექსანდერ ფრაი (ბაზელი)

„მარადიული გამარჯვება მარადიულ ქალაქში" - ასეთი ჰედლაინებით აივსო შვეიცარიული პრესა „რომასა" და „ბაზელის" მატჩის დასრულების შემდეგ, რომელიც ყველასათვის მოულოდნელად, **ტორსტენ ფინკის** გუნდმა საკმაოდ დამაჯერებლად მოიგო. „ჯალოროსი" შოკში თავიდან **ალექსანდერ ფრაის** გოლმა ჩააგდო, მაგრამ **მარკო ბორიელომ** წონასწორობის აღდგენა მალევე მოახერხა და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ იტალიელებს პრობლემები აღარ უნდა შეჰქმნოდათ, მაგრამ ტაიმის მინურულს ინკოომის მიერ გატანილმა გოლმა ისევ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. შესაბამისად, მეორე ტაიმში გაბრაზებული „რომა" ვიხილეთ. **კლაუდიო რანიერის** გუნდმა „ბაზელი" რამდენჯერმე მიაჯაჭვა საკუთარ საჯარიმოს, გოლი კი არა და არ გადიოდა - 58-ე წუთზე, **როდრიგო ტადეიმ** შვეიცარიელთა კარის ძელიც შეაზანზარა. სულ ბოლოს კი, კერძოდ მსაჯის მიერ დამატებულ მესამე წუთზე რომაელებს „ბაზელის" კონტრიერიში გამოეპარათ, შეცვლაზე შესულმა კაბრალმა „ჯალოროსის" უკანახაზელები გააბრიყვა და მასპინძელთა გამოცდილი კიპერი **ბოგდან ლობონტიც** უშანსოდ დატოვა. შედეგად, „ბაზელს", „რომას" და „კლუჟს" სამი ტურის შემდეგ სამ-სამი ქულა აქვთ, „ბაიერნს" კი შეუძლია, უკვე მერვედფინალზე დაიწყოს ფიქრი.

*„პირველ ტაიმში უბრალოდ ამაზრზენად ვითამაშეთ. მთელი 45 წუთის მანძილზე ერთხელაც კი არ დავჯარიმებულვართ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მონდომება გვაკლდა. როცა ბურთი გვქონდა, ზანტად ვირჯებოდით, რის გამოც მეტოქე სერიოზული წნეხის ქვეშ ვერ მოვაქციეთ. არ ვიცი, რატომ ვითამაშეთ ასე ცუდად. შესვენებაზე ბიჭებსაც ვკითხე, რატომ თამაშობთ ასე ცუდად-მეთქი, მაგრამ ვერაფერი მიპასუხეს,"* - განაცხადა დაღონებულმა რანიერიმ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 3 | 3 | 0 | 0 | 7-3 | 9 |
| 2. ბაზელი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-6 | 3 |
| 3. კლუჟი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-6 | 3 |
| 4. რომა | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |

### F ჯგუფი

**სპარტაკი-ჩელსი 0:2**

**გოლები:** 0:1 ჟირკოვი (23), 0:2 ანელკა (43)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** მიქაელ ესიენი (ჩელსი)

მოსკოველ ფეხბურთელებს უდიდესი მონდომება პირველი წუთებიდანვე დაეტყოთ და სანამ „ჩელსის" მოთამაშეები „ლუჟნიკების" მინდორს შეეგუებოდნენ, „სპარტაკმა" ორი მშვენიერი მომენტიც შექმნა, მაგრამ მერე „არისტოკრატები" დალაგდნენ და 23-ე წუთზე ლოგიკური გოლიც გაიტანეს: „რუსეთის სახალხო" გუნდი რუსმა **იური ჟირკოვმა**, მძლავრი დარტყმით დაამწუხრა. „ლუჟნიკების" პუბლიკამ ჟირკოვს დიდხანს კი უსტვინა (ეს უკანასკნელი „სპარტაკის" მტერ ცსკა-ში თამაშობდა), მაგრამ ამით რა...

ანგარიშის გახსნას ის მოჰყვა, რომ „ჩელსიმ" ფავორიტის სტატუსი ყველას ასპექტში გაამართლა. **კარლო ანჩელოტის** გუნდმა მოედნის ყველა კუნჭულში წესრიგი დაამყარა და შესვენებამდე მეორე გოლიც გაიტანა (ანელკა).

მართალია, რუსები შესვენებიდან გაცილებით გამოფხიზლებულები დაბრუნდნენ, მაგრამ შეტევაში ისეთი ფიგურა აკლდათ, რომელიც პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე აიღებდა. ვერც იმას ვიტყვით, რომ „სპარტაკის" წინახაზელები მაინცდამაინც კონცენტრირებულები იყვნენ - **პეტერ ჩეხის** კართან სახიფათო მომენტები მხოლოდ შორეული დარტყმებით, ისიც ძალიან იშვიათად იქმნებოდა. **ვალერი კარპინის** გუნდის კონცეფცია შეტევაში უმეტესად მხოლოდ საჯარიმოში ჩაწოდებებზე იყო დამყარებული და მიუხედავად იმისა, რომ **ჯონ ტერი** თითქმის ყველა საჰაერო ორთაბრძოლას იგებდა, მოსკოველები მაინც ჯიუტად, მხოლოდ ჩაწოდებებით ცდილობდნენ ფონს გასვლას. ერთი სიტყვით, „სპარტაკმა" ზედმეტად მოსაწყენი ფეხბურთი ითამაშა საიმისოდ, რომ „ჩელსისთვის" სერიოზული პრობლემები შეექმნა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, **კარპინმა ჯანო ანანიძე** მოედანზე მხოლოდ ბოლო 8 წუთისთვის შეუშვა. ჯანომ 3-4 მშვენიერი პასის გაკეთება მოასწრო.

**მარსელი-ჟილინა 1:0**

**გოლები:** 1:0 დიავარა (48)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ანდრე-პიერ ჟინიაკი (მარსელი)

„მარსელისა" და „ჟილინას" მატჩში მსაჯს შეეძლო, თამაში 50-ე წუთზე დაესრულებინა, მოსახდენი 50 წუთში მოხდა, მერე კი ყველაფერი წყლის ნაყვა იყო. მართალია, „მარსელმა" მინიმალური ანგარიშით მოიგო, რაც შესაძლოა იმის საფუძველი გახდეს, რომ გულშემატკივრებმა, რომლებმაც ეს თამაში ვერ ნახეს, იფიქრონ, „ჟილინა" „ველოდრომზე" მაგრად იბრძოდაო, მაგრამ ასე არ ყოფილა: „ოლიმპიკმა" თავიდანვე დაამტკიცა, რომ ამ მატჩში სამ ქულას არ დაკარგავდა. **ჟინიაკმა** და კომპანიამ მეტოქეს პირველ ნახევარ საათში ნამდვილი ფოიერვერკი მოუწყვეს, სტუმრების მცველები კი ყველას შეეცოდებოდა. ერთადერთი ჟილინელი, რომელიც მაღალ დონეზე თამაშობდა, მეკარე **მარტინ დუბრავკა** გახლდათ.

მეორე ტაიმის დასაწყისში „მარსელს" პენალტი უსამართლოდ არ დაუნიშნეს, მაგრამ „ოლიმპიკმა" 48-ე წუთზე მაინც შეძლო გოლის გატანა: **სულეიმან დიავარამ ლუჩო გონსალესის** კუთხურიდან თავით იხეირა. დუბრავკა მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ შეცდა და ისიც სწორედ ამ საბედისწერო მომენტში. „ჟილინა", რა თქმა უნდა, ეცადა მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ ეყო. ლოგიკურად, „მარსელმა" „ჟილინას" მეორე თამაშიც უნდა მოუგოს და თუ ასე მოხდა, ფრანგულ კლუბს „სპარტაკთან" გათანაბრებისა და შესაბამისად, მერვედფინალში გასვლის საკმაოდ კარგი შანსი გაუჩნდება. თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ოლიმპიკს" „სპარტაკთან" სახლში აქვს წაგებული და მოსკოვში მოუწევს ჩასვლა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-1 | 9 |
| 2. სპარტაკი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| 3. მარსელი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-3 | 3 |
| 4. ჟილინა | 3 | 0 | 0 | 3 | 1-8 | 0 |

### G ჯგუფი

**რეალი-მილანი 2:0**

**გოლები:** 1:0 რონალდო (13), 2:0 იოზილი (14)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** მესუთ იოზილი (რეალი)

ჯგუფის, ტურის და ზოგადად ჯგუფური ეტაპის ცენტრალური მატჩისგან ცოტა უფრო მეტს ველოდით. თქვენც, ალბათ... და თუ ამ შეხვედრამ იმედები ასი პროცენტით ვერ გაამართლა, ეს პირველ რიგში „მილანის" ბრალია, რადგან „რეალს" რაც ევალებოდა, ძალიან მალე გააკეთა, მე-14 წუთისთვის უკვე 2:0-ს იგებდა, რის შემდეგაც უკვე „როსონერის" უნდა ემოქმედა. მადრიდელებმა მილანელები თავიდანვე საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვეს, რამდენიმე შანსი შეექმნათ, ანგარიში კი მე-13 წუთზე **კრიშტიანო რონალდომ** საჯარიმო დარტყმით გახსნა. მეორე გოლიც ძალიან მალე, რამდენიმე წამში გავიდა (იოზილი).

გასაგებია, რომ „მილანი" 4-3-3 ტაქტიკური სქემით თამაშობს და „როსონერის" თავკაცმა **მასიმილიანო ალეგრიმ** სტილს, რომელზეც ამბობენ, თვით **სილვიო ბერლუსკონისგან** არის ნაკარნახებიო, არც ამჯერად უღალატა, მაგრამ მაინც: „სანტიაგო ბერნაბეუზე", **ჟოზე მოურინიოს** მიერ გაწვრთნილ „რეალთან" 4-3-3-ით თამაში, როგორც მინიმუმ, ნამეტანი თავგამოდებაა.

**რონალდინიომ** და **პატომ** ვერაფერი გააწყვეს, **ზლატან იბრაჰიმოვიჩიც** შეუმჩნეველი იყო. მილანელთაგან საუკეთესო მომენტი ისევ და ისევ ვეტერან **კლარენს ზეედორფს** ჰქონდა (34-ე წუთზე), მანამდე კი **ანდრეა პირლომ** საჯარიმო დარტყმით „რეალის" კარის ძელი შეაზანზარა - ეს იყო და ეს.

საფინალო სასტვენის შემდეგ, კმაყოფილმა მოურინიომ ყველაზე მეტად **მესუთ იოზილი** აქო, რაც ნამდვილად არ არის გასაკვირი - ახალგაზრდა გერმანელი გამთამაშებელი მოედანზე საუკეთესო გახლდათ. *„იოზილი მაგიური ფეხბურთელია და ფანტასტიკურია ის, რომ მე სამი მაგიური შემტევი ნახევარმცველი მყავს: იოზილი, რონალდო და დი მარია,"* - თქვა ჟოზემ.

„რეალი" სამი ტურის შემდეგ, ცხრა ქულით პირველ ადგილზეა და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მერვედფინალში ითამაშებს. გასცდება თუ არა მერვედფინალს? საკითხავი, აი, ეს არის. წლებია, მადრიდელებს ჩემპიონთა ლიგაში მერვედფინალური ბარიერი არ გადაულახავთ.

**აიაქსი-ოსერი 2:1**

**გოლები:** 1:0 დე ზეუვი (7), 2:0 სუარესი (41), 2:1 ბირსა (56)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ლუის სუარესი (აიაქსი)

„აიაქსი" პირველიდან ბოლო წუთამდე ძალიან ცდილობდა პირველი გამარჯვების მოპოვებას, „ოსერის" ფეხბურთელები კი ზედმეტად პასიურები იყვნენ და საკუთარ საჯარიმოს ეკვროდნენ. შესაბამისად, ფრანგული კლუბი მალე დაისაჯა: **დე ზეუვმა** ანგარიში მე-7 წუთზე, საოცნებო დარტყმით გახსნა. „აიაქსი" გოლის შემდეგაც „ოსერზე" უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ ამსტერდამელებმა კონცენტრაცია დაკარგეს. ფეხბურთის თამაშის სურვილი ჰოლანდიურ გრანდს **ლუის სუარესმა** პირველი ტაიმის მინურულს დაუბრუნა.

მეორე ტაიმი ათი წუთის დაწყებული იყო, როცა „ოსერი" თამაშში დაბრუნდა: „აიაქსს" მცველი **ოოიერი** გაუძევეს, დანიშნული ჯარიმა კი **ბირსამ** გოლად აქცია. შესაბამისად, დარჩენილ დროში უპირატესობას უკვე ფრანგები ფლობდნენ და შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი გააკეთეს თუნდაც ერთი ქულის გადასარჩენად, მაგრამ „აიაქსმა" ანგარიში შეინარჩუნა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 3 | 3 | 0 | 0 | 5-0 | 9 |
| 2. მილანი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 3. აიაქსი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 4. ოსერი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-5 | 0 |

### H ჯგუფი

**არსენალი-შახტარი 5:1**

**გოლები:** 1:0 სონგი (20), 2:0 ნასრი (42), 3:0 ფაბრეგასი (60), 4:0 უილშერი (66), 5:0 შამახი (69), 5:1 ედუარდო (82)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ჯეკ უილშერი (არსენალი)

„არსენალს" ისედაც იოლი ჯგუფი შეხვდა და იმედი გვქონდა, რომ ლონდონურ კლუბს დონეცკის „შახტარი" მაინც გაუწევდა ჯეროვან კონკურენციას, მაგრამ არც ეს მოლოდინი გამართლდა. აღსანიშნავია, რომ პირველ 20 წუთში ლონდონელებმა მათთვის დამახასიათებელი კომბინაციური ფეხბურთი ვერ ითამაშეს, მე-20 წუთზე კი დონეცკელთა მეკარე **პიატოვი** მწარედ შეცდა - მაღალი ბურთისთვის უხეიროდ იბრძოლა და ბურთი პირდაპირ **სონგს** დაუგდო, რომელსაც მხოლოდ გოლის გატანა მართებდა. არადა, სონგი თამაშგარე მდგომარეობაში იყო, თუმცა გოლი ჩაითვალა ამ გოლმა „არსენალს" ხელ-ფეხი გაუხსნა. მეორე ტაიმში „მეთოფეების" „ექსპრესი" შეუჩერებელი გახდა - პირველი ტაიმის მინურულს **ნასრის** მიერ გატანილ გოლს, მეორე ნახევარში **ფაბრეგასის, უილშერისა** და **შამახის** გოლები მოჰყვა. დონეცკელთაგან კი გოლი ყოფილმა არსენალელმა, **ედუარდომ** გაიტანა. სხვათა შორის, ლონდონური კლუბის ფანები ედუარდოს ფეხზე წამოუდგნენ და „არსენალის" ყოფილი ფეხბურთელი აპლოდისმენტებით შეამკეს.

**არსენ ვენგერის** გუნდს ჩემპიონთა ლიგის ბოლო ხუთ თამაშში 20 გოლი აქვს გატანილი, რაც სარეკორდო შედეგია.

**ბრაგა-პარტიზანი 2:0**

**გოლები:** 1:0 ლიმა (35), 2:0 მატეუში (90)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ლიმა (ბრაგა)

პირველი ორი ტურის შემდეგ ცხადი იყო, რომ „ბრაგას" და „პარტიზანს" მერვედფინალში გასვლის სურვილზე ხელი უნდა ჩაექნიათ. მიუხედავად ამისა, „პარტიზანის" დამარცხების შემდეგ, მანამდე უიმედო აუტსაიდერად შერაცხილ „ბრაგას" ჯგუფიდან გასვლის ძალიან მცირე, მაგრამ მაინც იმედი გაუჩნდა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 3 | 3 | 0 | 0 | 14-2 | 9 |
| 2. შახტარი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-5 | 6 |
| 3. ბრაგა | 3 | 1 | 0 | 2 | 2-9 | 3 |
| 4. პარტიზანი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-6 | 0 |

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

განის ნაკრები

# ესიენი ნაკრებს უბრუნდება



**მაიკლ ესიენმა** განის ნაკრებში დაბრუნება გადაწყვიტა. "ჩელსის" ნახევარმცველს სამშობლოს ღირსება აღარ დაუცავს, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპი კი ტრავმის გამო გაუცდა. სამხრეთაფრიკული მუნდიალის შემდეგ მან განაცხადა, რომ სანაკრებო კარიერას აღარ გააგრძელებდა, მაგრამ როგორც ხედავთ, გადაწყვეტილება შეცვალა. ესიენმა პირობა დადო, რომ განის ნაკრებში თამაშს მარტში, აფრიკის ერთა თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე განაახლებს.

"ესიენს არასოდეს უთქვამს, რომ სანაკრებო კარიერა საბოლოოდ დაასრულა. მან უბრალოდ, პაუზა აიღო და დასვენება გვთხოვა. ახლა კი დაბრუნება გადაწყვიტა, რაც განაში ყველას ძალიან გვახარებს", - ამბობს განის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **კვესი ნიანტაკი**.

მანჩესტერ სიტი

# იანვარში არ ივაჭრებს

"მანჩესტერ სიტის" თავკაცი **რობერტო მანჩინი** მოარულ ხმებს კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ მისი კლუბი ზამთრის სატრანსფერო პერიოდში არავის შეიძენს.

"მსოფლიოში უამრავი ფეხბურთელია, მაგრამ ახლა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ მოთამაშეებზე ვფიქრობთ. თუ ვინმე მოგვეწონა, მის შეძენას მომავალ ზაფხულს შევეცდებით, იანვარში კი არავის ყიდვას ვაპირებთ", - ამბობს მანჩინი, რომელიც იქვე კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მისი გუნდი თვალსაჩინოდ პროგრესირებს.

"სიტი" თვიდან თვემდე უმატებს. მოხარული ვარ, რომ ამ პროგრესში მოკრძალებული წვლილი მეც მიმიძღვის", - აცხადებს იტალიელი.

იტალიის ნაკრები

# კაზირაგი გადადგა

**იტალიის** ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ახლო წარსულში სახელოვანმა თავდამსხმელმა **პიერლუიჯი კაზირაგიმ** თანამდებობა საკუთარი სურვილით დატოვა. მან ეს გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ 21-წლამდელთა "სკუადრა აძურამ" ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვერ გააღწია, დამარცხდა რა ფლეი ოფში ბელარუსთან. ამით იტალიელმა ფეხბურთელებმა ლონდონის 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრის შანსიც დაკარგეს.

კაზირაგი იტალიის ახაგაზრდულ ნაკრებში 2006 წლიდან მუშაობდა. ამ ხნის განმავლობაში მისი ხელმძღვანელობით ორჯერ უნია ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალს, პეკინის 2008 წლის ოლიმპიადაზე ბრძოლა კი მეოთხედფინალში შეწყვიტა.

მოსალოდნელი ტრანსფერი



# ანელკა რუნის ეპატიჟება

**ნიკოლა ანელკა** მიიჩნევს, რომ "ჩელსიში" გადასვლა **უეინ რუნისთვის** კარიერის საუკეთესო გაგრძელება იქნებოდა.

"რუნი იმდენად ბრწყინვალე ფეხბურთელია, რომ მის კლასზე საუბარი ზედმეტად მეჩვენება. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ უეინი "მანჩესტერს" დატოვებს და თუ მართლაც ასე გადაწყვიტა, "ჩელსიზე" უფრო ხელსაქრელ კლუბს ვერ აირჩევს. მას ყველანი გულთბილად მივიღებთ და ჩვენი გუნდი შეტევაში კიდევ უფრო ძლიერი გახდება. მე კლუბის მფლობელი არ ვარ და სატრანსფერო საკითხები არ მეხება, უბრალოდ, საკუთარი აზრი გამოვთქვი და თუ მოვლენები სწორედ ისე განვითარდება, როგორც მე მსურს, ძალიან გამეხარდება", - თქვა ანელკამ.

ვარსკვლავი

# ბარსელონას წარმატების საიდუმლო ჩავისგან

ამ ქვის შენობას, „კამპ ნოუს" გვერდით რომ დგას, უნიჭიერესი ფეხბურთელების აღზრდის რეპუტაცია აქვს. მას კატალონიელები „ლა მასიას" უწოდებენ - „ბარსელონას" საფეხბურთო აკადემიის შესახებ ყველა გულშემატკივარს გაუგია. გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **ჩავი ერნანდესიც** ამ სკოლის აღზრდილია და ახლა ის უეფას ოფიციალურ საიტს უზიარებს „ბარსელონას" წარმატების საიდუმლოს...

სულ ადრეული წლებიდან „ბარსელონას" სკოლაში ბავშვებს, მომავალ ვარსკლავებს, ასწავლიან მთავარს - ჯერ თავიანთი გონებრივი შესაძლებლობები გამოიყენონ და მხოლოდ ამის მერე - ფეხები. „11 წლის ვიყავი, როცა აქ მოვხვდი და აქაურმა საფეხბურთო ფილოსოფიამ მთლიანად მშთანთქა, მეც ამ ფილოსოფიის ნაწილი გავხდი. იცით რა არის მთავარი? არა, შედეგი არა - სწავლის წყურვილი", - გვიამბობს ჩავი.

როცა ჩავი „ლა მასიაში" მივიდა, მას ეგონა, რომ ფორვარდია, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ უფრო ნელია, ვიდრე სხვა ბავშვები. მას თანაგუნდელებმა „მანქანა" (Maqquina) შეარქვეს, რადგან შეეძლო სტაბილურად ერთი სისწრაფით ერბინა სწორხაზოვნად და ზუსტი გადაცემები ეკეთებინა. აი, ამ პროდუქტისგან შექმნეს „მასიის" მწვრთნელებმა მსოფლიოს ჩემპიონატის მომგები ცენტრალური ნახევარმცველი:

„ჩვენ ვთამაშობდით „სამკუთხედებს", ბურთს წრეზე ვათამაშებდით. ასეთი ვარჯიშების შემდეგ იძენ ძალიან სასარგებლო ჩვევებს, რომელსაც მერე და მერე თამაშისას იყენებ კიდეც. მაგალითად, იქაური ვარჯიშების შემდეგ, ყოველთვის იცი შენი თანაგუნდელების ძლიერი მხარეები და შეგიძლია თავანეული თამაში".

„აქ სწავლობ პასი გადააწოდო მემარჯვენეს მარჯვენა ფეხზე, ცაციას კი მისთვის ხელსაყრელ ფეხზე. სანამ ბურთს მიიღებ მანამდე უნდა იცოდე, რა უნდა გააკეთო შემდეგში. გსურთ ნახოთ ასეთი მუშაობის შედეგები? მაშინ უნდა უყუროთ „ბარსელონას" თამაშს, როცა გუნდში 8-9 მისი სკოლის აღზრდილი თამაშობს. „მასია", ეს ის საფუძველია, რომელზეც დგას გუნდის თამაშის სტილი".

„მასიას" საფეხბურთო ფილოსოფია არ იქნებოდა ასე მნიშვნელოვანი, რომ კლუბის მთავარი გუნდი ამ სისტემის მიმდევარი არ იყოს, ასეთ რამეს ის მწვრთნელები ითხოვენ, რომელთაც კარგად უწყიან კლუბის კრედო: „გვარდიოლაც „ლა მასიის" პროდუქტია, მან იცის, რომ როცა ახალგაზრდული გუნდებიდან ფეხბურთელებს იმატებს, ისინი აუცილებლად გამოადგებიან მთავარ გუნდს, რადგან სისტემა ერთია", - ამბობს ჩავი.

თავად გვარდიოლა დიდად გაკვირვებული დარჩა, როცა **ჟოან ლაპორტამ** გუნდის გაწვრთნა შესთავაზა, მას ხომ ტოპ-კლუბის მწვრთნელობის გამოცდილება არ ჰქონდა. ჩავი გვადრიოლას დიდი ფანია:

„მე ყოველთვის მჯეროდა პეპის. ის ძალიან ერთგულია, წვრილმანსაც დიდ ყურადღებას აქცევს, ენთუზიაზმით სავსეა. მას ძალიან დიდი უნარი აქვს - ირგვლივ ყველას ოპტიმისტურად განაწყობს. ვიცი, რომ თავიდან ეჭვობდნენ, გაამართლებდა თუ არა პეპი მთავარ გუნდში. მაგრამ რომ მოსულიყო სხვა, გარედან, მისთვის ჯერ უნდა ეჩვენებინათ როგორ მუშაობს ყველა კლუბში, ამას კი დრო სჭირდება. პეპმა კი ყველაფერი იცის, რა სურს, როგორ გრძნობენ თავს ფეხბურთელები, რა ზეწოლაა მათზე. გვარდიოლა ზუსტად ის არის, ვინც კლუბს სჭირდება. თუმცა ყველაზე ოპტიმისტებიც კი ვერ იფიქრებდნენ, რომ ყველაფერი ასე კარგად აეწყობოდა გუნდში".

რაშია გვარდიოლას წარმატების საიდუმლო? - „ის ძალიან წყნარია, არასოდეს არ მოგაქცევს ფსიქოლოგიურ წნეხში. პირიქით, გიბიძგებს, რომ შენ თამაშით სიამოვნება მიიღო. პეპი აქცენტს ბურთის ფლობაზე, პასებზე აკეთებს. თამაშის წინ მეტოქეს მწვრთნელი სამი-ოთხი საკვანძო მახასიათებლით გვიღწერს, გვეუბნება, თუ როგორ გვეთამაშება მეტოქე და რა უნდა დავუპირისპიროთ ჩვენ მათ თამაშს. მთელი ეს საუბარი 10 წუთზე მეტი ჯერ ერთხელაც არ გაგრძელებულა, მაგრამ ჯერ არ მახსოვს, შემცდარიყო. გვარდიოლა ყველაზე დიდ მნიშვნელობას სათამაშო კონცეფციას ანიჭებს".

ბოლო დროს „ბარსელონა" საფეხბურთო მოდის დამკანონებელია, ჩავი ფიქრობს, რომ ამ წარმატების მთავარი საიდუმლო მაინც ნიჭია:

„ბუნებრივი შესაძლებლობები და ტალანტი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფიზიკური ძალა. ეს რომ არ იყოს, 11 ფიზიკურად უნაკლოდ მომზადებული ფეხბურთელის გამოყვანას წინ რა უდგას, მაგრამ ვერავინ მოგცემთ გარანტიას, რომ ამ ფეხბურთელებს უფრო გაუადვილდებათ თამაშის მოგება", - ასკვნის „ბარსელონას" ნახევარდაცვის მაესტრო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ჩავი ბურთთან მეგობრობს

ამბები

## რედნაპი უკვე ჩემპიონობაზე ფიქრობს

"ტოტენჰემის" თავკაცის, **ჰარი რედნაპის** აზრით, შორს არაა ის დრო, როცა მისი გუნდი ინგლისის ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. საამისოდ მას ტოპ-კლასის კიდევ ორი ფეხბურთელი სჭირდება.

"ვფიქრობ, "ტოტენჰემს" ორი სერიოზული ტრანსფერი სჭირდება, რის შემდეგაც პრემიერლიგის მოგებაზე უკვე რეალურ პრეტენზიას განვაცხადებთ. რალა თქმა უნდა, მსოფლიო დონის მოთამაშეების შეძენა იოლი საქმე სულაც არაა, მაგრამ ჩვენ საამისო ძალა შეგვწევს. ჩემი განცხადება ოდნავადაც არ ნიშნავს იმას, რომ ამჟამინდელი კადრებით უკმაყოფილო ვარ. პირიქით, მე ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელები მყავს, რომლებიც საკუთარ დონეს სისტემატურად ამტკიცებენ. ჩემი დახმარებით, კლუბის პრეზიდენტმა ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ შემადგენლობა გაგვეძლიერებინა და ეს შევძელით კიდეც. ჩემი აზრით, სასურველ დონეს უკვე ერთი ფეხის ნაბიჯზე მივუახლოვდით", - აცხადებს რედნაპი.

## რაიკაარდმა გალათასარაი დატოვა

"გალათასარაის" მთავარი მწვრთნელი **ფრანკ რაიკაარდი** და მისი ასისტენტი **იოჰან ნეესკენსი** თანამდებობიდან გადადგნენ. ჰოლანდიელებმა ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც სტამბოლურმა კლუბმა თურქეთის ჩემპიონატში ზედიზედ ორი საშინაო მატჩი წააგო. აღსანიშნავია, რომ 12 ტურის შემდეგ "გალათასარაის" მხოლოდ 8 ქულა აქვს. რაიკაარდის გადადგომა კი მაშინ მომწიფდა, როცა "ლომთალომები" ევროპის ლიგაზე ლვოვის "კარპატისთან" დამარცხდნენ და ჯგუფური ტურნირის მიღმა დარჩნენ.

რაც შეეხება რაიკაარდს, კარიერის გაგრძელებას მას "ლივერპულში" ან "აიაქსში" უწინასწარმეტყველებენ.

## ონილი ლივერპულს ელის

**მთავარი** მწვრთნელის თანამდებობიდან **ვალერი გაზაევის** წასვლის შემდეგ, კიევის "დინამოს" ხელმძღვანელობამ ვაკანტური პოსტი **მარტინ ონილს** შესთავაზა, მაგრამ ჩრდილოირლანდიელი სპეციალისტისგან უარი მიიღო.

როგორც ამბობენ, ონილის უარი იმითაა განპირობებული, რომ წინადადებას "ლივერპულისგან" ელის. თუ მერსისაიდელებმა პრემიერლიგის უახლოეს ტურში "ბლექბერნთან" წააგეს, "ლივერპულის" ამჟამინდელი დამრიგებლის, **როი ჰოჯსონის** დათხოვნა კიდევ უფრო რეალური გახდება...

შეგახსენებთ, 58 წლის ონილი ამჟამად უმუშევარია, ბოლოს იგი "ასტონ ვილას" წვრთნიდა.

## დემიკელისი ზამთარშივე წავა

**მარტინ დემიკელისის** აგენტმა განაცხადა, რომ მისი კლიენტი "ბაიერნს" ამ ზამთარსვე დატოვებს. 29 წლის არგენტინელმა მცველმა, რომელსაც მიმდინარე სეზონში სათამაშო პრაქტიკა ფაქტობრივად, არ აქვს, კლუბის შეცვლა მტკიცედ გადაწყვიტა. მისი ყველაზე რეალური მსურველი "იუვენტუსია", ამას გარდა, ასახელებენ სხვადასხვა ესპანურ და ინგლისურ კლუბებს.

"ბაიერნს" ამ საკითხზე ოფიციალური განცხადება ჯერ არ გაუკეთებია, მაგრამ სავარაუდოდ, მიუნხენელები დემიკელისს საკუთარი სურვილის განზრახვაში მოყვანაში ხელს არ შეუშლიან. მარტინის სატრანსფერო ღირებულება 8 მილიონ ევროს შეადგენს.

ამ სეზონში დემიკელისმა ბუნდესლიგაში მხოლოდ ორი მატჩი, ჯამში 63 წუთი ჩაატარა.

## 156 ათასი ბესტის მედალში

**ბრიტანულმა** აუქციონმა "ბონჰემსმა" გასაყიდად **ჯორჯ ბესტის** მიერ სხვადასხვა ტურნირებში მოპოვებული 13 მედალი გამოიტანა. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე ძვირი, 156 ათასი გირვანქა იმ ოქროს მედალში გადაიხადეს, რომელიც ლეგენდარულმა ჩრდილოირლანდიელმა ჩემპიონთა თასის 1967-68 წლების სეზონში გამარჯვებისთვის მიიღო. ცამეტივე მედალი მოკლე დროში გაიყიდა, მათში გადახდილმა ჯამურმა თანხამ კი 200 ათასი გირვანქა შეადგინა.

შეგახსენებთ, ბესტი ალკოჰოლიზმით 2005 წელს გარდაიცვალა. აუქციონზე შემოსული თანხის ნაწილი მის დას გადაეცემა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამბები


ხუან მანუელ იტურბე არველოსი

### რეალი პარაგვაელ მესის ყიდულობს

მადრიდის „რეალმა" 17 წლის **ხუან მანუელ იტურბეს** დაადგა თვალი, რომელსაც უკვე „პარაგვაელი მესი" შეარქვეს. იტურბეს იტალიელი აგენტის **ერნესტ ბრონსეტის** მტკიცებით, სამეფო კლუბი კარგა ხანია აკვირდება იტურბეს და კონტრაქტსაც გაუფორმებს, როგორც კი სრულწლოვანი გახდება. ეს კი ივნისში მოხდება. სხვათა შორის, ამ აგენტს საკმაოდ კარგი რეპუტაცია აქვს საფეხბურთო სამყაროში და მისი განცხადებების უმრავლესობა, როგორც წესი, სიმართლეა.

იტურბე ბოლოს „სერო პორტენოში" თამაშობდა, თუმცა მან გადაწყვიტა არგენტინულ „კილმესში" წასვლა, რისთვისაც ყოფილმა კლუბმა იჩივლა. დღეისათვის ფიფამ იტურბეს არგენტინულ კლუბში თამაში აუკრძალა და ის მხოლოდ ვარჯიშობს. ერთიორჯერ კი არგენტინის 20-წლამდელთა გუნდშიც ითამაშა. საქმე იმაშია, რომ იტურბე ბუენოს აირესშია დაბადებული და ორმაგი მოქალაქეობა აქვს. ნიჭიერი ნახევარმცველი იანვარში სამხრეთ ამერიკის 20-წლამდელთა ჩემპიონატშიც არგენტინის სახელით აპირებს თამაშს. 2011 წლის ივნისში მისი აყვანა ნებისმიერ გუნდს შეეძლება, ოღონდ „სერო პორტენო" გარკვეულ კომპენსაციას მიიღებს. სხვათა შორის, „რეალის" გარდა მისი აყვანა „მანჩესტერ იუნაიტედს", „ნაპოლის", „რომას" და „ვესტ ჰემსაც" სურთ.

### მალიორკამ გარსიაც დაიბევა

**ემილიო ნსუეს** შემდეგ „მალიორკასთან" ახალი ხელშეკრულება 21 წლის მცველმა **კევინ გარსიამაც** გააგრძელა. კევინ გარსია 2014 წლის ზაფხულამდე ბარეალური გუნდის საკუთრებაა. კევინ გარსია გუნდის ძირითად შემადგენლობაში წლევანდელ სეზონში მოხვდა. მან ძალიან დამაჯერებლად ითამაშა „კამპ ნოუზე" ბარსელონას წინააღმდეგ 1:1 დასრულებულ შეხვედრაში. „ძალიან გახარებული ვარ და ახლა მთელი გულით და სულით ვითამაშებ „მალიორკასთვის". ჩემთვის მთავარი თამაშია. სიმართლე ითქვას, აქამდე იმიტომ ვთამაშობდი, რომ ჩემი თანაგუნდელები ტრავმირებულნი იყვნენ. ეს არ მომწონს, მინდა ძირითადში ადგილი დავიმსახურო", - განაცხადა კევინ გარსიამ.

### მილიტო ორი კვირით

„ბარსელონას" არგენტინელმა მცველმა **გაბრიელ მილიტომ** ვარჯიშზე კუნთი დაიჭიმა და ახლა ორ კვირას იუქმებს. კლუბის ექიმებმა გვარდიოლას ურჩიეს, ფეხბურთელი სწორედ ამდენი ხნით დაასვენოს. ასე რომ, მილიტო ჩემპიონატის ორ მატჩს („სარაგოსასთან" და „სევილიასთან") და ერთ სათასო შეხვედრას („სეუტასთან") გამოტოვებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

---

## მილანი

# მილანი ისევ დგას... გადაუჭრელი პრობლემა


მარკო ამელია მილანელთა შორის საუკეთესო იყო

„კიევოსთან" მოპოვებული შესანიშნავი გამარჯვების შემდეგ, იტალიელი ჟურნალისტები „მილანისგან" მორიგ წარმატებას ელოდნენ. მართალია, „რეალთან" გასვლით მატჩზე გვაქვს საუბარი, სადაც წარმატების მიღწევა ურთულესი ამბავია, მაგრამ ლომბარდიული გრანდის სათამაშო კონდიცია სწორედ ასეთ იმედებს იძლეოდა. შესაძლოა, ვინმეს გაუკვირდეს, როდესაც „მილანის" მიერ „კიევოს" შესანიშნავ სტილში ძლევაზე გვაქვს საუბარი, მაგრამ სწორედაც რომ ასე იყო. „როსონერის" ფეხბურთელებმა ნამდვილი სპექტაკლი დადგეს ვერონელებთან და თითქოს, ამ სპექტაკლის განმეორებით ხილვის საშუალება „სანტიაგო ბერნაბეუზე" უნდა გვქონოდა. არ გამოვიდა, „რეალმა" აშკარად დაჩაგრა მილანური გრანდი და სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა.

იტალიელი ჟურნალისტები ამ თამაშს მრავალმხრივად არჩევენ, თუმცა ერთზე ყველა თანხმდება - „მილანს" უკვე დაახლოებით ხუთი წელია ერთი და იგივე პრობლემა უდგას: დაბალი ტემპი, უმოძრაობა. გუნდი დგას და ისე ცდილობს მეტოქე გატეხოს, თავისი თამაში მოახვიოს თავს. ეს შეიძლება „კიევოსთან" ამართლებს, მაგრამ არა „რეალთან", სადაც უსწრაფესი ფეხბურთელები თამაშობენ და დაცვიდან შეტევაში გადასვლა წამებში შეუძლიათ. მადრიდელებმა სწორედ ტემპით და სირბილით დაჩაგრეს მეტოქე და ამად იყო, რომ „როსონერის" კართან აურაცხელი რაოდენობის სახიფათო მომენტი შეიქმნა. რომ არა **მარკო ამელიას** შესანიშნავი თამაში და მადრიდელთა უზუსტობა დამაგვირგვინებელ ფაზაში, ანგარიში გამანადგურებელი იქნებოდა. დარჩა შთაბეჭდილება, რომ სურვილის შემთხვევაში, მადრიდელები კიდევ არაერთხელ იხეირებდნენ. მოკლედ, „მილანის" თამაში არ ვარგოდა - ეს იყო მაღალი კლასის, მაგრამ უფრო ყოფილი ფეხბურთელების უშედეგო მცდელობა, დაპირისპირებოდნენ ძალიან მობილურ, ახალგაზრდულ, ენერგიულ მეტოქეს. „მილანს" ალბათ აქვს რესურსი და ჰყავს ის ფეხბურთელები, რომლებსაც უფრო მეტად შეუძლიათ სირბილი, მაგრამ „ბერნაბეუზე" ეს არ გამოვიდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საუკეთესო სტუმართა შორის მარკო ამელია გახლდათ. არაერთი რთული ბურთი მოიგერია, პოზიციურად სწორად თამაშობდა, რის ხარჯზეც ბევრი შეტევა ჩაშალა და უკანასკნელი მცველის, ლიბეროს ფუნქციებიც იტვირთა. რაც მთავარია, არც ერთ გაშვებულ გოლში მისი ბრალეულობა არ იყო - პირველ შემთხვევაში, სწორად დაყენებული ცოცხალი კედელი დაირღვა, ბურთი კი **კლარენს ზეედორფსა** და **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** შორის გაძვრა, მეორე შემთხვევაში კი **დანიელე ბონერას** ავტოგოლი ვიხილეთ. ამელია გადახტა და ალბათ შენვდებოდა კიდეც ბურთს, მაგრამ მცველმა უხეიროდ ითამაშა და „რეალის" უპირატესობა გაამყარა. გამოდის, რომ ამელია თანაგუნდელებმა დაალალატეს. მატჩის დასრულებისთანავე, „მილანის" კიპერმა საგულისხმო კომენტარი გააკეთა:

„ასეთი რთული თამაში ძნელად მახსენდება, ყველა მხრიდან გვიტევდნენ და ამოსუნთქვის საშუალება არ მქონდა. მომეჩვენა, რომ ძალიან იოლად გადიოდნენ დასარტყმელ პოზიციაზე, რაც, არ ვიცი რას დავაბრალო. თუ დიდი მიზნების მიღწევა და „რეალის" დონის გუნდებთან კონკურენციის გაწევა გვინდა, მეტი მოძრაობაა საჭირო, ზონების გადაკეტვა და მაღალი ტემპის შენარჩუნება მთელი 90 წუთის განმავლობაში. მადრიდში ეს ვერ შევძელით და ამიტომაც დავმარცხდით, რაც სრულიად ლოგიკურია".

ფლორენტინო პერესის გვერდით იყო მოკალათებული **ადრიანო გალიანი** და მთელი შეხვედრის განმავლობაში ერთხელაც არ გაულიმია. ასე წერს „გაძეტა დელო სპორტი" და არ გვაქვს საფუძველი, რომ არ დავუჯეროთ. პერესი და გალიანი ფაქტობრივად არც ლაპარაკობდნენ, ორიოდე წინადადება გაცვალეს და ისიც ესპანელის ინიციატივით. ნამატჩევს, სინიორ ადრიანომ ორიოდე სიტყვა ჟურნალისტებსაც უთხრა:

„მეტოქემ გაცილებით მეტი სახიფათო მომენტი შექმნა და დამსახურებულად გაიმარჯვა. თუმცა, გოლები კურიოზულ ვითარებაში გავუშვით და ესეც უნდა აღვნიშნოთ. გაუგებარია, რატომ დაიშალა ცოცხალი კედელი, ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია და არსებული ხარვეზები უნდა გამოვასწოროთ. იმედი მაქვს, განმეორებით პაექრობაში „რეალის" წინააღმდეგ სულ სხვა „მილანს" ვიხილავთ".

**ლაშა ნიკლაური**

---

## ინტერი

# ბენიტესის პასუხი ჟურნალისტებს

რამდენიმე დღის წინ, „გაძეტა დელო სპორტში" „ინტერზე" ანალიტიკური სტატია გამოქვეყნდა, სადაც კრიტიკული მოსაზრებაც უხვად იყო. ყველაზე დიდი რეზონანსი კი იმ ფაქტს მოჰყვა, რომ ჟურნალიასტმა „ნერაძური" ერთ ფეხბურთელზე დამოკიდებულ გუნდად მოიხსენია. ეს ერთი ფეხბურთელი **სამუელ ეტოოა**, რომელსაც მართლაც რომ ბრწყინვალე სეზონი აქვს და გოლს გოლზე იტანს. გუშინ, პრესასთან გასაუბრება მილანური გრანდის მთავარმა მწვრთნელმა **რაფაელ ბენიტესმა** მოისურვა და შემდეგი განაცხადა:

„გასულ სეზონში „ინტერი" დიეგო მილიტოზე დამოკიდებული გუნდი იყო და სამი ტროფეი მოიგო. ნამდვილად არ ვიტყოდი უარს, ვიყოთ ეტოოზე დამოკიდებული და ამასთან, ტიტულები მოვიგოთ. ასე რომ, არ მესმის, ასეთ თემებზე სპეკულაციებით ჟურნალისტებს რისი თქმა სურთ. გუნდში ყველას თავისი ფუნქცია აქვს და თითოეული მათგანი თანაბრად საჭიროა. თუ ჰგონიათ, რომ ასეთი საუბრებით კონკურენციას გაალღვივებენ და არაჯანსაღ სიტუაციას შექმნიან, ძალიან ცდებიან. „ინტერი" ერთ მუშტად შეკრული გუნდია და ასეთ პროვოკაციაზე არ წამოვეგებით".

ბენიტესმა ზოგადად გუნდში არსებულ ვითარებაზეც ისაუბრა და შემდეგი განაცხადა: „ჩემი მთავარი ამოცანაა, რომ გუნდმა საჩემპიონო მენტალიტეტი შეინარჩუნოს და ყველა ტროფეისთვის ბოლომდე იბრძოლოს. ამ გზაზე ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი და მიზანმიმართულად ვმუშაობთ. მწვრთნელი ხელოსანივით უნდა იყოს, თუ მექანიზმში რამე მოიშალა, უმალ უნდა უშველოს. ამჯერად მეჩვენება, რომ ბურთის კონტროლზე გვაქვს სამუშაო და ვარჯიშებსაც ამის მიხედვით ვარჩევ. დარწმუნებული ვარ, დაახლოებით ერთ თვეში გაცილებით უკეთეს „ინტერს" იხილავთ, ფორმის პიკზე კი სეზონის მეორე ნახევრიდან გავალთ. ასე მაქვს დაგეგმილი და იმედია, გაწეული სამუშაო დაგვიფასდება".

**ლაშა ნიკლაური**

---

## იუვენტუსი

# ნედვედი აღფრთოვანებულია

სერია A-ს უკანასკნელი ტურის შეხვედრა „იუვენტუსმა" აღმაფრენით ჩაატარა და საკუთარ მოედანზე „ლეჩე" დიდი ანგარიშით, 4:0 გაანადგურა. რაც მთავარია, „იუვემ" შემტევი და ლაღი ფეხბურთი ითამაშა, რასაც **ლუიჯი დელ ნერის** ფორმაციის გუნდებისგან ჩვეულნი არ ვართ. „ბიანკონერის" ასეთმა ფეერიულმა ასპარეზობამ **პაველ ნედვედი** აღფრთოვანებაში მოიყვანა - სხვათა შორის, 2011 წლიდან პაველი კლუბის დირექტორთა საბჭოში შევა და მის სიტყვას სხვა ფასი დაედო. მოვუსმინოთ ჩეხს:

„თამაშს ტრიბუნიდან მივადევნე თვალი და აღფრთოვანებული დავრჩი. ამ გუნდს ბევრის მიღწევა შეუძლია, მთავარია ვაცალოთ ლუიჯი დელ ნერის, რომელიც საქმეს სწორად უძღვება. მშვიდად მუშაობის საშუალება უნდა მივცეთ და დარწმუნებული ვარ, რომ შედეგს მალე მივიღებთ. სიმართლე გითხრათ, მეგონა, რომ უფრო მეტად გაგვიჭირდებოდა „ლეჩესთან", მაგრამ ასე არ მოხდა. ეს დელ ნერის და მისი შემტევი სტრატეგიის დამსახურებაა".



პაველ ნედვედი

საინტერესოა, რომ ნედვედი „იუვენტუსზე" პირველ პირში საუბრობს, რაც კიდევ ერთი დასტურია იმის, რომ სულ მალე, ახალ ამპლუაში მოგვევლინება. პაველს **მილოშ კრასიჩზეც** მოუხდა საუბარი, ვისაც ხშირად სწორედ მას ადარებენ:

„არასწორად მიმაჩნია, როდესაც ახალგაზრდა ფეხბურთელს ვინმე სხვას, თუნდაც დიდ ფეხბურთელს ადარებენ. ამით, შეიძლება ვავნოთ მოთამაშეს და უმჯობესია, რომ ასეთი შედარებების გაკეთებისგან თავი შევიკავოთ. მთავარია, რომ „იუვენტუსმა" გაიმარჯვოს, მილოშმა კი ასევე გააგრძელოს და შესანიშნავი თამაშით გაგვახაროს. მართლაც ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია და მისი გადაბირება აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება იყო".

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა



● კონფერენცია

# მაღალი შეფასება

საქართველოს პარლამენტის დეპუტატების, განათლებისა და მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების, სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელების, საჯარო სკოლების დირექტორების, ექსპერტების, სპორტის გამოცდილი მუშაკებისა და მოწვეული სტუმრების მონაწილეობით გუშინ სასტუმრო „სიმპათიაში" გამართული კონფერენცია „საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლებისა და სპორტში მათი მასობრივად ჩაბმის ქართული მოდელის (ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა და რეკომენდაციები) პროექტის" განხილვას მიეძღვნა.

პროექტის შემუშავება დაიწყო საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის (თავმჯდომარე **გიორგი ასანიძე**) ინიციატივით, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გამოცდილი ორგანიზატორი, პარლამენტის სპორტის ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე **ვაჟა შუბლაძე**.

კონფერენცია გახსნა გიორგი ასანიძემ. ვრცელი მოხსენებით კი შეკრებილთა წინაშე ვაჟა შუბლაძე წარდგა. სემინარის მონაწილეებმა გამოთქვეს შენიშვნები და მოსაზრებები, საამისოდ დაითქვა კიდევ ერთი კვირა, რის შემდეგაც, ახლო მომავალში, დასრულებული პროექტის პრეზენტაცია შედგება უკვე გაეროს ბავშვთა ფონდ Unicef-ის და USAID-ის World Learning-ის წარმომადგენელთა მონაწილეობით. სწორედ ეს ორგანიზაციები არიან პროექტის დამფინანსებლები.

კონფერენციის შედეგები გიორგი ასანიძემ შეაჯამა.

**თენგიზ თომაშვილი**

*P.S. ზემოხსენებული პროექტი დასკვნისთვის გადაეგზავნა საერთაშორისო ორგანიზაციებს. გთავაზობთ მათ შეფასებებს.*

**„WOW" ეს მართლაც ცვლილებების გატარების მეტად თამამი მცდელობაა, რის აუცილებლობასაც თქვენ ასე მძაფრად გრძნობთ. თქვენი ქვეყნის კონტექსტიდან გამომდინარე, ეს წინადადებები ზუსტად ის არის, რაც თქვენ გჭირდებათ. მე კარგად მესმის, რომ მათი გატარება ყველა მხარესთან გარკვეულ პრობლემებთან იქნება დაკავშირებული არსებული პოლიტიკური სისტემის ფარგლებში.**

თუ Youth Sport Trust-ს შეუძლია რაიმე დახმარების გაწევა ტრენერების სახით ან შემდგომი კონსულტაციის თვალსაზრისით, გთხოვთ მაცნობოთ.

საუკეთესო სურვილებით,
**ალან ბელი**
მთავარი ექსპერტი, ლონდონი

**მე ხელს ვაწერ და ვიწონებ ახალ ეროვნული სასწავლო პროგრამას საქართველოში ფიზიკური განათლებისა და სპორტის შესახებ. ჩემი რეკომენდაციები წარმოდგენილია თქვენ მიერ გასათვალისწინებლად. ჩემთვის მეტად სასიამოვნო იყო პროექტის ფარგლებში ქართველ ექსპერტებთან მუშაობა და დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ექსპერტები და სამი სამინისტრო კვლავ გააგრძელებს ერთობლივ მუშაობას იმისათვის, რომ საქართველოში მოსწავლეებს გააჩნდეთ შეძლებისდაგვარად საუკეთესო ფიზიკური განათლება და სპორტული სასწავლო გეგმა, რომელიც დაეხმარება მათ საკუთარი ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში.**

**კლერ სტრეჩი**
ექსპერტი, ლონდონი

● ჩოგბურთი

# ნოდარ ითონიშვილი: კორტს დავუბრუნდი, მაგრამ მომავალი უიმედოა

ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტები გუშინ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ვაჟებს დაეთმოთ. შეჯიბრებაში 32 მამაკაცი ჩაება. პირველი ნომერია **გიორგი ცივაძე**, რომელმაც იოლად სძლია **ლაშა გულიაშვილს** — 6:2, 6:1. ორგანიზატორებმა მეორე ნომრად განთესეს 23 წლის საქართველოს ვაჟთა ნაკრების წევრი **ნოდარ ითონიშვილი**, რომელიც ტრავმის გამო, ფაქტობრივად, წელიწადია, კორტზე არ გასულა. თუ არ ჩავთვლით ნაკრების შემადგენლობაში წლეულს ერთადერთ შეხვედრას. ნოდარი ახალგაზრდებში ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონია, უფროსებშიც მოუპოვებია ოქროს მედალი. მეოთხე წელიწადია, ეროვნულ გუნდში თამაშობს. იძულებითი შესვენების შემდეგ გუშინ საკმაოდ კარგად იასპარეზა — **რობერტ ჩაჩავას** ორ სეტში (6:4, 6:4) სძლია და მეორე წრეში გავიდა.

— სამი წელიწადია, წელის ტრავმა მაწუხებს, ამის მიუხედავად, მაინც ვახერხებდი ტურნირებში მონაწილეობას და ნაკრების სპორტული ღირსების დაცვას, — გვითხრა ითონიშვილმა. — წლეულს მარტო ერთი შეხვედრა ჩავატარე. დიდი უქმობის შემდეგ დავუბრუნდი კორტს, მაგრამ სამომავლოდ იმედის ნაპერწკალიც არ ჩანს. დაუფინანსებლობის გამო უცხოეთში შეჯიბრებებზე ვერ მივდივართ. აქამდე თბილისის საერთაშორისო ტურნირებში მაინც ვმონაწილეობდით, წლეულს ეს სიამოვნებაც გამოგვაცალეს ხელიდან. ნაკრების წევრებს ერთადერთ ბედნიერებად ეროვნულ ჩემპიონატში ასპარეზობაღა დაგვრჩა. დევისის თასზე ევრო-აფრიკის მესამე ზონაში ვართ. იმის იქით აღარაფერია, არადა, ორი წლის წინათ უმაღლეს ეშელონში დასაწინაურებლად ვიბრძოდით. დაფინანსება თუ არ იქნა, საქართველოში ვაჟთა პროფესიული ჩოგბურთისგან არაფერი დარჩება — ვინც პერსპექტიულია, ალბათ, თავს უშველის, მოყვარულები კი ყოველთვის მოიძებნებიან...

გუშინ ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: **შოთა მეფარიძე-გიორგი ხოხბა** 6:1, 6:4, **დემეტრე მაღრაძე-კარენ სარქისიანი** 6:2, 6:1, **სერგო სიხარულიძე-თორნიკე წერეთელი** 6:0, 6:1, **ზურაბ ზედანია-სოზარ გოქაძე** 7:6, 7:5, **ალექსანდრე დავლიანიძე-რატი ძიძიგური** 6:0, 6:2, **ალექსანდრე მალლაკელიძე-გიორგი შუხოშვილი** 6:3, 6:3, **ლუკა ფილფანი-ზვიად ზაალიშვილი** 6:7, 6:2, 7:5, **დემეტრე თაქთაქიშვილი-მერაბ ქაშიბაძე** 6:1, 6:2.

**ვაჟა დანელია**



ავტორის ფოტო

# ბასილაშვილის მნიშვნელოვანი გამარჯვება



გუშინ ლოს ანჯელესის გარეუბან კალაბასასში „ჩელენჯერის" სერიის ტურნირში მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** (737). საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებული ქართველი ძირითადი ბადის პირველ წრეში ამერიკელ **ალექს კუზნეცოვს** (234) შეხვდა და ფავორიტს 7:5, 7:5 მოუგო. ნიკა მატჩში აშკარა უპირატესობას ფლობდა, მაგრამ რამდენიმე ბრეიკ პოინტი გაანიავა. მას ჯერ არასოდეს მოუგია რეიტინგში ასე მაღლა მდგომი ჩოგბურთელისთვის. ბასილაშვილმა უკვე გაინაღდა 10 სარეიტინგო ქულა.

ვინ იქნება ბასილაშვილის მეტოქე მერვედფინალში, დღეს გაირკვევა, მე-8 ნომრად განთესილი ავსტრალიელი **ჯონ მილმენი** (179) ამერიკელ **ლესტერ კუკს** ეთამაშება. მეოთხედფინალისტობა ჩვენებურს ჯამში 18 სარეიტინგო ქულას (3 საკვალიფიკაციოს მოგებისთვის) მოუტანს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ჭადრაკი

# რუბიკონზე სული მოითქვეს

პლოვდივში მოჭადრაკეთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე სულ შვიდი ტური გათამაშდება, რაც ისეთი სპრინტერული დისტანციაა, მონაწილეებს ამოსუნთქვის საშუალება არ აძლევს, ლიდერთა ოდნავი წაფორხილებაც საკმარისია, ფეხდაფეხ მდევარმა გაასწროს. ყოველივეს მიუხედავად, ქალთა ტურნირის მეწინავეთა ჯგუფის წევრებმა გუშინ სულის მოთქმა მაინც მოასწრეს - ორი შეხვედრა თითქმის უბრძოლველად ფრედ დასრულდა. ბრძენთა თამაშის ქომაგებს, ცხადია, უპირველესად სამაიას შედეგი დააინტერესებთ. ჩვენი მანდილოსნები ოთხივე დაფაზე ნახევარ-ნახევარ ქულას დასჯერდნენ. არადა, რუსეთის AVS-ის პირველ-მეორე დაფებზე ბულგარელი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი **ანტოანეტა სტეფანოვა** და ორგზის ევროპის ჩემპიონი **კატერინა ლახნო** თამაშობდნენ. დაზავდნენ: მე-20 სვლაზე - **მაია ჩიბურდანიძე** (2500)-ანტოანეტა სტეფანოვა (2551), 35-ე სვლაზე - კატერინა ლახნო (2539)-**ლელა ჯავახიშვილი** (2451), 31-ე სვლებზე - **სალომე მელია** (2439)-**ნატალია პოგონინა** (2491) და **მარია მუზიჩუკი** (2464)-**ნინო ხურციძე** (2435).

დიდ ინტერესს იწვევდა პეტერბურგისა (რუსეთი) და მონტე კარლოს (მონაკო) პაექრობაc, რადგან ორივე გუნდს ტიტულებით დახუნძლული მოთამაშეები ჰყავს. პეტერბურგელთა ღირსებას ევროპის ჩემპიონი **ეკატერინა ატალიკი** (თურქეთი, 2447), კონტინენტის პირველობების პრიზიორები - **ვიქტორია ჩმილიტე** (ლიტვა, 2513), **ქეთევან არახამია-გრანტი** ( შოტლანდია, 2451) და **მონიკა სოჩკო** (პოლონეთი, 2486) იცავენ. მონტე კარლოში თამაშობენ ქალთა მსოფლიოს კლასიფიკაციით მეორე-მესამე ნომრები - **ჰამფი კონერუ** (ინდოეთი, 2593) და **ჰოუ იფანი** (ჩინეთი, 2578), ორგზის ევროპის ჩემპიონი **პია კრამლინგი** (შვედეთი, 2509) და ევროპის ჩემპიონი **ელმირა სკრიპჩენკო** (საფრანგეთი, 2464). ამ გრანდებმაც გუშინ ქულები გაიყვეს - 2:2. სამაგიეროდ, წინა ტურში სამაიაზე გაბრაზებულმა ერევნის მიკამ ბას ბელგრადი არ დაინდო - 3:1. დანარჩენი შეხვედრები: გიპრორეჩტრანსი (რუსეთი)-ფოლკსბანკი (გერმანია)1,5;2,5, ფიშერ კიეტი (იტალია)-ლოკომოტივი (ბულგარეთი) 1,5:2,5, აშდოდი (ისრაელი)-ჰერცლია (ისრაელი) 1,5:2,5, კომარნო (სლოვაკეთი)-ოსლო (ნორვეგია) 1,5:2,5.

EUROPEAN CHESS CLUB CUP PLOVDIV 2010

დღეს მე-5 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: AVS (7/10,5)-მიკა (6/11,5), პეტერბურგი (5/9,5)-სამაია (7/9,5), მონტე კარლო (5/11)-ბას ბელგრადი (4/9), ფოლკსბანკი (4/6)-ლოკომოტივი (4/8), ჰერცლია (3/5)-გიპრორეჩტრანსი (4/10), ოსლო (2/4,5)-ფიშერ კიეტა (2/6), კომარნო (1/5)-აშდოდი (2/6,5).

ვაჟთა ტურნირში უდანაკარგოდ სამი გუნდი ლიდერობს. 4 ტურის შემდეგ 8-8 ქულა მოაგროვეს აზერბაიჯანის სოკარმა, ერევნის მიკამ და რუსეთის ეკონომისტმა,რომლებმაც, შესაბამისად, ბელარუსის ვესნიანკა (5:1), ბოსნია-ჰერცეგოვინის ბიჰაჩი (5:1) და რუსეთის მოსკოვი (4:2) დაამარცხეს. უკრაინის ჩერნიგივმა ესპანეთის გროს ქსაკესმოუგო 4,5:1,5, **ბაადურ ჯობავამ** პირველ დაფაზე **კრისტიან ბაუერს** აჯობა; ლუქსემბურგის კავალიემ დაძაბულ პაექრობაში იტალიის პადოვას სძლია 3,5:2,5. **თორნიკე სანიკიძემ კირილ გეორგიევს** გააჩერებინა საათი, რითაც ლუქსემბურგელებს გამარჯვებაში დაეხმარა.

შეჯიბრების დამთავრებამდე სამი ტური დარჩა.

**ვაჟა დანელია**

● პროფკავშირი

# რისი დავიწყებაც არ შეიძლება

საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშათა პროფკავშირმა (თავმჯდომარე **იროდი ბეჟაშვილი**) ყველა დარგობრივ პროფკავშირს საქმით შეახსენა, რომ თანამშრომელთა ერთობლივ გასვლებს საქართველოს ისტორიულ ადგილებში ყავლი არ გასვლია და ტრადიცია უნდა აღდგეს.

სხვადასხვა თაობის სპორტსმენები და სპორტის მუშაკები ოჯახის წევრებთან ერთად ამ დღეებში გურჯაანის რაიონის სოფელ გურჯაანს ეწვივნენ. მოინახულეს მონასტერი, დაათვალიერეს ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმი.

„ლელოს" კორ.

კალათბურთი. დუდუ დადიანის მემორიალი

# ქუთაისის გამოჩნდა

**20 ოქტომბერი**

თბილისი, შსს-ს აკადემიის დარბაზი

| სტუ-ქუთაისი | 62:90 |
|---|---|

14:14, 16:20, 19:23, 13:33

სტუ: ანთაძე (20ქ, 8მ), ჩიკვილაძე (21ქ), ლომოური (12ქ), გასიტაშვილი, მაჩალაძე (3ქ), თევზაძე, კობიძე (5ფ), ჯანგველაძე (2ქ), ბერუაშვილი (4ქ, 6მ, 3ჩ, 5ფ), ლაშქარაძე.

ქუთაისი: ცაგარეიშვილი, დიდია (2ქ, 6მ), ბ. ბერიშვილი (15ქ, 7პ, 5ჩ), კვიმსაძე (17ქ, 7მ), ტუკვაძე (5ქ), ბოლქვაძე (12ქ, 6მ), ლომინაშვილი (1ქ), გ. ბარბაქაძე (16ქ, 9მ, 3ჩ), კოლუაშვილი (5ქ, 10მ, 3პ), ქორიძე (17ქ)

მსაჯები: მ. ანდღულაძე, ხ. გაბედავა.

| შსს-სამედიცინო | 89:63 |
|---|---|

25:18, 20:13, 21:14, 26:18

შსს: დ. ბერიშვილი (3პ, 5ფ), ლაფანაშვილი (3ქ), ლეჟავა (7ქ, 3პ), ნიკოლაძე (12ქ), ი. ბერიშვილი (7ქ, 8მ, 5პ, 4ჩ), კოტონი (17ქ, 4პ), მარკოიშვილი (13ქ, 8მ), დ. ბარბაქაძე (4ქ, 7მ), იმნაძე (9ქ, 16მ, 2დ), შერმადინი (13ქ), ტომარაძე (4ქ, 3პ).

სამედიცინო: გულისაბედაშვილი (9ქ, 3ჩ), ჩაჩიბაია (5ქ, 9მ), ს. ლეჟავა (2ქ), თავართქილაძე (6ქ), ბექაური (12ქ, 8მ), გაბისონია, ნინიაშვილი (13ქ, 9მ), კეიდია (4ქ, 6მ), ჭოჭუა (12ქ).

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი

| ენერჯი-აგრარული | 61:45 |
|---|---|

17:13, 4:10, 19:14, 21:8

აგრარული: ტეტელაშვილი (8ქ), ბააკაშვილი (3ქ), ნანიტაშვილი (2ქ), სიგუა (6ქ), ჩაჩანიძე (7ქ), ხანიაშვილი (5ქ), გემაზაშვილი, ჯავახიშვილი (6ქ), მუმლაძე (8ქ).

ენერჯი: ცეკვავა (13ქ), ნივნივაძე (15ქ), აბაიშვილი (7ქ), გუგავა, არნივიძე (2ქ), ხმელიძე (2ქ), ტუჯანი (9ქ), ლამუ (13ქ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, მ. კუპატაძე

**დუდუ დადიანის მემორიალის მეორე დღეს სტუ-მ „ქუთაისთან" ითამაშა, შსს-მ — „სამედიცინოსთან" და „ენერჯიმ" — „აგრარულთან". მათგან სამი ამ მემორიალზე პირველად ვნახეთ და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ საინტერესო ჩემპიონატი გველის.**

**სტუ-ქუთაისი**

„ტექნიკოსებმა" წინა დღეს შსს-თან ღირსეულად იბრძოლეს და წინასწარ შეიძლებოდა იმის ვარაუდი, რომ „ქუთაისთანაც" საინტერესო შეხვედრა გამოვიდოდა. ასეც მოხდა, ახალგაზრდული შემართებით სტუ-ელები მეტოქეს მეოთხე პერიოდამდე თანაბრად ებრძოლნენ, თუმცა გამოცდილებამ თავისი გაიტანა და მეოთხე რაუნდი ქუთათურებმა 33:13 მოიგეს.

როცა გამოცდილებაზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში **ბუბა ბერიშვილს, ბუბა კვიმსაძეს, რეზო დიდიას, მამუკა ბოლქვაძეს** და **ვიქტორ კოლუაშვილს** ვგულისხმობთ. ეს კალათბურთელები გასულ წლებში საქართველოს ჩემპიონატის არაერთ გუნდში წამყვან როლებს თამაშობდნენ... ახლა თავად განსაზღვრეთ, რა ძალის გუნდია „ქუთაისი". ამასთან, **მალხაზ კოხრეიძის** გუნდში საინტერესო ახალგაზრდა ქუთათურებიც თამაშობენ. იმედია, ისინი მალე და კარგად გაგვაცნობენ. თუმცა, **ბექა ქორიძემ** მოცდა არ ისურვა და 13:30 წუთში 17 ქულა ჩააგდო. სროლის სიზუსტეს არ იკითხავთ: 3-დან 3 ორქულიანი, 3-დან 3 სამიანი, 2-დან 2 საჯარიმო.

**შსს-სამედიცინო**

ტურნირის მასპინძელი და ფავორიტი შსს სიჩქარეს ნელ-ნელა კრეფს. სტუ-თან გამარჯვებას **არჩილ ჟღენტის** გუნდმა „სამედიცინოსთან" მოგება მიაყოლა და ფინალის საგზურისთვის დღეს თსუ-თან იბრძოლებს.

„მედიკოსებმა" პირველ ტაიმში ღირსეული წინააღმდეგობა გასწიეს, თუმცა მესამე პერიოდის დასაწყისში 15 ქულით ჩამორჩნენ და მატჩის ბედიც აქ გადაწყდა.

შსს-ს რიგებში დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულა ცენტრმა **დავით იმნაძემ,** რომელმაც 16 მოხსნა მიითვალა. 13-13 ქულა ჩააგდეს **მარკოიშვილმა** და **შერმადინმა,** ხოლო ამერიკელ **ტროი კოტონს** 17 ქულა მოუგროვდა, რისთვისაც 17:26 წუთი ეყო.

**აგრარული-ენერჯი**

მართალია, აგრარული უნივერსიტეტის გუნდიდან შარშანდელი სეზონის შემდეგ ძირითადი ბირთვი წავიდა, მაგრამ მწვრთნელმა **მიხეილ კობეშავიძემ** გუნდი გამოცდილი მოთამაშეები მიიწვია და საინტერესო გუნდიც მივიღეთ. „აგრარებმა" გასული წლის შემდეგ შესუსტებულ „ენერჯის" დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, მეორე პერიოდში სულაც 4 ქულა ჩააგდებინეს. თუმცა **ნივნივაძითა** და **ლამუთი** გაძლიერებულმა რუსთაველებმა პირველი მატჩი მაინც მოიგეს - 61:45.

სხვათა შორის „ენერჯის" ორივე ახალწვეულს 10-ზე მეტი ქულა მოუგროვდა, ნივნივაძეს - 15, ლამუს - 13.

ვაჟა სიმონიშვილი




# რეკორდით გახსნილი ევროლიგა

## შერმადინს გულშემატკივარი ფეხზე წამოუდგა

გუშინ გვიან ღამით დასრულდა ევროლიგის სადებიუტო ტურის მატჩი სლოვენიის "ოლიმპიასა" და თურქეთის "ეფეს პილსენს" შორის. როგორც ყოველთვის, თანაბარი ძალის გუნდების დაპირისპირება თანაბრად წარიმართა და გამარჯვებულის გამოსავლენად ორი ოვერტაიმი გახდა საჭირო. საბოლოოდ, გამარჯვება **გიორგი შერმადინის** „ოლიმპიას" დარჩა - 95:90.

ქართველი ცენტრისთვის ეს იყო პირველი მატჩი სლოვენიური გუნდის მაისურით. ჩვეულებისამებრ ასეთ შემთხვევებში მწვრთნელები ცდილობენ ახალწვეულები თამაშს ნელ-ნელა შეაჩვიონ. ამიტომაც იყო, შერმადინმა პირველ მეოთხედში ცოტა რომ ითამაშა. მეორე ათწუთეულში შედარებით მეტი სათამაშო დრო ერგო და პირველი ტაიმიც 4 ქულით დაასრულა.

მესამე პერიოდში „ეფესმა" მცირე უპირატესობა მოიპოვა, **გონლუმისა** და **ვიშნიევსკის** კარგი თამაშის წყალობით 7 ქულით დაწინაურდა - 47:40. თუმცა, ეს ჩამორჩენა „ოლიმპიამ" იოლად აღმოფხვრა: ჯერ **გორან იაგოდნიკმა** ჩააგდო სამქულიანი, შემდეგ შეცვლაზე შესულმა შერმადინმა სხვაობა 4 ქულამდე შეამცირა (45:49), ამას მოჰყვა **ვლადო ილიევსკის** 3 ქულა და შერმადინის ჩატენვა - 50:52.

გიორგი მეოთხე პერიოდის დასაწყისშიც მოედანზე იყო და სწორედ მისი დამსახურებაა მეორე პერიოდის შემდეგ „ოლიმპიამ" „ეფესს" რომ გადაასწრო - ქართველმა ცენტრმა ერთმანეთის მიყოლებით ორი ორქულიანი გამოიყენა (მეორე ჩატენა) და - 57:56. 34-ე წუთზე შერმადინის მიერ რეალიზებული ერთი საჯარიმოს შემდეგ მასპინძლები ორი ქულით დაწინაურდნენ - 61:59. მომდევნო წუთზე გიორგი სათადარიგოთა სკამზე გადავიდა. *„ამ ეპიზოდში მას ტრიბუნებზე მსხდომი ქომაგი ფეხზე წამოუდგა და ტაშით გააცილა,"* - იხსენებს **ვლადიმერ ბოისა,** რომელიც მატჩს სწორედ ტრიბუნებიდან ადევნებდა თვალს. მისივე თქმით, შერმადინი სლოვენიელებმა პირველივე მატჩის შემდეგ თბილად მიიღეს, რაც ნებისმიერ კალათბურთელს დამატებით სტიმულს მატებს.

ძირითადი დროის ბოლო წუთზე თურქები სამი ქულით დაწინაურდნენ. ეს ჩამორჩენა მასპინძლებმა სამი ზუსტი საჯარიმოთი აღმოფხვრეს (71:71) და მატჩი ოვერტაიმში გაგრძელდა.

დამატებით დროში „ოლიმპიას" პირველი ქულები გიორგი შერმადინმა მოუტანა (73:73). ეს იყო მისი მე-11 ქულა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქართველმა მეფარემ ევროლიგაზე დამყარებული პირადი რეკორდი გაიმეორა. მან შარშან „მარუსისთან" 14 წუთში სწორედ 11 ქულა ჩააგდო. მატჩის 44-ე წუთზე გიორგის ნაცვლად მოედანზე იაგოდნიკი შევიდა და მას მერე შერმადინს აღარ უთამაშია. სლოვენიელებმა ბრძოლისუნარიანობა გამოიჩინეს - ჯერ 4-ქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრეს და მატჩი მეორე ოვერტაიმში გადაიყვანეს. შემდეგ თამაში კიდევ უფრო გააუმჯობესეს და მეორე დამატებულ ხუთწუთეულში ერთი საჯარიმოც არ აუცილებიათ. მატჩის საფინალო ანგარიში უკვე მოგახსენეთ - 95:90.

შერმადინმა 15:49 წუთში (ესეც საევროლიგო რეკორდია) 11 ქულა (6-დან 5 ორქულიანი, 2-დან 1 საჯარიმო) და თითო მოხსნა-დაფარება მოაგროვა. მან ორი შეცდომა დაუშვა, 4 ფოლი მიიღო და მეტოქეები აიძულა მასზე წესი 5-ჯერ დაერღვიათ. „ოლიმპიას" გამარჯვებისკენ გაუძღვნენ **კევინ პინკნი** და გორან იაგოდნიკი. პირველმა 23 ქულა ჩააგდო, მეორემ - 21.

ვაჟა სიმონიშვილი

ძიუდო

# როტერდამში ზაიზენბახერის დაგვაკვირდა

როტერდამის „დიდ პრიზზე" საქართველოს ნაკრების წევრთა გამოსვლას არა მხოლოდ ნაკრების ახალდანიშნული თავკაცი **სოსო ლიპარტელიანი** და საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ალექსიძე** აკვირდებოდნენ - ტურნირზე ეროვნული გუნდის მწვრთნელ-კონსულტანტად შეგულებული ავსტრიელი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი **პეტერ ზაიზენბახერიც** იმყოფებოდა მომავალ შეგირდთა საქმეში სანახავად. რა დაინახა მათში, რა მოეწონა და რა - არა, ამას უკეთეს შემთხვევაში დეკემბერში თუ შევიტყობთ, როცა საქართველოში მისი ჩამოსვლაა navარაუდევი. როტერდამში მისი ვიზიტი არაოფიციალური ხასიათისა იყო, თუმცა ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელობამ მასთან მოლაპარაკებები მაინც გამართა. ოღონდ ესეც უფრო შინაური საუბრები იყო სამომავლო თანამშრომლობაზე, ხელშეკრულების ცალკეულ დეტალებზე, მაგრამ როგორც ალექსიძემ გვითხრა, რაიმე კონკრეტულ საკითხზე არ შეთანხმებულან. ჯერჯერობით ისევ გაურკვეველია ფინანსური დეტალები, თუმცა არც ისაა გამორიცხული, ეს პრივატული საკითხი მხარეებმა სამზეოზე არც გამოიტანონ. ბოლომდე გარკვეული არც ისაა, რა სახეს მიიღებს ზაიზენბახერის დახმარება, მაგრამ ისევ ალექსიძის თქმით, ძირითადად ფიზიკური კონდიციების ამაღლებზე იმუშავებს.



პეტერ ზაიზენბახერი

ჯერჯერობით ასევე გაურკვეველია საქართველოს ძიუდოს ფედერაციის საარჩევნო ყრილობის გამართვის თარიღი. აღმასკომის გადაწყვეტილებით, არჩევნების ვადა წლის ბოლომდე უნდა განისაზღვროს, მაგრამ ფაქტია - ჯერ არ გარკვეულა. კარგი იქნება, ფედერაცია ამ საკითხის მოგვარებას თუ დააჩქარებს. ასევე კარგი იქნება, წესდებაში ოფიციალურად თუ შეასწორებს იმ ყოვლად გაუმართლებელ, არადემოკრატიულ მუხლს, რომელიც ფედერაციის პრეზიდენტს ერთპიროვნულად აძლევს ყველასა და ყველაფრის მოხსნა-გადაყენება-განკარგვის უფლებას ისე, რომ შეუძლია, ამაზე პრეზიდიუმს არც დაეკითხოს. მართალია, ამ ლაფსუსის შესწორებაზე ზემდგომთა ზეწოლით შარშან ქუთაისში ქვეყნის პირველობის წინ გამართულმა პრეზიდიუმის სხდომამ გადაწყვეტილება მიიღო და სათანადო ოქმიც არსებობს, მაგრამ აჯობებს, ეს ყველაფერი წესდებაში დაფიქსირდეს - ყოველი მომდევნო პრეზიდენტი წესდებას ჩახედავს და არა პრეზიდიუმის რომელიმე რიგითი სხდომის რიგით ოქმს. ვეჭვობთ, ავტორიტარიზმის მსგავს ელემენტებს სხვა ფედერაციების დებულებებშიც შევხვდებით და აჯობებს, სამინისტრო თავისი იურიდიული სამსახურის მეშვეობით მათ რევიზიას თუ გააკეთებს.

ამასობაში ერთი საკითხი მაინც გაირკვა, ოღონდ არა ბოლომდე - საქართველოს ჩემპიონატი 20-21 ნოემბერს თბილისში ჩატარდება, მაგრამ ჯერ ბოლომდე არაა ცნობილი, რომელი დარბაზი უმასპინძლებს. სავარაუდოდ, ძიუდოს აკადემია. ერთხელაც შეგახსენებთ, რომ ის იქნება მთავარი შესარჩევი შეჯიბრება მომავალი სეზონისთვის. ლიპარტელიანის მოთხოვნით, იქ ყველამ უნდა იჭიდაოს, ვისაც გაისად ნაკრებში მოხვედრა უნდა. თან ყველამ საკუთარ წონაში. იმედია, მწვრთნელი პრინციპულობას ბოლომდე შეინარჩუნებს და დისციპლინას ერთხელ და სამუდამოდ დაამყარებს.

ირაკლი თავაძე

ტყვიის სროლა. მსოფლიოს სუპერთასი

# სალუქვაძე სუპერთასზე

ზეგ გვიან ღამით ქართველი ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი ტყვიის სროლაში **ნინო სალუქვაძე** მიუნხენში გაფრინდება, სადაც 24-29 ოქტომბერს მსოფლიოს თასის სუპერფინალი ტარდება. სალუქვაძე ამჯერად მხოლოდ ერთ დისციპლინაში გამოვა - სპორტული პისტოლეტით ისვრის, ამ სახეობაში კი შეჯიბრება 27 ოქტომბერს გაიმართება. ჩვენებური ამ დისციპლინაში სუპერთასის შარშანდელი გამარჯვებულია და წლევანდელ ტურნირში გამოსვლის უფლება შარშანვე მიიღო, თუმცა საგზური წლეულსაც მოიპოვა.

ორივე სახეობაში 12-12 მსროლელი გამოვა. აქამდე 8-8 გამოდიოდა, მაგრამ წლეულს მსოფლიოს თასის ეტაპებიდან გასულ რვა სპორტსმენს შარშანდელი გამარჯვებულები და მსოფლიოს ჩემპიონატის (ეს ტურნირი ამ სახეობაში ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება და წლეულს ჩატარდა მიუნხენშივე) სამ-სამი მედალოსანიც დაამატეს. ასე მოიყარა თავი 12 ჩუბინმა. სპორტული პისტოლეტით სროლაში სალუქვაძის მეტოქეები რუსი მსოფლიოს ჩემპიონი **კირა კლიმოვა,** ჩეხი ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი **ლენკა მარუსკოვა,** ავსტრალიელი ოლიმპიადისა და მსოფლიოს პრიზიორი **ლოლიტა იევლევსკაია,** ბულგარელი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი **მარია გროზდევა,** ფრანგი **სელინ გობერვილი,** გერმანელთა მონღოლი მსოფლიოს ჩემპიონი **მუნკბაირ დორჯსურენი,** ყაზახი **ზაურეშ ბაიბუსინოვა,** მონღოლი **მუნკზულ ჩოგბადრანი,** რუსი **ანა მასტიანინა,** სერბი მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონი **ზორანა არუნოვიჩი** და მისი სახელოვანი თანაგუნდელი, სალუქვაძესავით ყველა ტიტულის მფლობელი **იასნა სეკარიჩი.** ამათგან ორივე დისციპლინაში, ანუ სპორტულსა და პნევმატურში ერთად მხოლოდ ოთხი გამოვა - იევლევსკაია, ბაიბუსინოვა, კლიმოვა და არუნოვიჩი. ბოლო სამი მსროლელი აქამდე დიდი შედეგებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ წლეულს კარგად ისროლეს, თუმცა კლიმოვა და არუნოვიჩი არც მსოფლიოს ჩემპიონატამდე ბრწყინავდნენ. აი, იქ კი ორივემ ნამდვილი ფურორი მოახდინა და ძველებს იარაღი დააყრევინა - კლიმოვა სპორტულში გახდა ჩემპიონი, არუნოვიჩმა კი, რომელმაც წლეულს აშკარად დაჩრდილა სეკარიჩი, პნევმატურში გაიმარჯვა, სპორტულში კი ვერცხლი მოიპოვა. ვნახოთ, გააგრძელებენ თუ ვერა ისინი ასეთსავე წარმატებულ გამოსვლას მომდევნო სეზონებში.

ბოლოს შეგახსენებთ, რომ სალუქვაძე მსოფლიოს სუპერთასის მოპოვებას მერვედ შეეცდება.

ირაკლი თავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო წარმოგიდგენთ

# ქართული სპორტის ქრონიკები

## შეხვედრა წარსულთან

# ვანო წამალაშვილი

# ჩვენი ჭიდაობის წამალი



ვანო წამალაშვილს საჭიდაო სამყაროში „პატარა გლდანელს" უწოდებდნენ. ავჭალის მოსაზღვრე დასახლება, სადაც ვანო დაიბადა, პატარა გლდანის სახელითაა ცნობილი. ფიზიკურად კი **ვანო წამალაშვილი** სულაც არ ყოფილა პატარა...

**კულა გლდანელის** თანასოფლელმა ვანო წამალაშვილმა (1900-1967) ქართული ჭიდაობა გლდანის ცნობილ საჭიდაო „კრუგზე" დაიწყო. ოთხი ძმა წამალაშვილებიდან სამი ჭიდაობით იყო გატაცებული..

1918-1926 წლებში ვანო გლდანელმა (ზოგჯერ ამ ფსევდონიმითაც მოიხსენიებდნენ) დიდ წარმატებებს მიაღწია ქართული ჭიდაობის სარბიელზე. ბევრი სახელოვანი ფალავანი დაჯაბნა. ამ პერიოდშივე ფალავნობა ვეტერან საგარეჯოელ **მიხა ქურხულს** ჩამოართვა.

ქართული ჭიდაობისა და თბილისის მეხოტბე **იეთიმ გურჯი** (დაბლიშვილი) თავის ლექსში „საქართველოს ფალავნები" (1925), როდესაც ფალავნებს ჩამოთვლის, წერს:

*„ვანოს ვიცნობ გლდანელსა, ფალავანი გმირია,*
*შაშოს თავის ძმებითა, მერე ჯიჯიშვილია".*

(სხვათა შორის, იეთიმ გურჯი მსაჯობდა კიდეც ქართულ ჭიდაობას).

ვანო წამალაშვილი ჩუმად აკეთებდა ქართული ჭიდაობისთვის ერთობ სასიკეთო საქმეებს. როგორც მოჭიდავემ, მწვრთნელმა, მსაჯმა და ორგანიზატორმა უდიდესი ამაგი დასდო ჩვენს ეროვნულ საუნჯეს.

სარბიელზე რომ გამოდიოდა, პარალელურად ახალბედებსაც წვრთნიდა. მოსწავლეთა შორის მისი ასაკისანი და ზოგჯერ უფროსებიც კი იყვნენ... ის გვაგონებს ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობის გამოჩენილ მესვეურს, **ვახტანგ კუხიანიძეს** (1914-1985), რომლის ზოგიერთი სახელოვანი მონაფე ასაკით მასზე უფროსი იყო...

ვანოს აღზრდილთა შორის იყვნენ ქართულის ცნობილი მოჭიდავეები: **მიხეილ შაოშვილი, აკაკი ადეიშვილი, მიხეილ რჩეულიშვილი, ვასო ქარუმიძე, ამბროსი გაგნიძე...**

ვანო გლდანელი ნაძალადევში, საკუთარ საჭიდაო წრეზე წვრთნიდა მოსწავლეებს. ფაქტობრივად, ამ კაცმა დაუდო სათავე ქართულ ჭიდაობაში სამწვრთნელო საქმესაც.

გიმნაზიაში ვანო **ნიკო კეცხოველთან** ერთად სწავლობდა, რომელსაც ისე შეაყვარა ქართული ჭიდაობა, რომ დღესაც ხშირად ვიშველიებთ აკადემიკოს ნიკო კეცხოველის დაწერილ სიტყვებს ქართულ ჭიდაობაზე...

1925 წლიდან ვანოს მონადინებით ქართულ ჭიდაობაში დაიწყო წონით კატეგორიებად დაყოფა. ამავე პერიოდიდან შემოიღეს შეჯიბრებების კალენდარი და განსაზღვრეს ორთაბრძოლების ხანგრძლივობა. ქართულ ჭიდაობას დაუწესეს 10 წუთი (5 წუთის შემდეგ შესვენება — 1 წუთი), მალე 10 წუთი შეამცირეს 6 წუთამდე. თუ 1925 წლამდე ხალხი თვითონ ავლენდა გამარჯვებულს (შეძახილებით „არის!" ან „არ არის!"), 1925 წლიდან მსაჯებად საგანგებოდ მომზადებულ „ამხანაგებს" არჩევდნენ. თუმცა იყო შემთხვევები, მსაჯებად სოფლის მღვდლები, ბოქაულები ან სხვა „წარჩინებული" ადამიანები გვევლინებოდნენ.

ვანოს „რევოლუციურ" წამოწყებაში გვერდში ედგა მისივე მოწაფე, ცნობილი მოჭიდავე **ამბროსი გაგნიძე.** იოლი არ ყოფილა სიახლის დანერგვა. ვანო წამალაშვილმა და მისმა მომხრეებმა ბევრი წინააღმდეგობა გადალახეს. ყარაჩოხელი გულშემატკივრები თავდაპირველად ძნელად ეგუებოდნენ სიახლეებს. ვანო წამალაშვილმა 20-იანი წლების ბოლოს და 30-იანი წლების დასაწყისში შეადგინა ქართული ჭიდაობის სახელმძღვანელო, რომელიც გადაეცა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. ამ სახელმძღვანელოს მიხედვით შეიქმნა სასწავლო ფილმი ქართულ ჭიდაობაზე, რომელიც გადაიღო რეჟისორმა **სანდრო ჯალიაშვილმა.** სწორედ ამის შემდეგ დაიბეჭდა (1940) **ილო სვანელის (თომაშვილის)** წიგნი „ქართული ჭიდაობის სახელმძღვანელო".

სხვათა შორის, 20-იანი წლებიდან ქართული ჭიდაობის წიგნის შედგენაზე მუშაობდა აგრეთვე ვანოს მოწაფე, გურჯაანელი მიხეილ შაოშვილიც.

მართლაც დიდია ვანო გლდანელის წვლილი ქართულ ჭიდაობაში. ფაქტობრივად, ამ კაცმა შემოიღო წონითი კატეგორიები ქართულ ჭიდაობაში, დააწესა ჭიდაობის დრო, ორგანიზაცია გაუკეთა მსაჯობის ერთობ რთულ საქმიანობას, პროფესიონალი მწვრთნელების მომზადებაც მისი ინიციატივით დაიწყო. ზოგიერთი მას ქართული ჭიდაობის „წამალსაც" ეძახდა.

მრავალი შეჯიბრების მთავარი მსაჯი ვანო წამალაშვილი პარალელურად რკინიგზაში მსახურობდა. იყო საპატიო რკინიგზელი. ეს წერილი იეთიმ გურჯის სიტყვებით გვინდა დავასრულოთ.

„თუ რომ ვინმე მგოსანი იეთიმ გურჯსა გააქცევს,
ისე ვანო გლდანელსაც ვერავინ ვერ წააქცევს".

**გაბრიელ ბარჯაძე**

## თარიღი — 21-27 ოქტომბერი

**21-22. 1967 წ.** მეხიკოს ტრეკზე **ომარ ფხაკაძემ** 200 მეტრზე ჰიტში სვლით ორ დღეში მსოფლიოს ორი რეკორდი დაამყარა — 10,69 და 10,61. ორივე რეკორდმა 1980 წლამდე იარსება.

**22.10.1 980წ.** თბილისის დინამომ" სტუმრად უეფას თასის მერვედფინალის პირველი მატჩი 1:0 (0:0) მოუგო ირლანდიის „უეტერფორდს". გოლი — შენგელია.

**22.10. 1953წ.** თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა შინ 2:3 (1:2) წააგეს ამხანაგური მატჩი ბუდაპეშტის „დოჟასთან".

**23.10. 1937წ.** ქართველმა მთამსვლელებმა დალაშქრეს სვანეთის კავკასიონის 4960 სმ სიმაღლის მწვერვალი და მას „რუსთაველის პიკი" უწოდეს.

**23. 1973.** დაიბადა **გოჩა გახარია** — წყალხტომა.

**24.10.1973წ.** ფეხბურთი. თბილისის „დინამომ" უეფას თასზე ბელგრადის „ოფკ"-ს უმასპინძლა და დაამარცხა 3:0 (2:0).

**25.10. 1957წ.** დაიბადა **თამაზ ნამგალაური** — ძიუდო.

**25.10 1939წ.** დაიბადა **ანზორ ქიბროწაშვილი** — ძიუდო, სამბო.

**26.10.1997წ.** ბუდაპეშტში **გიორგი კანდელაკი** გახდა პირველი ქართველი მსოფლიოს ჩემპიონი სამოყვარულო კრივში.

**26.10.1977წ.** ჰალეში (გდრ) სამოყვარულო კრივში **დავით კვაჭაძე** პირველი ევროპის ჩემპიონი გახდა საქართველოდან.

**26.10.1958წ.** თავრიზში ადგილობრივი საფეხბურთო ნაკრები 0:7 დამარცხდა თბილისის „დინამოსთან".

**27.10.1944წ.** თეირანში თბილისის „დინამომ" 4:0 დაამარცხა ქალაქის ფეხბურთელთა ნაკრები.

**27.10.1965წ.** ფეხბურთი. თბილისის „დინამომ" ჩეხოსლოვაკიის გრადეც-კარლოვის „სპარტაკს" უმასპინძლა და 5:1 (0:0) მოუგო.

## სპორტი და ცნობილი ადამიანები

### ვაჟა-ფშაველას მოგონებებიდან

„...კრივი კარგად ვიცოდი, ვინაიდან მუდამ შაბათკვირაობით უქმეებში კრივი იმართებოდა და ყველასათვის ფართო ასპარეზი იყო გაშლილი... კრივში ჩემს საუკეთესო ამხანაგად ითვლებოდა ჩვენებური მღვდლის შვილი, შაქრო მალალაშვილი, მუდამ ერთად ვმონაწილეობდით".

## პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** საქართველოს ჩემპიონატი ფრენბურთში ჩატარდა 1932 წელს. მომდევნო წლიდან საქართველოს ვაჟთა ნაკრები სსრ კავშირის პირველობაში ჩაერთო.

**პირველმა** საბჭოთა კავშირში სპორტის ისტორიის სახელმძღვანელო შექმნა ქართველმა პროფესორმა **მიხეილ გორგაძემ.**

**პირველად** უცხოელებთან ერთად მყინვარწვერზე ქართველებიდან ავიდა **იაგორ კაზალიკაშვილი** — ქართული ალპინიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

## შეკითხვა ლელოს

**გამიგია, რომ ბასკებს აქვთ ხალხური თამაში პელოტა. ვიცი ისიც, რომ ქართველებს და ბასკებს ნათესავებად მიიჩნევენ და მართლაც ბევრი საერთოა მიკვლეული. რა არის პელოტა და ხომ არ აქვს მას მსგავსება რომელიმე ქართულ ხალხურ თამაშთან?**

**ლუკა ბერიანიძე**
თბილისი

— ჩვენ მიერ მოძიებული ცნობებით, პელოტას პირდაპირი მსგავსება დღემდე ცნობილ რომელიმე ქართულ ტრადიციულ თამაშთან არ აქვს. შეიძლება იგი გვიან აღმოცენდა ბასკებში (ესპანურადაც იგივე სახელი ჰქვია) და ამოვარდნილია ქართულ-ბასკურ მსგავსებათა ჩარჩოდან. ცნობისთვის გეტყვით, რომ ბასკური პელოტა 1900 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაშიც შედიოდა. 1992 წელს ბარსელონაში გამართულ ოლიმპიადაზე კი პელოტა წარმოდგენილი იყო როგორც საჩვენებელი სპორტის სახეობა. იგი თანამედროვე სკვოშის ნაირსახეობა უფროა. 1952 წლიდან ბასკური პელოტის საერთაშორისო ფედერაცია ატარებს მსოფლიო ჩემპიონატს. ფრანგებს მოპოვებული აქვთ 140 მედალი (ოქრო - 58, ვერცხლი - 47, ბრინჯაო - 35), ესპანელებს - 14 (56, 61, 29), არგენტინელებს - 76 (42, 23, 11)...

## თქვენთვის, ერუდიტებო! — ვიქტორინა

1. დაასახელეთ პირველი ოფიციალურად დარეგისტრირებული საფეხბურთო კლუბი საბჭოთა კავშირში

ა – მოსკოვის „სპარტაკი"
ბ – სოხუმის „დინამო"
გ – თბილისის „მრეტები"

2. სად დაიწყო თემურ ქეცბაიას, როგორც ფეხბურთელის კარიერა?

ა – გალის სპორტსკოლაში
ბ – სოხუმის „დინამოში"
გ – თბილისის სპორტულ სკოლა-ინტერნატში

3. სად არის ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონი?

ა – თელავში
ბ – სამტრედიაში
გ – ხობში

4. წარსულში რომელი ცნობილი ფეხბურთელი იყო ჯერ საკალათბურთო გუნდის უფროსი, შემდეგ საქართველოს რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი?

ა – ბორის პაიჭაძე
ბ – ავთანდილ ღოღობერიძე
გ – დავით ყიფიანი

5. რომელ წელს დაწესდა სსრ კავშირის ჩემპიონატებში პირველი, მეორე და მესამე ადგილებზე გასული გუნდებისთვის შესაბამისად ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები?

ა – 1941 წელს
ბ – 1946 წელს
გ – 1947 წელს

პასუხები: 1-გ, 2-ა, 3-ბ, 4-ა, 5-გ.

## ფოტომატიანე. /ლელოს არქივი/



1970-იანი წლები. სახელოვანი ქართველი სპორტსმენები სპორტის ხელმძღვანელებთან და საზოგადო მოღვაწეებთან

A ლიგა

# ყოჩებმა ფინალის მოიგეს და მუშტი-კრივის?

საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკთა A ლიგაში, სადაც ერთმანეთს თვრამეტწლამდელი მორაგბეები ეჯიბრებიან, სკანდალით დასრულდა.

ფინალურ მატჩში, რომელშიც ჩემპიონობისთვის „ყოჩებისა" და „ჯიქების" ყმაწვილი მორაგბეები იბრძოდნენ, ჯგუფური ჩხუბი ატყდა. კინკლაობა და მუშტი-კრივი რაგბისთვის უცხო არ არის, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში ჩხუბში ჩაებნენ როგორც სათადარიგო მოთამაშეები, ისე ტრიბუნაზე მყოფი გულშემატკივრებიც, რაც რაგბის კავშირის სადისციპლინო კოდექსით უმკაცრესად ისჯება.

ბოლო ხანს გახშირდა დისციპლინის უხეში დარღვევები, გუნდური ჩხუბი, მსაჯების შეურაცხყოფა. საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტს სხვადასხვა დარღვევის გამო უმაღლეს, პირველ, მეორე, ჭაბუკთა A და B ლიგებში 33 სხდომა აქვს გამართული. რაგბის კავშირის გამგეობის გადაწყვეტილებით, ნოემბერში ჩატარდება რიგგარეშე ყრილობა, რომელზეც განიხილება და დამტკიცდება მნიშვნელოვნად გამკაცრებული ახალი კოდექსი.

საბედნიეროდ, ფინალურ მატჩში ვითარება ისე არ გართულებულა, რომ თამაში ჩაშლილიყო. „ყოჩებმა" მეტოქე 18:11 დაამარცხა და ჭაბუკთა A ლიგის ჩემპიონის ტიტული ირგუნა.

მესამე ადგილისთვის მატჩში ქუთაისის „აიამ" რუსთავის „ხარებს" 26:13 მოუგო.

| ჭაბუკთა A ლიგა |
|---|
| III ადგილისთვის |
| აია-ხარები 26:13 |
| ფინალი |
| ყოჩები-ჯიქები 18:11 |

შვიდკაცა რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი

# ვისოლი/ყოჩები ტიტულს ვისოლზე დაიცავს

23-24 ოქტომბერს დიდ დიღომში, „ვისოლის" სარაგბო სტადიონზე შვიდკაცა რაგბის ფინალური ეტაპი გაიმართება. შეგახსენებთ, რომ წლეულს გათამაშება სამ ეტაპად ტარდება. პირველი ორის შედეგების ჯამით შეირჩა ათი საუკეთესო გუნდი, რომლებიც ბოლო, მესამე ეტაპზე ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ.

გუნდები ორ ჯგუფად არიან გაყოფილნი. A ჯგუფში იასპარეზებენ: „ბათუმი XV", თბილისის „აკადემია", ქუთაისის „ბაგრატი", რუსთავის „ხარები" და თბილისის „ლელო". B ჯგუფში შარშანდელ ჩემპიონ თბილისის „ვისოლი\ყოჩებს" ტიტულს შეეცილებიან ქუთაისის „აია", თბილისის „ხულიგანა", თბილისის „ლოკომოტივი" და ფოთის „რაინდები".

თამაშები ორივე დღეს 11 საათსა და 30 წუთიდან დაიწყება და დაახლოებით 18 საათამდე გასტანს.

**A ჯგუფი: ბათუმი XV, აკადემია, ბაგრატი, ხარები, ლელო**

**B ჯგუფი: ვისოლი\ყოჩები, აია, ხულიგანა, ლოკომოტივი, რაინდები**

ტესტები

# ოთხი დებიუტანტი ნარშავებში



ენდი რობინსონი შეგირდებთან ერთად

2011 წლის მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრების მეტოქის, შოტლანდიის ეროვნული გუნდის მწვრთნელმა **ენდი რობინსონმა** იმ 34 მორაგბის სია გაცხადა, რომლებიც ნოემბერში ახალზელანდიელებს, სამხრეთაფრიკელებს და სამოელებს დაუპირისპირდებიან.

რობინსონის განაცხადში ოთხი დებიუტანტია, **რიჩარდ ჯექსონი, გრეგ ლიდლოუ, ჯიმი თომპსონი** და **ჯო ენსბრო.** ნოემბრის ტესტებზე ტრავმების გამო „ნარშავებს" ვერ დაეხმარებიან **ალისტერ კელოკი, ჯონ ბითი, ნიკ დე ლუკა და საიმონ დენიელი**, რომლებმაც ლომის წილი დაიდეს ივნისში მარ დელ პლატაში არგენტინის ნაკრების დამარცხებაში - 13:9.

აღსანიშნავია, რომ შოტლანდიის ნაკრები ამჟამად მსოფლიო რეიტინგში მეშვიდე ადგილზეა, რაც სწორედ არგენტინაში მიღწეულმა წარმატებამ განაპირობა. რობინსონის მიერ ეროვნულ გუნდში მიწვეული მორაგბეებიდან 14 ლეგიონერია, 12 „ედინბურგიდანაა", ხოლო 8 „გლაზგოს" ღირსებას იცავს.

*„ბოლო ოთხი შეხვედრა ჩვენი გამარჯვებით დასრულდა. ვეცდებით, ნოემბერში წაუგებელი სერია შვიდამდე ავიყვანოთ".* - თქვა ენდი რობინსონმა

**შოტლანდიის ნაკრები**

შერკინება: **ჯონ ბარკლი, კელი ბრაუნი, გოფ კროსი, ალასდაირ დიკინსონი, როს ფორდი, რიჩი გრეი, დაგ ჰალი, ჯიმი ჰამილტონი, ნათან ჰინესი, ალან იაკობსენი, სკოტ ლაუსონი, მორეი ლავი, ალან მაკდონალდი, სკოტ მაკლოიდი, ევან მურეი, როს რენი, ალასდაირ სტროკოში, რიჩი ვერნონი.**

უკანა ხაზი: **ჯო ენსბრო, მაი ბლერი, ბენ კაირნსი, მაქს ევანსი, ალექს გროვი, რუარიდ ჯეკსონი, გრეგ ლიდლოუ, რორი ლამონტი, შეან ლამონტი, რორი ლაუსონი, გრემ მორისონი, დენ პარქსი, კრის პატერსონი, ჰუგო საუთვილი, ჯეიმზ თომპსონი, ნიკი ვოლკერი.**

13 ნოემბერი: **შოტლანდია-ახალი ზელანდია**

20 ნოემბერი: **შოტლანდია-სამხრეთ აფრიკა**

27 ნოემბერი: **შოტლანდია-სამოა**

# ახალი კაცი ვოლაბების სამწვრთნელო შტაბში

ავსტრალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რობი დინსმა** 40 მორაგბე ჯერ კიდევ ორი კვირის წინ შეკრიბა და ნოემბრის ტესტებისთვის მზადება დაიწყო. გუშინ კი ორმოცეულიდან ოთხს, **ნათან ჩარლზს, მიტჩელ ჩეპმენს, დეივ დენისს** და **კენი დუგლასს** კარისკენ მიუთითა. მის განკარგულებაში ის 36 მორაგბე დარჩა, რომლებიც ნოემბერში გასამართ შვიდ მატჩში ითამაშებენ.

ახლახან ავსტრალიის რაგბის კავშირმა მოკლევადიანი კონტრაქტი გაუფორმა **ფილ ბლეიკს**, რომელიც „ვოლაბებს" ნოემბრის ტესტებისთვის დაცვაში თამაშში მოამზადებს. ბლეიკი რაგბი ლიგის მოთამაშე იყო და კარიერა 1999 წელს დაასრულა. სამწვრთნელო ასპარეზზე კი 2006 წლიდან გამოვიდა და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. ბლეიკი ავსტრალიის ნაკრებში **რიჩარდ გრემს** შეცვლის, რომელმაც ახლახან კონტრაქტი გააფორმა „ზერაგბის" გუნდ „ვესტერნ ფორსთან".

რობი დინსს ასევე ასისტენტობას გაუწევენ **ჯიმ ვილიამსი** და **დევიდ ნიკიფორა.**

შეგახსენებთ, რომ ნოემბრის ტესტებს ავსტრალიის ნაკრები 30 ოქტომბერს ჰონკონგში, ახალი ზელანდიის ეროვნულ გუნდთან მატჩით გახსნის.

ავსტრალიის ნაკრები: **ბენ ალექსანდერი, ადამ ეშლი-კუპერი, ბერიკ ბარნსი, ქართლი ბეილი, რიჩარდ ბრაუნი, ლუკ ბარჯესი, ქუადე კუპერი, ბენ დელეი, როდ დევისი, ჰაია ედმონდსი, როკი ელსომი, ანტონი ფაინგაა, საია ფაინგაა, ვილი გენია, მეთ გიტო, სკოტ ჰიგინბოთამი, მეთ ჰოჯსონი, პიტერ ნიესი, ვან ჰემფრიზი, ბრეკინ კარაურია-ჰენრი, სეკოპე კეპუ, რიჩარდ კინგი, სალესი მააფუ, პეტ მაკკაბე, ბენ მაკკალმენი, დრიუ მიტჩელი, სტივენ მური, დენ მამი, ჯეიმზ ოკონორი, პეტ ოკონორი, დევიდ პოკოქი, ბენ რობინსონი, ნათან შარფი, რობ საიმონსი, ჯეიმზ სლიპერი, მეთ ტოომუა.**

**ნოემბრის ტესტები**

30 ოქტომბერი: ავსტრალია-ახალი ზელანდია

6 ნოემბერი: უელსი-ავსტრალია

9 ნოემბერი: ლესტერ ტაიგერზი - ავსტრალია

13 ნოემბერი: ინგლისი-ავსტრალია

16 ნოემბერი: მანსტერი-ავსტრალია

20 ნოემბერი: იტალია-ავსტრალია

27 ნოემბერი: საფრანგეთი-ავსტრალია

მკითხველის თხოვნით

LAWS OF THE GAME RUGBY UNION 2010

# რაგბის წესები



გვიანი თავდასხმა

## უწესობა შეჩერებულ თამაშში

მოთამაშე უწესოდ არ უნდა მოიქცეს მაშინაც, როცა თამაში შეჩერებულია. მან გზა არ უნდა შეუკრას მეტოქეს და არც შეაფერხოს.

**სასჯელი:** საჯარიმო დარტყმა. საჯარიმო ინიშნება იქ, საიდანაც თამაში უნდა განახლდეს.

თუ ეს ადგილი აუტის ხაზზე ან მისგან 15 მეტრის ფარგლებშია, დარტყმა 15 მეტრის ხაზზე, ამ ადგილის გასწვრივ ინიშნება.

თუ თამაში ხუთმეტრა შერკინებიდან უნდა განახლდეს, დარტყმა აუტის ხაზიდან მინიმუმ 15 მეტრზე ინიშნება.

თუ საჯარიმოს დარტყმის დანიშვნის შემდეგ, მაგრამ მის შესრულებამდე, დამრღვევი გუნდი უწესოდ მოიქცა, მსაჯი დამნაშავეს გააფრთხილებს ან გააძევებს და საჯარიმოს ათი მეტრით წინ წასწევს. ამით ერთბაშად გასწორდება პირველი დარღვევა და უწესობა.

თუ საჯარიმოს დარტყმის დანიშვნის შემდეგ, მაგრამ მის შესრულებამდე, უწესოდ მართალი გუნდის მოთამაშე მოიქცა, მსაჯი მას გააფრთხილებს ან მოედნიდან გააძევებს, დანიშნულ დარტყმას კი გააუქმებს და სანაცვლოდ მეტოქეს იქვე უბოძებს საჯარიმოს.

თუ დარღვევა სათამაშო არის გარეთ ჩაიდინეს, საჯარიმო უნდა დაინიშნოს 15-მეტრა ხაზზე, დარღვევის ადგილის გასწვრივ.

## გვიან თავდასხმა

**დამრტყმელზე გვიან თავდასხმა.** მოთამაშე განგებ არ უნდა დაესხას და არც გზა შეუკრას მეტოქეს, ვინც ესესაა ბურთს ფეხი დაარტყა.

**სასჯელი:** საჯარიმო დარტყმა

მართალ გუნდს ამ დარტყმის ადგილად შეუძლია აირჩიოს თავად დარღვევის ან ბურთის მიწაზე დაცემის ადგილი.

**დარღვევის ადგილი:** თუ დარღვევა დამრტყმელის ლელოში მოხდა, საჯარიმო ინიშნება კარის ხაზიდან ხუთ მეტრზე, საკუთრივ დარღვევის ადგილის პირდაპირ.

თუ დარღვევა მოედნის გარეთ მოხდა, საჯარიმო ინიშნება 15 -მეტრა ხაზზე, საკუთრივ დარღვევის ადგილის პირდაპირ.

თუ დარღვევა ლელოს კიდეზე მოხდა, საჯარიმო ინიშნება კარის ხაზიდან ხუთ და აუტიდან 15 მეტრზე.

**ბურთის მიწაზე დაცემის ადგილი:** თუ ბურთი აუტში დაეცა, საჯარიმო ინიშნება 15-მეტრა ხაზზე, ბურთის აუტში გადასვლის ადგილის გასწვრივ.

თუ ბურთი ლელოში, ლელოს კიდეზე ან ლელოს უკანა ხაზზე ან მის გადაღმა დაეცა, საჯარიმო ინიშნება კარის ხაზიდან ხუთ მეტრზე, იმ ადგილის პირდაპირ, სადაც ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა.

თუ ბურთი კარის ძელს ან ხარიხას მოხვდა, საჯარიმო ინიშნება იქ, სადაც ბურთი მიწას დაეცა.

## სოლური და მხედრული

გუნდმა არ უნდა გააკეთოს არც სოლური და არც მხედრული

**სასჯელი:** საჯარიმო დარტყმა პირვანდელი დარღვევის ადგილზე.

**სოლური:** ასეთი იერიში იგეგმება მაშინ, როცა შემტევს მეტოქის ლელოსთან საჯარიმო ან თავისუფალი უბოძეს.

დამრტყმელი ბურთს ფეხს მიჰკრავს და წინ თავად წავა ან ბურთს თავისიანს გადაუგდებს და ლელოსკენ ეს დაიძვრება.

გუნდელები ბურთიანს უმალ ორივე მხრიდან მოხვევენ ხელს და სოლად ისე დაეწყობიან, რომ ზოგი მათგანი ბურთიანის წინ იქნება.

სოლი სახიფათოა იმათთვის, ვინ მას უნდა დაუხვდეს და ამდენად, მისი გამოყენება იკრძალება.

**მხედრული:** ასეთი შეტევაც მაშინ იგეგმება, როცა შემტევს მეტოქის ლელოსთან საჯარიმო ან თავისუფალი უბოძეს.

შემტევი მოთამაშეები დამრტყმელის უკან, ერთიმეორისგან ორიოდე მეტრის შუალედით, მოედნის სიგანეზე გამწკრივდებიან. დამრტყმელის ნიშანზე ისინი წინ დაიძვრებიან და მხოლოდ მაშინ, როცა მას მიუახლოვდებიან, დამრტყმელი ბურთს ფეხს მიჰკრავს და ერთ-ერთს მიაწოდებს. ბურთის დარტყმამდე დამცველი გუნდი საჯარიმოს ადგილიდან 10 მეტრის მოშორებით ან საკუთარი კარის ხაზის უკან უნდა იდგეს (თუკი ლელომდე 10 მეტრზე ნაკლებია).

მხედრული ხიფათის მომასწავებელი ფანდია და ამდენად, მისი გამოყენებაც იკრძალება.

## ყვითელი და წითელი ბარათები

თუ მსაჯი ნაკრებთა მატჩში მოთამაშეს აფრთხილებს და მოედნიდან დროებით, სათამაშო დროის 10 წუთით აძევებს (სინბინი), მას ყვითელი ბარათი უნდა უჩვენოს.

შვიდკაცა რაგბიში დროებითი გაძევება ორწუთიანია.

თუ მსაჯი ნაკრებთა მატჩში მოთამაშეს მოედნიდან სულ (თამაშის ბოლომდე) აძევებს, მას წითელი ბარათი უნდა უჩვენოს.

სხვა მატჩებში ბარათების გამოყენების მიზანშეწონილობას მატჩის ორგანიზატორი ადგენს.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

**ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი**

# გორდი ჰოუს ჰეთ-თრიკი

"ბოსტონმა" ზედიზედ მეოთხე გასვლითი მატჩი ჩაატარა სეზონში. **კლოდ ჟულიენის** გუნდს ორმა შეხვედრამ ევროპაში მოუწია, ორიც ჩრდილოეთ ამერიკაში დაბრუნების შემდეგ გაიმართა. ამჯერად "დათვები" ამერიკის დედაქალაქს ესტუმრნენ და 3:1 გაიმარჯვეს.

"ბრუინზის" რიგებში ალსანიშნავია მეკარე **ტიმ ტომასი**, რომელიც ჯერჯერობით კონკურენტ **ტუუკა რასკიზე** უკეთ გამოიყურება. ასევე კარგად მოქმედებს ახალბედა **ნათან ჰორტონი**. მან სეზონი გოლებით დაიწყო, ამჯერად კი ულამაზესი პასით გაატანინა **კრეისის**. გარდა ამისა, პირველ პერიოდში **ლუჩიჩმაც** გამოიჩინა თავი, როცა მეკარის საჯარიმოში დაასწრო ყველას. ალსანიშნავია, რომ ამ ჰოკეისტმა ე. წ. "გორდი ჰოუს ჰეთ-თრიკი" შეასრულა - გოლი, პასი და ჩხუბი ერთ მატჩში. მეორე პერიოდში ლუჩიჩმა **ჯონ ერსკინთან** გამართა ხელჩართული ბრძოლა.



ლუჩიჩს ერსკინი შემოელახა

ვაშინგტონელებისთვის სასიხარულო ის იყო, რომ პირველი შაიბა გაიტანა დებიუტანტმა **მარკუს იოჰანსონმა** - შვედმა **ჩიმერას** კარის უკნიდან გადაცემა გამოიყენა. თუმცა მესამე პერიოდის დასაწყისში **მეტ ჰენვიკმა** საბოლოოდ გადაუწურა "კეპიტალზს" თამაშის გადარჩენის იმედი. ერთი დღის შემდეგ "დათვები" ისევ "ვაშინგტონს" შეხვდებიან, ოლონდ საკუთარ მოედანზე.

სეზონი ახალი დაწყებულია, მაგრამ უკვე მეორე მატჩის ძირითადი დრო დასრულდა უგოლოდ. "კალგარის" მეკარემ **მიკა კიპრუსოფმა** "ნეშვილის" 34 დარტყმა მოიგერია და თავის ანგარიშზე კარიერაში 35-ე შათაუტი ჩაიწერა. ცუდად არც "ნეშვილის" მეკარე **პეკა რინე** გამოიყურებოდა - ძირითად დროში მანაც 34 დარტყმა მოიგერია, მაგრამ ოცდამეთხუთმეტეს ვერ გაუმკლავდა - ოვერტაიმში "კალგარიმ" სწრაფი კონტრშეტევა განახორციელა და **რენე ბურკმა** მეორე ცდიდან შეაგდო შაიბა "პრედატორზის" კარში.

უცნაური ანგარიში დაფიქსირდა "მინესოტასა" და "ვანკუვერის" მატჩში. რა თქმა უნდა, "უაილდს" ჰქონდა ამ შეხვედრის მოგების შანსი, მაგრამ ექვს შაიბას **ლუონგოს** კარში არავინ ელოდა - 6:2. საინტერესოა, რომ "ვანკუვერის" მთავარ მწვრთნელ **ალან ვინიოსთვის** ეს საიუბილეო - მე-600 მატჩი იყო NHL-ში.

40 წუთის შემდეგ ანგარიში 6:1 გახლდათ და მატჩის მსვლელობამ ისე გამოიყვანა მწყობრიდან "კენაქსის" მოთამაშე **რიკ რიპიენი**, რომ გასახდელში მიმავალი "მინესოტას" გულშემატკივარს დაესხა თავს. კიდევ კარგი, საქმეში **მეხი მალორტა** ჩაერია და თანაგუნდელი დააშოშმინა. რიპიენი ბოლო პერიოდში ყინულზე აღარ გამოჩენილა. გარდა ამისა, ამ ჰოკეისტმა მატჩის მსვლელობისას დამხმარე მსაჯს ჰკრა ხელი და საჯარიმო წუთები მიიღო.

ევროპიდან დაბრუნების შემდეგ ჯერჯერობით გონს ვერ მოვიდა "სან ხოსე". "ბოსტონისგან" განსხვავებით, "ზვიგენებმა" ჩრდილოეთ ამერიკაში ორი მატჩი შინ გამართეს და ორივე წააგეს: ჯერ "ატლანტასთან" 2:4, თუმცა იგებდნენ შეხვედრას - 2:0, ამჯერად კი "კაროლინასთან" 2:5 განადგურდნენ. "სან ხოსე" "ფინიქსთან" ერთად კონფერენციის ბოლო ადგილს იყოფს.

**ვაშინგტონი-ბოსტონი 1:3**

0:2, 1:0, 0:1

**გოლები:** 0:1 კრეისი-1 (ჰორტონი-3, ლუჩიჩი-2), 0:2 ლუჩიჩი-3 (ბოიჩუკი-2, კრეისი-5), 1:2 მ. იოჰანსონი-1 (ჩიმერა-1, ჰენდრიკსი-2), 1:3 ჰანვიკი-1 (საიდენბერგი-1, ველერი-1).

**ნეშვილი-კალგარი 0:1 (ო)**

0:0, 0:0, 0:0, 0:1

გოლი: 0:1 რენე ბურკი-1 (ბ. მორისონი-4, უაიტი-1).

**მინესოტა-ვანკუვერი 6:2**

3:1, 3:0, 0:1

**გოლები:** 0:1 დ. სედინი-5 (ჰ. სედინი-8, ედლერი-4), 1:1 ჟიდლიცკი-1 (კულენი-5, მიეტინენი-3), 2:1 ლატენდრესი-2 (ფალკი-1, ჰავლატი-4), 3:1 კლატერბეკი-2 (ლატენდრესი-1, ჰავლატი-5), 4:1 მადენი-1 (ბერნსი-1, შულტცი-1), 5:1 ბრუნეტი-2 (ჟიდლიცკი-2, მიეტინენი-4), 6:1 კულენი-3 (მ. კოივუ-4, ჟიდლიცკი-3), 6:2 დ. სედინი-6 (ჰ. სედინი-9, სამუელსონი-5).

**სან ხოსე-კაროლინა 2:5**

0:2, 2:1, 0:2

**გოლები:** 0:1 ე. სტაალი-2 (ლაროუზი-1, ბაბჩუკი-1), 0:2 კოული-1 (გლისონი-2, სკინერი-3), 0:3 დუაიერი-1 (ი. იოკინენი-3, ლაროუზი-2), 1:3 მარლო-1 (ბოილი-3, ჯ. ტორნტონი-2), 2:3 მარლო-2 (სეტოგუჩი-1, მიურეი-1), 2:4 ლაროუზი-1 (ე. სტაალი-2), 2:5 პიტკანენი-1 (კოსტოპულოსი-1, მაკბეინი-2).

**ცურვა**

# ბუსკეც დოპინგზე დაიჭირეს



50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენი, ფრანგი **ფრედერიკ ბუსკე** ორი თვით არის დისკვალიფიცირებული აკრძალული პრეპარატის - ჰეპტამინოლის გამოყენებისთვის, რომელსაც გულის სტიმულატორად იყენებენ.

დოპინგ-სინჯი, რომელმაც დადებითი შედეგი აჩვენა, 2010 წლის ივნისშია აღებული. ბუსკემ განაცხადა, რომ აკრძალული პრეპარატი მის ორგანიზმში შემთხვევით მოხვდა - როცა ვარჯიშის წინ მალამოს იყენებდა. ცნობილი არ არის, მიიჩნიეს თუ არა სპორტსმენის ორგანიზმში დოპინგის მოხვედრა შემთხვევითობად, მაგრამ, როგორც წესი, აკრძალული პრეპარატის გამოყენებისთვის უფრო ხანგრძლივ სასჯელს აწესებენ.

ევროპის ორგზის ჩემპიონის დისკვალიფიკაციის ათვლა 20 სექტემბრიდან დაიწყება. სავარაუდოდ, მოცურავე კარიერას დეკემბრის დასაწყისში განაახლებს, როცა საფრანგეთის პირველობა გაიმართება.

2009 წლის აპრილში ბუსკემ მსოფლიოს რეკორდი დაამყარა - თავისუფალი სტილით 50 მეტრი 20,94 წამში გაცურა. იმავე წლის დეკემბერში ფრანგის შედეგი ბრაზილიელმა **სეზარ სიელომ** გააუმჯობესა - მისი დრო იყო 20.91 წამი.

**ამბები**

**კალათბურთი**

## რეალმა პრიჯიონის შემცვლელზე იზრუნა

მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობამ დაცვითი ხაზის გაძლიერებაზე იზრუნა და ამ მიზნით მოკლევადიანი კონტრაქტი გააფორმა ამერიკელ მცველ **ჯოშ ფიშერთან** (29 წლის, 189 სმ), რომელსაც ესპანური პასპორტი აქვს.

ფიშერმა "რეალის" ძირითადი გამთამაშებელი, არგენტინელი **პაბლო პრიჯიონი** უნდა შეცვალოს, რომელიც ამჟამად ტრავმირებულია.

ჯოშ ფიშერმა გასული სეზონი "გრან კანარის" რიგებში გაატარა და ევროთასის მატჩებში საშუალოდ 4.0 ქულას, 1.3 მოხსნასა და 1.6 გადაცემას აგროვებდა. ესპანეთის ჩემპიონატში მისი სტატისტიკა 4.4 ქულასა და 1.6 შედეგიან პასს უდრიდა.

**მძლეოსნობა**

## IAAF-მა ნომინანტები დაასახელა

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ წლის საუკეთესო მძლეოსნის პრიზის ნომინანტები დაასახელა. სიაში 10 ქალი და 10 მამაკაცი ათლეტი შედის. ბოლო წლების განმავლობაში პირველად მათ რიცხვში ვერ მოხვდა იამაიკელი სპრინტერი **უსაინ ბოლტი**. ნომინირებულთა სიაში ვერ ვხედავთ რუს მძლეოსნებს, რაც ასევე იშვიათი შემთხვევაა.

ნომინანტების სრული სია ასე გამოიყურება:

კაცები - **ტაისონ გაი, კრისტიან კენტველი, დავიდ რუდიშა, სტივ ჰუკერი, კრისტოფ ლემეტრი, დავიდ ოლივერი, ებრნარდ ლაგატი, ზერსენაი ტადესე, ტედი ტამგო, ანდრეას ტორკილდსენი.**

ქალები - **ვერონიკა კემპბელ-ბრაუნი, მილკა ჩემოს ჩეივა, მეზერეტ დეფარი, ჯესიკა ენისი, ბლანკა ვლასიჩი, ელისონ ფელიქსი, ფაბიანა მურერი, ნადეჟდა ოსტაპჩუკი, ოლგა რიპაკოვა, ანიტა ვლოდარჩიკი.**

**ველოსპორტი**

## ბენატი შლეკებთან წავიდა

ცნობილი იტალიელი სპრინტერი **დანიელე ბენატი** მომავალი სეზონიდან ახალი ველოსაჯინიბოს - Luxembourg Pro Cycling Team-ის ღირსებას დაიცავს. ეს გუნდი ძმების - **ანდი** და **ფრანკ შლეკის** შექმნილია, რომლებმაც წლევანდელი სეზონის შემდეგ დატოვეს დანიური Saxo Bank. შეგახსენებთ, რომ ბენატი ადრე "ლიკვიგასის" რიგებში გამოდიოდა.

*"ბენატი ძალიან ძლიერი მრბოლელია და მოხარული ვართ მისი გადაბირებით. იტალიელი რეალურად გააძლიერებს ჩვენს გუნდს. დანიელეს ბევრი დიდი გამარჯვება აქვს მოპოვებული, მაგრამ ვფიქრობ, კარიერაში საუკეთესო შედეგებს სწორედ ჩვენთან მიაღწევს"*, - ამბობს ლუქსემბურგული გუნდის მენეჯერი **ბრაიან ნიგაარდი**.

**ავტოსპორტი**

## ვილნევი ავსტრალიაში მიდის

ფორმულა 1-ის 1997 წლის ჩემპიონმა **ჟაკ ვილნევმა**, შესაძლოა, ავსტრალიურ სერია V8 Supercar-ში გააგრძელოს კარიერა. მომავალ უქმეებზე კანადელი მიწვეული ვარსკვლავის რანგში გამართავს ერთ ეტაპს.

*"შესანიშნავი ადგილია. სიამოვნებით გავატარებ აქ ერთ რბოლას, შესაძლოა, სრულ სეზონსაც კი. ცალკეულ რბოლებში მონაწილეობა ხანგრძლივი გადაფრენების გამო საკმაოდ დამღლელია. ორი პატარა შვილი მყავს და მათი ერთი ან ორი თვით მიტოვება არ შემიძლია - უმჯობესია ავსტრალიაში გადმოვსახლდეთ და აქ მთელი სეზონი გავატაროთ"*, - განაცხადა ვილნევმა.

V8 Supercar-ის სხვა სტუმრებს შორის არიან: **დარიო ფრანკიტი, ჰელიო კასტრონევეში, სკოტ დიქსონი, სკოტ დიქსონი, სებასტიან ბურდე, ენდი პრიოლი, ტიაგო მონტერიო, მიკა სალო** და **ჯანი მორბიდელი**...

**კრივი**

## ჩემპიონმა იარაღი ამოიღო

პოლიციამ პანამელი მოკრივე **ლუის კონსეპსიონი** იარაღის გამოყენების მცდელობისთვის დააპატიმრა. მოკრივემ დიდი სიჩქარით გზა მოუჭრა მანქანას, რომლის მძღოლმაც კინაღამ მართვა დაკარგა. ინციდენტის მონაწილეებს შორის ჩხუბი ატყდა და კონსეპსიონი მძღოლს იარაღით დაემუქრა.

მძღოლებმა პანამის ქალაქ ფერტიკაში იჩხუბეს, საღამოს კი მოკრივე პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს. მას წინააღმდეგობა არ გაუწევია. ცხრა მილიმეტრი კალიბრის პისტოლეტი მანქანაში იპოვეს, ამასთან, კონსეპსიონს მისი ტარების უფლება ალმოაჩნდა. არაფერს იტყობინებიან მოკრივის სავარაუდო სასჯელის შესახებ.

25 წლის პანამელი 50 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ერთ-ერთ უძლიერეს მოკრივედ მიიჩნევა. მან 23 ბრძოლა გამართა, 22-ჯერ გაიმარჯვა (17-ჯერ - ნოკაუტით) და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა. თანაც ეს წაგება კარიერის დასაწყისზე მოდის. დღეისთვის პანამელი WBA-ის ვერსიით მსოფლიოს "დროებითი" ჩემპიონის ტიტულს ფლობს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

**კალათბურთი**

# კარმელოს ტრეიდი ახლოვდება?



კარმელო ენტონი

"ნიუ იორკ ნიქსმა" გარკვეულ პროგრესს მიაღწია **კარმელო ენტონის** ტრეიდთან დაკავშირებით. ადრე ვიუწყებოდით, რომ "ნიქსსა" და "დენვერს" შორის ბოლო მოლაპარაკებების დროს, "ნიუ იორკმა" "ნაგეტს" კარმელოს სანაცვლოდ **ენტონი რენდოლფი, ედი კარი** და დრაფტის პირველ რაუნდში სასურველი მოთამაშის არჩევის უფლება შესთავაზა, მაგრამ ამ წინადადებამ "დენვერის" ხელმძღვანელობა არ დააკმაყოფილა. ახლა "ნიქსის" ბოსები მზად არიან, ტრეიდში ჩართონ იტალიელი ფორვარდი **დანილო გალინარი**.

თუმცა ამ გაცვლის მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორი შეიძლება გახდეს მესამე გუნდის მოძებნა, რომელიც დათანხმდება გალინარის ან რენდოლფის აყვანას, თავად კი "ნაგეტს" მისცემს ისეთ მოთამაშეს, რომელიც ამ გუნდისთვის უფრო საინტერესო იქნება, ვიდრე "ნიქსის" ორი ფორვარდი.

ამავდროულად, კარმელო ენტონის ტრეიდზე "ჩიკაგო" და "ნიუ ჯერსიც" მუშაობენ.

■ ■ ■

მოახლოებული სეზონის წინ "დალას მავერიქსმა" NBA-ში დაბრუნების შანსი მისცა "მინესოტას" ყოფილ მცველ **რაშად მაკენტსს**. ამ კალათბურთელმა "კოვბოებთან" 10-დღიანი არაგარანტირებული კონტრაქტი გააფორმა.

მაკენტსს 2008-09 წლების სეზონიდან მოყოლებული NBA-ში არც ერთი ოფიციალური მატჩი არ ჩაუტარებია. თუ "დალასმა" მცველის აყვანა არ მოისურვა, რაშადი კარიერაში D-ლიგის კლუბ "ტექსას ლეგენდსში" გააგრძელებს.

**NBA წინასასეზონო მატჩები**

**დეტროიტი-ვაშინგტონი 98:92**

26:27, 29:25, 19:17, 24:23

**დ:** სტაკი (34+7 პასი), ვილანუევა (19+6 მოხსნა), დეი (10), უოლასი (4+11 მოხსნა).

**ვ:** ბლეტჩი (17+7 მოხსნა), ჰაინრიხი (17), უოლი (13+7 პასი), იანგი (13), მაკგი (10+6 მოხსნა), ბუკერი (7+12 მოხსნა).

**დენვერი-ოკლაჰომა 130:115**

35:35, 33:30, 28:17, 34:33

**დ:** აფლალო (22), ენტონი (21+9 მოხსნა), სმიტი (21+7 მოხსნა+5 პასი), ლოუსონი (18), ბილაპსი (15+8 პასი+5 მოხსნა), უილიამსი (11+8 მოხსნა), ბელკმენი (11).

**ო:** გრინი (29), მალენსი (14+8 მოხსნა), ჰარდენი (14), უაიტი (12+13 მოხსნა), პიტერსონი (11), მილსეპი (11).

**ლეიკერსი-იუტა 74:82**

14:24, 18:14, 18:23, 24:21

**ლ:** ბარნსი (13), ბრაუნი (13), გასოლი (11+8 მოხსნა), ბლეიკი (10).

**ი:** მაილზი (14+6 მოხსნა), ჯეფერსონი (13+8 მოხსნა), კირილენკო (11+6 მოხსნა), უილიამსი (10+5 პასი).

**კლივლენდი-ფილადელფ 111:95**

28:29, 38:23, 25:25, 20:18

**კ:** ჰიქსონი (22+11 მოხსნა), გიბსონი (15+9 პასი+5 მოხსნა), ჯ. უილიამსი (12), სეშენსი (12), ვარეჟაო (11+11 მოხსნა), მ. უილიამსი (11+7 პასი), პარკერი (10+5 პასი), ჰოლინზი (10).

**ფ:** იგუოდალა (19+10 მოხსნა+6 პასი), ნოჩიონი (17), ჰოლიდეი (16+5 მოხსნა), უილიამსი (15).

**ფინიქსი-გ. სტეიტი 92:87**

21:19, 25:19, 16:20, 30:29

**ფ:** ნეში (18+5 მოხსნა), ლოპესი (14+10 მოხსნა), ფრაი (14+7 მოხსნა), რიჩარდსონი (11+5 მოხსნა), დრაგიჩი (10).

**გ-ს:** ელისი (29+5 პასი), ბ. რაიტი (14+6 მოხსნა), კარი (12), დ. რაიტი (10).

**ნიუ იორკი-ნიუ ჯერსი 117:111**

24:26, 41:23, 15:32, 37:30

**ნ-ი:** სტაუდმაიერი (39+11 მოხსნა), დუგლასი (24+6 ჩაჭრა), ფელტონი (13+11 პასი), რენდოლფი (13), უოლკერი (10).

**ნ-ჯ:** ფარმარი (21+7 მოხსნა+5 პასი), ლოპესი (19+8 მოხსნა), უილიამსი (15), ფეივორსი (12+7 მოხსნა).

**მინესოტა-ინდიანა 124:128 (ო)**

35:26, 21:30, 33:34, 26:25, 9:13

**მ:** ლავი (28+11 მოხსნა), ტელფეირი (19+6 პასი), ბიზლი (14+6 მოხსნა), ტოლივერი (12+10 მოხსნა), კუფოსი (10+6 მოხსნა), ელინგტონი (10).

**ი:** ჰიბერტი (27+16 მოხსნა+6 პასი), ჯორჯი (17+5 მოხსნა), დანლივი (16+9 მოხსნა), პოუსი (16), რაში (13+6 მოხსნა), პრაისი (11).

**კლიპერსი-საკრამენტო 94:96**

34:22, 19:25, 26:28, 15:21

**კ:** კამანი (21+10 მოხსნა), ამინუ (15+9 მოხსნა), დევისი (15+8 პასი+5 მოხსნა), ფოიე (13), სმიტი (10+6 მოხსნა).

**ს:** კასპი (17+8 მოხსნა), ევანსი (17+7 პასი), კაზინსი (14), უდრიხი (13+5 პასი), ჯექსონი (11+5 მოხსნა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი



სერენა უილიამსი

# სერენამ სეზონი ოფიციალურად დაასრულა

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, ამერიკელმა **სერენა უილიამსმა** ოფიციალურად გამოაცხადა წლევანდელი სეზონის დასრულების შესახებ. ასე რომ, უმცროსი გამოტოვებს WTA-ის წლის შემაჯამებელ ტურნირს დოჰაში, რომელიც მომავალ კვირას იწყება. აგრეთვე ვერ ვიხილავთ მას ნოემბრის დასაწყისში ფედერაციის თასის ფინალში, რომელშიც ამერიკა იტალიას შეხვდება.

ჩოგბურთელის აგენტის განცხადებით, სერენას ამ გადაწყვეტილების მიზეზი გახდა მარჯვენა ფეხზე მყესის ხელმეორე გაწყვეტა. ეს ტრავმა ამერიკელმა წინა ორშაბათს მიიღო. შეგახსენებთ, რომ ორი კვირის წინ სეზონის დასრულების შესახებ გამოაცხადა სერენას უფროსმა დამ - **ვენუსმა**.

*"იმედგაცრუებული ვარ იმის გამო, რომ წლის შემაჯამებელ ტურნირსა და ფედერაციის თასის ფინალზე უარის თქმა მიწევს. ვცდილობდი, რაც შეიძლება მალე დავბრუნებულიყავი კორტზე და სწორედ ამან გამოიწვია ფეხზე მყესის გაწყვეტა. შესაბამისად, თავიდან დავიწყე მკურნალობის კურსი. მადლობას ვუხდი გულშემატკივრებს ამ რთულ პერიოდში მხარდაჭერისთვის. მოუთმენლად ველი კორტზე დაბრუნებას"*, - წერია სერენა უილიამსის ოფიციალურ განცხადებაში.

# ავსტრალია რაფტერს ჩააბარეს

ამერიკის ღია პირველობის ორგზის ჩემპიონი (1997, 1998), მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **პატრიკ რაფტერი** დევისის თასზე ავსტრალიის ნაკრების კაპიტანი გახდა. ამის შესახებ გუშინ დევისის თასის ოფიციალურმა ვებგვერდმა დაწერა. 37 წლის რაფტერმა კაპიტნის პოსტზე **ჯონ ფიტცჯერალდი** შეცვალა.

ავსტრალიის ნაკრების 60-წლიან ისტორიაში რაფტერი მხოლოდ მეხუთე კაპიტანია. მანამდე ეროვნულ გუნდს ხელმძღვანელობდნენ **ჰარი ჰოფმანი, ნილ ფრეზერი, ჯონ ნიუკომბი** და ფიტცჯერალდი. ახალი კაპიტნის წინაშე რთული ამოცანა დგას - მან დევისის თასის 28-გზის მფლობელი (მეორე შედეგი ამერიკის ნაკრების შემდეგ - 32 ტიტული) მსოფლიოს ლიგაში უნდა დააბრუნოს, სადაც "მწვანე კონტინენტის" წარმომადგენლებს 2007 წლის შემდეგ არ უთამაშიათ.

რაფტერის ხელმძღვანელობით ავსტრალია პირველ მატჩს აზია/ოკეანეთის ზონაში ტაივანის ნაკრების წინააღმდეგ ჩაატარებს. ეს შეხვედრა მომავალი წლის მარტში ჩატარდება.

მოთამაშის რანგში რაფტერმა თავისი გუნდი 1999 წლის გათამაშების ფინალში გაიყვანა - ნიცაში გამართულ ნახევარფინალში ავსტრალიამ 3:2 დაამარცხა საფრანგეთი. მაგრამ გადამწყვეტ მატჩში პატრიკმა მხარის ტრავმის გამო ვერ შეძლო თამაში. ერთი წლის შემდეგ ავსტრალიელები კიდევ ერთხელ გავიდნენ ფინალში, მაგრამ ესპანელებთან წააგეს - 1:3. 2003 წელს ესპანეთს ფინალში რევანში აუღეს - 3:1 და ეს დევისის თასზე ავსტრალიის ბოლო ტრიუმფად რჩება.

სულ პროფესიულ კარიერაში რაფტერს 11 ტიტული აქვს მოგებული. 2000 და 2001 წლებში მან უიმბლდონის ფინალში ორჯერ ითამაშა და ორივეჯერ დამარცხდა. 2001 წელს კარიერა დაასრულა. ჰონორარის სახით პატრიკმა კორტზე 11 127 058 დოლარი გამოიმუშავა.

*"იმედი მაქვს, ნაკრებთან ნაყოფიერად ვიმუშავებ და ავსტრალიურ ჩოგბურთს ძველ დონეზე დავაბრუნებ*, - აღნიშნა რაფტერმა. - *ჩვენთან ბევრი ახალგაზრდა და ნიჭიერი ჩოგბურთელია, რომლებსაც შეუძლიათ ღირსეულად წარმოაჩინონ ავსტრალია საერთაშორისო არენაზე. ახალ სამუშაოს დიდი იმედებით ვხვდები"*.



პატრიკ რაფტერი

ნაკრებში მწვრთნელის რანგში იმუშავებს ლეგენდარული სპეციალისტი **ტონი როჩი**, რომელიც თავის დროზე რაფტერს ავარჯიშებდა.

წარსულში კიდევ ერთმა ცნობილმა ავსტრალიელმა ჩოგბურთელმა **ტოდ ვუდბრიჯმა** რაფტერისა და როჩის ტანდემს "ოცნების გუნდი" უწოდა.

# მხოლოდ პირველობა

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **როჯერ ფედერერმა** განაცხადა - როცა ლაპარაკია ATP-ის რეიტინგზე, მისთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ პირველი ადგილი და სხვა არაფერი. კლასიფიკაციაში სხვა პოზიცია შვეიცარიელს არ აინტერესებს. ამის შესახებ როჯერმა სტოკჰოლმში განაცხადა, სადაც დღეს ATP-ის მორიგ ტურნირში მეორე წრის მატჩს გამართავს მსოფლიოს 101-ე ჩოგანთან **ტეილორ დენტთან**.

ფედერერის თქმით, ორშაბათს გამოქვეყნებულ რეიტინგში მეორე პოზიციაზე დაბრუნება საერთოდ არ გახარებია. "დიდი სლემის" ტურნირების 16-გზის ჩემპიონი ამბობს, რომ ეს მისთვის უმნიშვნელო მიღწევაა.

*"მნიშვნელობა არ აქვს - მეორე ნომერი ვიქნები, მესამე თუ მეოთხე. ჩემთვის მხოლოდ რეიტინგის ლიდერობაა მთავარი. დიდი ხანი ვიყავი მსოფლიოს პირველი ჩოგანი და ეს განსაკუთრებული გრძნობაა. ამიტომაც გასაგებია ჩემი სურვილი - სწრაფად დავიბრუნო დაკარგული პოზიციები"*, - აღნიშნა პრესკონფერენციაზე როჯერმა.

შეგახსენებთ, რომ როლან გაროსსა და უიმბლდონზე შედარებით სუსტი გამოსვლა ფედერერს არა მარტო პირველი, არამედ მეორე პოზიციის დაკარგვად დაუჯდა. ასე დაბლა როჯერი 2003 წლის ნოემბრის შემდეგ არ დაშვებულა!

რეიტინგში მრავალწლიანი ლიდერობის გამო, ბევრმა ეჭვქვეშ დააყენა შვეიცარიელის მოტივაცია, რომელიც კლასიფიკაციის მწვერვალიდან ესპანელი **რაფაელ ნადალის** ჩამოგდებას ითვალისწინებს. მაგრამ თავად როჯერი ამბობს, რომ საკმარისად მოტივირებულია და ისევ ფიქრობს დიდ გამარჯვებებზე.

*"ვვარჯიშობ, მატჩებში მონაწილეობას ვიღებ და სანამ ამას ვაკეთებ, ყოველთვის მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც მხარს დამიჭერენ, ავტოგრაფს ჩამომართმევენ... ეს ყველაფერი ძალიან მეხმარება, მოტივაციას მმატებს და უფრო ძლიერად თამაშს მაიძულებს"*, - აღნიშნა ფედერერმა.

რეიტინგის "დიდი ოთხეულის" წევრებიდან ფედერერს ორთან აქვს უარყოფითი ბალანსი - 7 მოგება და 14 წაგება ნადალის წინააღმდეგ და 5 მოგება და 8 წაგება **ენდი მიურეისთან** ურთიერთშეხვედრებში. მხოლოდ **ნოვაკ ჯოკოვიჩთან** აქვს შვეიცარიელს დადებითი ბალანსი - 11-6.

*"ხალხს ჯერ კიდევ ახსოვს, რომ თითქმის ყოველთვის ვუგებდი წამყვან ჩოგბურთელებს. ყველა მეტოქესთან დადებითი ბალანსი მქონდა*, - ამბობს ფედერერი. - *მახსოვს, გარკვეულ ეტაპზე ზედიზედ 24 მატჩი მოვიგე საუკეთესო ათეულის წევრების წინააღმდეგ. ასევე ზედიზედ 24-ჯერ ფინალებში ტოპ-ათეულის მოთამაშეები დავამარცხე. რა თქმა უნდა, ასეთ დონეზე თამაშის გაგრძელება არარეალურია და პრობლემა იმაშია, რომ ხალხი ძველ და ახალ ფედერერს ადარებს ერთმანეთს"*.

წლევანდელი ჩავარდნის მიუხედავად, თავად როჯერი კმაყოფილია ამ სეზონით, განსაკუთრებით მისი მეორე ნაწილით: *"მიმდინარე სეზონში რამდენიმე ისეთი მატჩი წავაგე, რომელშიც გამარჯვება უნდა მომეპოვებინა. გარკვეული დასკვნები უნდა გავაკეთო და ყველაფერი ვილონო იმისთვის, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდეს. სწორედ ამაზე ვიმუშავებ და იმედი მაქვს, ყველაფერს გამოვასწორებ"*.



როჯერ ფედერერი

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ევრო 2011** | |
| **UNDER 19** | |
| ისლანდია-ყაზახეთი | 4:0 |
| თურქეთი-უელსი | 3:3 |
| **ევრო 2011** | |
| **UNDER 17** | |
| პოლონეთი-შვედეთი | 0:0 |
| ესტონეთი-ბოსნია | 1:4 |
| გერმანია-ავსტრია | 2:1 |
| **იტალიის თასი** | |
| ჯენოა-გროსეტო | დ.დ. 2:1 |
| **პორტუგალია** | |
| **ლიგის თასი** | |
| ეშტორილი-რიუ ავე | 0:0 |
| ჟილ ვისენტე-ლეირია | 3:2 |
| **დანია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ორჰუსი-ფინი | 4:1 |
| **ნორვეგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| სიოგნდალი-ფრედრიკსტადი | 2:0 |
| ბრინი-ბოდო გლიმტი | 1:2 |
| **შვედეთი** | |
| გაის-ერებრო | 0:1 |
| **უელსი** | |
| ეირბასი-ნიუთაუნი | 1:1 |
| **სლოვენიის თასი** | |
| ინტერბლოკი-გორიცა | 4:2 |
| ტრიგლავი-კოპერი | 1:0 |
| დომჟალე-ოლიმპია | 0:2 |
| ნაფტა-მარიბორი | 1:1 |
| **აზერბაიჯანი** | |
| ყარაბახი-ბაქუ | 2:0 |
| **ეკვადორი** | |
| ელ ნასიონალი-მანტა | 4:0 |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **აზია** | |
| სეონგნამი-ალ შაბაბი | 1:0 |
| ალ ჰილალი-ზობ აჰანი | 0:1 |
| **ავსტრალია** | |
| ბრისბენი-სენტრალ კოუსტი | 2:0 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| ხიმკი-პროკომი | 82:76 |
| ოლიმპია-ეფესი | დ.დ. 95:90 |
| ფენერბაჰჩე-ლეტუვოს რიტასი | 86:69 |
| რომა-ბამბერგი | 83:65 |
| **ბელგია** | |
| მონსი-ანტვერპენი | 85:75 |
| **გერმანია** | |
| ბაიროიტი-არტლანდი | 66:92 |
| გოტინგენი-ჯაიანტსი | 80:61 |
| **რუსეთი** | |
| კრასნიე კრილია-ენისეი | 85:77 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ვიტიაზი-დინამო (მ) | 1:6 |
| ლოკომოტივი-ს. იულიაევი | 1:6 |
| სევერსტალი-დინამო (რ) | 4:2 |
| სკა-ცსკა | 2:3 |
| ტორპედო-ტრაქტორი | ო.ტ 1:2 |
| ატლანტი-მეტალურგი (მ) 2:2 პენ. | 0:1 |
| სპარტაკი-დინამო (მნ) | 1:5 |
| **სლოვაკეთი** | |
| ზვოლენი-სლოვაკეთი (U20) | 5:1 |
| **ბელარუსი** | |
| იუნოსტი-გომელი | 4:2 |
| მეტალურგსი-სოკოლი | 3:1 |
| მეტალურგი-ხიმვოლოკნო | 4:5 |
| შინიკი-შახტარი | 3:6 |
| ნემანი-ხიმიკი | 5:0 |
| ბრესტი-ვიტებსკი | 4:1 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მოსკოვი** | |
| სებალიოსი-ტიპსარევიჩი | 4:6, 6:4, 6:3 |
| შტეპანეკი-კუკუშკინი | 6:3, 6:2 |
| ბაღდატისი-სტარაჩე | 6:4, 6:3 |
| დავიდენკო-კუევასი | 6:7, 6:7 |
| **ATP. სტოკჰოლმი** | |
| კუბოტი-ბახინგერი | 4:6, 6:4, 3:6 |
| ვავრინკა-ჰაასე | 7:5, 6:7, 6:4 |
| კამკე-ჰაიეკი | 6:0, 6:2 |
| ბერდიხი-ნიემინენი | 1:6, 4:6 |
| ფ. მაიერი-რიდერსტედტი | 6:4, 6:4 |
| **WTA. ლუქსემბურგი** | |
| ბაშჩინსკი-სტრიუკოვა | 5:7, 1:6 |
| ჰერცოგი-ლისიაკი | 6:2, 6:1 |
| გორჯესი-სუარეს ნავარო | 6:2, 6:1 |
| გროტი-ბენეშოვა | 4:6, 5:7 |
| ვიკმაიერი-შნიდერი | 4:6, 4:6 |
| ივანოვიჩი-ლარსონი | 6:3, 6:0 |
| რეზაი-ფლიპკენსი | 0:6, 1:6 |
| **WTA. მოსკოვი** | |
| აბონდარენკო-მარტინეს სანჩესი | 4:6, 6:1, 1:6 |
| აზარენკა-პეტკოვიჩი | 6:4, 2:6, 6:1 |
| ციბულკოვა-პირონკოვა | 6:4, 6:1 |
| კლეიბანოვა-ერანი | 7:6, 6:4 |

## TV პროგრამა

**21 ოქტომბერი. ხუთშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:35** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. პანათინაიკოსი-რუბინი.
**08:30** ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**09:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ტვენტე-ვერდერი.
**10:55** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
**12:00** ახალი ამბები.
**12:20** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ბარსელონა-კოპენჰაგენი.
**14:10** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**14:15** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. შალკე-ჰაპოელი.
**16:05** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**16:10** ახალი ამბები.
**16:25** ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**16:55** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. პანათინაიკოსი-რუბინი.
**18:45** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**18:50** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
**20:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ზენიტი-ჰაიდუკი (LIVE).
**22:55** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. პალერმო-ცსკა (LIVE).
**01:30** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ატლეტიკო-რუსენბორგი.
**03:15** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. დორტმუნდი-პსჟ.

ფორმულა 1. სამხრეთ კორეის გრან-პრი

# სეულიდან 400 კილომეტრში



ახალ ტრასაზე ალონსომ ველოსიპედით გაისეირნა

ჟურნალისტებს კორეის გრან-პრის აკრედიტაციასთან ერთად ეტაპის შესახებ ტრადიციულ სტატისტიკურ მასალებსაც გადასცემენ. ამჯერად, ტრასის დებიუტის გამო, საქაღალდე საკმაოდ თხელი გამოვიდა - ავტოდრომის ხელმძღვანელობის მისასალმებელი ტექსტი, სეზონის გასული ეტაპების შედეგები და რამდენიმე სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც მეტად საინტერესოა...

ავტოდრომი სამხრეთ კორეის სამხრეთ-დასავლეთით, ჩოლა-ნამდოს პროვინციის დაბა იონამში, სეულიდან დაახლოებით 400 კილომეტრში მდებარეობს. კორეის ტრასა - მეხუთეა ფორმულა 1-ის კალენდარში, სადაც მოძრაობა საათის ისრის საწინააღმდეგოდ იქნება. ასე ხდება სტამბოლში, სინგაპურში, ინტერლაგუშსა და აბუ დაბიში.

ავტოდრომზე ორი ტრასაა - 3.71-კილომეტრიანი (10 მოსახვევი) და 5.615-კილომეტრიანი, რომელზეც მომავალი ეტაპი გაიმართება. მას 18 მოსახვევი აქვს, სიგანე 13-15 მეტრია.

ყველაზე ციცაბო აღმართია - 5.5%, ყველაზე ციცაბო დაღმართი - 3.1%. ტრასა ზღვის დონიდან შვიდ მეტრზე მდებარეობს. სავარაუდო საშუალო სიჩქარეა - 205 კმ/სთ, მაქსიმალური - 320 კმ/სთ. სტარტ-ფინიშისა და პიტ-ლეინის სწორი მონაკვეთი 616 მეტრს უდრის. ყველაზე გრძელი სწორი მონაკვეთი 1160 მეტრი სიგრძისაა.

ტრიბუნების საერთო ტევადობაა - 120 ათასი მაყურებელი, მათ შორის მთავარ ტრიბუნაზე 16 ათასი ადამიანი ეტევა. ავტოდრომზე მანქანებისთვის განკუთვნილი 34 ინდივიდუალური ბოქსია, ასევე შესაძლებელია ტერიტორიაზე 14 მოტორჰოუმის დაბინავება. რბოლის კონტროლის თანამედროვე ცენტრი უახლესი ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი - ტრასაზე დამონტაჟებულია დისტანციური მართვის 48 კამერა. სამედიცინო ცენტრი ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის სტანდარტებს შეესაბამება. 48 მონიტორით აღჭურვილი პრესცენტრი 400 ჟურნალისტს მიიღებს. ფოტოგრაფებისთვის გამოყოფილია 100 ადგილი. შესაძლებელია 10 ათასი მანქანის პარკირება.

# მასა ალონსოსთვის იბრძოლებს



მასას რთული სეზონი ჰქონდა

კორეის გრან-პრის წინ "ფერარის" პრესსამსახურმა **ფელიპე მასას** კომენტარი გამოაქვეყნა. ბრაზილიელი ცადსახად აცხადებს, რომ კორეაში შეეცდება მაქსიმალური დახმარება გაუწიოს იტალიურ საჯინიბოსა და თანაგუნდელ **ფერნანდო ალონსოს**.

ფელიპე მასა: *"კორეაში მომიწევს იაპონიასა და სინგაპურში ნაჩვენები სუსტი შედეგების გამოსწორება. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია მაქსიმალურად მეტი ქულის მოპოვება, რათა "სკუდერიას" ორივე ჩემპიონატის მოგებაში დავეხმარო.*

*სიმულატორის დახმარებით ახალ ავტოდრომს გავეცანი და პირველი შთაბეჭდილება ასეთია: ეს არის გრძელი ტრასა, ამიტომაც სუზუკას რბოლაზე ორი წრით მეტის გავლა მოგვიწევს. აქ არის ძალიან გრძელი სწორი მონაკვეთი, აგრეთვე სწრაფი და ნელი მოსახვევების კომბინაცია, ამიტომაც მანქანისგან მაქსიმალურად ეფექტური მუშაობა იქნება საჭირო. სწორი მონაკვეთებისთვის აუცილებელია მაქსიმალური სიჩქარე, ამასთან დაგვჭირდება მაღალი მოჭიდების ძალა.*

*ამ შთაბეჭდილებების მიხედვით, კორეის ტრასა შანხაის ავტოდრომს მოგვაგონებს, თუმცა აქ არის სექციები, როგორსაც ბაჰრეინში ვხვდებით: მკვეთრი დამუხრუჭების ზონები ნელი მოსახვევების წინ. ერგება თუ არა ამ პირობებს Ferrari F10?*

*იმ რბოლების გარდა, როცა "რედ ბულს" მეტოქეებზე დიდი უპირატესობა ჰქონდა, "ფერარი" დანარჩენ ტრასებზე კონკურენტუნარიანი იყო და ახლაც ასე იქნება. წელს ჩვენ დავინახეთ, რამდენად მნიშვნელოვანია ზუსტად მუშაობა პარასკევის ვარჯიშებზე, რათა ტექნიკასთან დაკავშირებით პრობლემა არ შეიქმნას.*

*ასევე იქნება ამ უიქ ენდზე - პარასკევს პირველი წრეების გავლისთანავე მივხვდებით - რამდენად ზუსტი იყო ის სამუშაო, რომელიც მარანელოში სიმულატორზე გავწიეთ. ასევე გავარკვევთ, ასფალტთან მოჭიდების რა დონეა კორეის ტრასაზე. ამის გაგება რთულია იქამდე, სანამ მანქანა საწყის წრეებს არ გაივლის.*

*თუ ამ უიქ ენდზე ჩემს ამოცანებზე ვილაპარაკებთ, პირველ ყოვლისა კარგად უნდა ჩავატარო შაბათის კვალიფიკაცია. კვირას რბოლის დროს კი მოვლენათა ეპიცენტრში მოხვედრასა და ტიტულის ხუთ პრეტენდენტთან ბრძოლას ვისურვებდი. ეს არის საუკეთესო, რაც "ფერარისა" და ფერნანდოს დასახმარებლად შემიძლია გავაკეთო.*

*კორეა შორეული აღმოსავლეთის სამი რბოლიდან ბოლოა და სან პაულუში საშინაო გრან-პრის წინ კარგი შედეგის მიღწევა მსურს. ვიცი, რომ გუნდის ყველა წევრი მზად არის ჩემპიონატის ფინალისთვის და მეც მინდა საერთო საქმეში საკუთარი წვლილის შეტანა".*

# მერსედესი — 300



მერსედესს საიუბილეო რბოლა ელის

კორეაში გასამართი ეტაპი "მერსედესისთვის" რიგით მე-300 რბოლა იქნება ფორმულა 1-ში. რა თქმა უნდა, ამ რიცხვში შედის ის რბოლებიც, რომელშიც კომპანია სხვა გუნდებისთვის ძრავების მიმწოდებლის რანგში გამოდიოდა. იმის გამო, რომ კორეის გრან-პრის დებიუტი აქვს, "მერსედესის" წევრები **ნიკო როსბერგი** და **მიხაელ შუმახერი** წარმატებული გამოსვლის იმედად არიან.

ნიკო როსბერგი: *"ახალ ტრასაზე ძალიან საინტერესო გამოცდა გველოდება. ქაღალდზე ყველაფერი კარგად გამოიყურება. იმედი მაქვს, ასფალტი გაუძლებს - ის ხომ სულ ახლახან დააგეს. ჩვეულებრივ, ახალ ტრასებზე ყოველთვის თავიდანვე ვახერხებ სწრაფი წრეების გავლას, სიამოვნებით ვსწავლობ ტრეკის ნიუანსებს. ამიტომაც მოუთმენლად ველოდები მომავალ უიქ ენდს".*

მიხაელ შუმახერი: *"როგორც იქნა, ისეთ ტრასაზე გამოვდივარ, რომელიც არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ სხვებისთვისაც ახალი იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ავტოდრომი ბოლო მომენტში ააშენეს, დარწმუნებული ვარ, ეტაპი კარგად ჩაივლის. ვემხრობი ახალი რბოლების გამოჩენას, რადგან ეს ავტოსპორტის პოპულარიზაციას ემსახურება.*

*ტრასის კონფიგურაციის შესწავლა რთული არ იქნება - ჩვენ შეჩვეული ვართ ახალ პირობებთან სწრაფად შეგუებას. გასულმა ეტაპმა იაპონიაში კარგად ჩაიარა - იმედი მაქვს, შევძლებთ კიდევ ერთი ნაბიჯით წინ წაწევას და კორეის ისტორიულ რბოლაში წარმატებით გამოსვლას".*

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



ბოლოს ვინ დალევს შამპანურს?

# ფავორიტების გზა

ტიტულის ხუთ მაძიებელს შორის ვერც ერთმა ვერ შეძლო სეზონის მსვლელობისას სტაბილურობის მიღწევა. გენერალურ კლასიფიკაციაში სიტუაცია პრაქტიკულად ყოველი რბოლის შემდეგ იცვლებოდა და ამ ხუთეულიდან ოთხი მრბოლელი გარკვეული დრო ლიდერობდა ჩემპიონატის მსვლელობისას. შესაბამისად, ასევე არაპროგნოზირებადი შეიძლება იყოს სამი დასკვნითი ეტაპი. მოდით გავიხსენოთ, როგორ მიდიოდა ბრძოლა ხუთ ფავორიტს შორის...

| გრან-პრი | უებერი | ალონსო | ფეტელი | ჰემილტონი | ბატონი |
|---|---|---|---|---|---|
| ბაჰრეინი | 4 | 25 | 12 | 15 | 6 |
| ავსტრალია | 6 | 37 | 12 | 23 | 31 |
| მალაიზია | 24 | 37 | 37 | 31 | 35 |
| ჩინეთი | 28 | 49 | 45 | 49 | 60 |
| ესპანეთი | 53 | 67 | 60 | 49 | 70 |
| მონაკო | 78 | 75 | 78 | 59 | 70 |
| თურქეთი | 93 | 79 | 78 | 84 | 88 |
| კანადა | 103 | 94 | 90 | 109 | 106 |
| ევროპა | 103 | 98 | 115 | 127 | 121 |
| ბრიტანეთი | 128 | 98 | 121 | 145 | 133 |
| გერმანია | 136 | 123 | 136 | 157 | 143 |
| უნგრეთი | 161 | 141 | 151 | 157 | 147 |
| ბელგია | 179 | 141 | 151 | 182 | 147 |
| იტალია | 187 | 166 | 163 | 182 | 165 |
| სინგაპური | 202 | 191 | 181 | 182 | 177 |
| იაპონია | 220 | 206 | 206 | 192 | 189 |
| სულ | | | | | |
| მოგება | 4 | 4 | 3 | 3 | 2 |
| გავარდნა | 1 | 1 | 2 | 3 | 2 |
| წრეები | 899 | 939 | 895 | 820 | 842 |
| კილომეტრი | 4609,754 | 4815,171 | 4591,86 | 4221,141 | 4413,948 |
| % დისტანცია | 94,63 | 98,78 | 94,25 | 86,70 | 89,70 |

# სიუზის ფორმულა უნდა



სუზი სტოდარტი

შოტლანდიელი ქალი პილოტი **სიუზი სტოდარტი** ფორმულა 1-ში ტესტების გავლის შესაძლებლობას ეძებს - წერს Motorsport.com. ამ მომენტში სტოდარტი DTM-ის გერმანულ სერიაში "მერსედესის" ღირსებას იცავს.

*"ვოცნებობ ფორმულა 1-ზე, - განაცხადა 27 წლის მრბოლელმა. - პირველ ეტაპზე ტესტების გავლის უდიდესი სურვილი მაქვს. არ მინდა, რომ ეს უბრალო პიარ-აქციას დაემსგავსოს, რადგან ჩემი რეალური შესაძლებლობები მაინტერესებს".*

სეზონის დასრულებამდე ორი ეტაპით ადრე სიუზი სტოდარტი მე-12 ადგილს იკავებს DTM-ის ჩემპიონატში. რაც მთავარია, ის ფორმულა 1-ის ყოფილ პილოტებს **რალფ შუმახერს, დევიდ კულტჰარდსა** და **მარკუს ვინკელჰოკს** უსწრებს. ადრე შოტლანდიელს მონაწილეობა აქვს მიღებული "ფორმულა რენოსა" და ბრიტანეთის ფორმულა 3-ის სერიებში.

როგორც Motorsport.com აღნიშნავს, სიუზის არანაირი კავშირი არ აქვს ფორმულა 1-ის გუნდ "მინარდის" ყოფილ მფლობელთან **პოლ სტოდარტთან**. ამავდროულად, მისი ბოიფრენდი - **ტოტო ვოლფი** "უილიამსის" თანამფლობელია.

ფორმულა 1-ის 60-წლიან ისტორიაში ამ სერიაში სულ ხუთ ქალს აქვს მიღებული მონაწილეობა. მათგან სამმა - **დივინე გალიკემ, დეზაირ უილსონმა** და **ჯოვანა ამატიმ** ვერც ერთხელ ვერ გაიარეს კვალიფიკაცია და რბოლაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ქალმა პილოტმა მხოლოდ ერთხელ შეძლო ქულის დაგროვება: 1975 წელს, "მონჟუიკ-პარკზე" ესპანეთის გრან-პრისას **ლელა ლომბარდიმ** მეექვსე ადგილისთვის 0,5 ქულა მიიღო. მაშინ რბოლა ავარიის გამო ნაადრევად შეწყდა.